იუსტიციის
სამინისტრო

მორის შალიკაშვილი
გივი მიქანაძე
იოსებ ვარძელაშვილი

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და სასჯელის აღსრულება

თბილისი
2025 წელი

მორის შალიკაშვილი
გივი მიქანაძე
იოსებ ვარძელაშვილი

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და სასჯელის აღსრულება

თბილისი, 2025

წინასიტყვაობა

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნულმა კოდექსმა გააერთიანა ყველა ის ნორმა, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნის საკითხებს არეგულირებდა.

2024 წლის დეკემბერში ავტორთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებშიც უნდა შექმნილიყო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის აღსრულების სახელმძღვანელო. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დააკმაყოფილა ავტორთა ჯგუფის მოთხოვნა და გასცა გრანტი #02-001-2024.

ავტორთა ჯგუფის მიერ შეიქმნა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის აღსრულების სახელმძღვანელო, რომელიც ამ სფეროს ყველა აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს აანალიზებს.

აღნიშნული ნაშრომი ხელს შეუწყობს როგორც დარგის განვითარებას, ისე სტუდენტთა დაინტერესებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით.

სამწუხაროა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ქართულენოვანი ნაშრომები ცოტაა, ამიტომ ავტორთა კოლექტივი შეეცადა აქტიურად გამოეყენებინა როგორც უცხოენოვანი ლიტერატურა, ისე საერთაშორისო ნორმები, სამეცნიერო ხასიათის ანგარიშები, საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მომუშავე სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებისა და ამ სფეროთი დაინტერესებული მკითხველისთვის.

ავტორები:

მორის შალიკაშვილი (თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი) - პირველი, მეორე და მეოთხე თავები;

გივი მიქანაძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) - მესამე და მეხუთე თავები;

იოსებ ვარძელაშვილი (თსუ-ის სამართლის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, სეუ-ის პროფესორი) - მეექვსე თავი.

სარჩევი

თავი პირველი 9

არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი პრევენცია.....9

1. არასრულწლოვანთა დანაშაული 9

1.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა 11

1.2. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებები 14

1.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა.....19

2. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია) 21

3. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი და პრევენცია.....32

3.1. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში 33

3.2. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის საკანონმდებლო რეგულირება.....34

3.3. 14 წლამდე ბავშვების დანაშაულის ძირითადი ტენდენციები და გამომწვევი მიზეზები 37

3.4. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რეგულირება გერმანიაში 38

თავი მეორე 43

განრიდება და მედიაცია - აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც პრევენციის საუკეთესო საშუალება.....43

1. განრიდება/განრიდება და მედიაცია, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი 43

2. განრიდება 47

2.1. განრიდების გადაწყვეტილება და მისი გამოყენების წინაპირობები 47

2.2. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის გამოყენების წინაპირობები 51

2.3. განრიდების ღონისძიებები 60

2.4. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება.....61
2.5. განრიდების და განრიდება/მედიაციის გამოყენების
სტატისტიკური მონაცემები.....69
3. მედიაცია.....74
3.1. მედიაციის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.....76
3.2. მედიაციის ეტაპები 77
3.3. მედიატორი 82

თავი მესამე.....85
პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა.....85
1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობაში/
თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის საკანონმდებლო რეგულირება.....88
2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის
ურთიერთობა გარე სამყაროსთან.....95
3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-
რეაბილიტაცია.....104
4. პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი
ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა.....110
5. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატიმრობის/
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ძალის გამოყენება 124
6. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატიმრობის/
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი.....126

თავი მეოთხე.....132
არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება და პრობაცია
არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით.....132
1. შინაპატიმრობის აღსრულება.....132
2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება 138
3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება.....139
4. პირობითი მსჯავრის და პირობით ვადამდე გათავისუფლების
აღსრულება 142

თავი მეხუთე 146
სასჯელის აღსრულების საერთაშორისო რეგულირება 146
1. ზოგადი მიმოხილვა 146
2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია 149
3. არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მარეგულირებელი გაეროს დოკუმენტები 155
4. ევროპული წესები არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე 159
5. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტები 178

თავი მეექვსე 189
არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი 189
1. შესავალი..... 189
2. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა 190
3. არასრულწლოვნის მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 191
4. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა 194
5. არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნა..... 196
6. არასრულწლოვნისათვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა 198
7. არასრულწლოვნისათვის დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა 203
8. არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა 205
9. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დაუსაბუთებლობა 206

10. დასკვნა.....207

ბიბლიოგრაფია 209

ანგარიშები 216

ინტერნეტწყაროები 218

თავი პირველი

არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი პრევენცია

1. არასრულწლოვანთა დანაშაული

2015 წლის 12 ივნისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (შემდგომში - ამკ) მიღების შემდეგ, საზოგადოებისა და იურისტების ინტერესი არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ უფრო გაიზარდა. ზოგადად, არაკონფორმისტი და დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანთა მიმართ საზოგადოების პრეტენზია კაცობრიობის ხნისაა.[1] არასრულწლოვანთა დანაშაულისადმი ამ ინტერესის მიზეზები რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული: დანაშაული არის ლაკმუსი/მაჩვენებელი ახალგაზრდების ძირითადი კეთილდღეობისა და მდგომარეობის, ერთგვარი, „სოციალური პირობების სარკე"; მშობლების ყველა თაობის შიშია, რომ „დღევანდელი ახალგაზრდობის დანაშაული" არის „მოზრდილების ხვალინდელი დანაშაული".[2] შესაბამისად, დღეს პრევენციული რეაგირება ხვალინდელი დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე რაციონალური საშუალებაა; თაობათა შორის კონფლიქტი, რომელიც მშობლების პედაგოგიური ზრუნვისა და ახალგაზრდების ახლებური ხედვების დაპირისპირებაა.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში მოიაზრება იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანოები (პროკურატურა, სასამართლო) არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებენ.[3] დანაშაულზე რეაგირება არ გულისხმობს მხოლოდ სისხლისსამართლებრივ სანქციებს. ამკ ითვალისწინებს განრიდების, განრიდების და მედიაციის პროგრამას, რომელიც კავშირში არ არის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. ამკ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებას ახდენს ორი მიმართულებით: განრიდება, განრიდება და მედიაცია და სისხლისსამართლებრივი რეაგირება. სისხლისსამართლებრივი რეაგირების დროსაც კი,

1 Heinz, W., Jugendkriminalität in Deutschland, Kriminalstatistische und kriminologische Befunde, Konstanz, 2003, S. 6.

2 იქვე.

3 Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, S. 43.

თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ხდება/უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევებში (ამკ-ს მე-9 მუხლი).[4]

არასრულწლოვანთა დანაშაული გულისხმობს 14-დან 18 წლამდე პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი.

ამკ-ს მესამე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად განსაზღვრავენ თოთხმეტ წელს, ხოლო მაქსიმალურ ასაკად - თვრამეტ წელს. ამკ-ს 38-48 მუხლების მოქმედება (განრიდება, განრიდება და მედიაცია) ასევე ვრცელდება 18-დან 21 წლამდე პირებზეც.

თუ მოზარდმა საკუთარ 14 წლის დაბადების დღეზე ჩაიდინა დანაშაული, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მას სისხლისსამართლებრივი პასუხუსმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მომდევნო დღეს ჩადენილი დანაშაულისათვის.[5]

სისხლის სამართალში ასაკის დადგენა მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. 14 წელს მიუღწეველ პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამკ-ს 26-ე მუხლი განსაზღვრავს ასაკის დადგენის საკითხებს. კერძოდ, თუ პირის სრულწლოვანების საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანება არსებობს, გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დაუყოვნებლივ გამოაქვს დადგენილება/განჩინება არასრულწლოვანების დადგენის შესახებ. პირის ასაკი დგინდება ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულების, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტის, სამედიცინო ან სოციალური შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნის, მშობლისაგან ან სხვა პირისაგან მიღებული ცნობის ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე. თუ

4 ამკ-ს მე-9 მუხლის მეორე ნაწილი: არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება. ვრცლად, იხ.: მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016, გვ. 83.

5 ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 244.

გაირკვა, რომ პირი არასრულწლოვანია, მაგრამ მისი სავარაუდო ან ზუსტი ასაკი ვერ დადგინდა, ივარაუდება, რომ პირს არ შესრულებია 14 წელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, ხოლო თუ არასრულწლოვნის სავარაუდო ასაკი დადგინდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინება მისი სავარაუდო ასაკის მინიმალური ზღვარი.

ასაკის დადგენის ერთ-ერთი სახეა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. რომელიც პრაქტიკაში სამი ეტაპისგან შედგება: 1) პირის ბიოლოგიური ასაკის დასადგენად ხდება მოზარდის ხელის მტევნის ძვალ-სახსროვანი რენტგენოლოგიური კვლევის ჩატარება სხივ-მაჯის სახსრის ჩათვლით; 2) სამედიცინო დაწესებულებიდან მიღებული ხელის მტევნის ძვალ-სახსროვანი რენტგენოლოგიური კვლევა, ე. წ. რენტგენოფირი, გაეგზავნება სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნისთვის და პირისათვის ბიოლოგიური ასაკის დასადგენად; 3) რენტგენოფირისა და მოზარდის შემოწმება, ანალიზი.[6]

შესაბამისად, პირის ასაკის დადგენის შესახებ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა ეყრდნობა: პირის გასინჯვის მონაცემებს (აღნაგობა, კუნთოვანი სისტემის ფორმირება, სხეულის სხვადასხვა ადგილას თმების ქონა, კისრის, ყურების, თვალების, მუცლისა და გულმკერდის აღწერა და სხვა), კბილების მდგომარეობას (კბილების მინანქრის სითეთრე, კბილების ცვეთის პროცესი), ანთროპომეტრულ მონაცემებს (სხეულის მასა, სხეულის სიგრძე, თავის გარშემოწერილობა, გულ-მკერდის გარშემოწერილობა, ორივე ბარძაყის გარშემოწერილობა და სხვა) და რენტგენოლოგიური კვლევის მონაცემებს (ფალანგების ძვლების, ნების ძვლების, მაჯის და იდაყვის ძვლის აღწერა).[7]

1.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა

არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა სისხლის სამართლის სტატისტიკის ნაწილია, რომელიც დანაშაულის კონტროლის ორგანოების მიერ არის სისტემატურად შეგროვებული. არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა არის კვლევის

6 მ. შალიკაშვილი, სსკ-ის 33-ე მუხლის კომენტარი წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი 2, თბილისი, 2021, გვ. 577.
7 იქვე, გვ. 578.

ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ მდგომარეობაზე.[8] კერძოდ, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის რაოდენობის, დანაშაულთა კატეგორიებისა და გამოყენებულ სასჯელთა სახეების თაობაზე.

ა) 2022, 2023, 2024 წლებში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა:

2022-2024 წლებში სსიპ ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ აღრიცხვაზე იმყოფებოდა 220 არასრულწლოვანი.

8 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 22.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“			
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა	2022	2023	2024
საერთო რაოდენობა	88	139	146
დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით			
ნაკლებად მძიმე	30	45	35
მძიმე	56	90	109
განსაკუთრებით მძიმე	2	4	2
დანაშაულთა სახეების მიხედვით			
ადამიანის წინააღმდეგ (სსკ 108-176)	23	25	22
ეკონომიკური (სსკ 177 -221)	47	92	104
საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (სსკ 222-286)	15	18	14
ეკოლოგიური (სსკ 287-307)	2	3	3
სახელმწიფოს წინააღმდეგ (სსკ 308-363)	1	1	3
სქესის მიხედვით			
მამრობითი	82	131	137
მდედრობითი	6	8	9

ამავე საანგარიშო პერიოდში (2022, 2023, 2024 წლები), სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღრიცხვაზე იმყოფებოდა 123 არასრულწლოვანი.

სპეციალური პენიტენციური სამსახური			
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა	2022	2023	2024
საერთო რაოდენობა	34	35	54
დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით			
ნაკლებად მძიმე	0	0	1
მძიმე	23	23	40
განსაკუთრებით მძიმე	11	12	13
სქესის მიხედვით			
მამრობითი	33	35	48
მდედრობითი	1	0	6

1.2. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებები

არასრულწლოვანთა დანაშაულს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომლებიც კავშირშია გარდატეხის პერიოდთან. გარდატეხის პერიოდი/ასაკი, რომელიც 4-5 წელი გრძელდება და 11-19 წლის ასაკში დგება, „განვითარების კრიზისული პერიოდია, რადგან თვისებრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება. ეს პერიოდი გარდატეხაა ბავშვობიდან მოზრდილობაში. ბავშვი უკვე აღარაა ბავშვი, მაგრამ არც მოზრდილი არაა. როგორ გაივლის ამ პერიოდს ბავშვი, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდილებით გამოვა ის ამ პერიოდიდან, ამაზეა დამოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება“.[9]

9 თ. გაგოშიძე, გარდატეხის ასაკი (11–18 წლის მოზარდის ასაკობრივი განვითარება) - მშობლის მეგზური, https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/mar/readers/gagoshidze-gardatexis.pdf [01.05.2025]; იხ. ასევე, მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 12-14.

,,მოზარდის თავის ტვინში ნეირონის მორჩები აქტიურად იტოტებიან და ამავე დროს, არასაჭირო ნერვული კავშირები ქრება. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდება თავის ტვინის წინა, შუბლის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების და ქცევის კონტროლის პროცესებს. თავის ტვინის ამ ნაწილის განვითარება ხელს უწყობს დაგეგმვას, რისკების შეფასებას, იმპულსის კონტროლს. მოზარდის თავის ტვინის განვითარებაში 3 ნეირტრანსმიტერი მონაწილეობს: გლუტამატი, დოფამინი და სეროტონინი. გლუტამატი ნეირონის ამგზნები ნივთიერებაა. გარდატეხის ასაკის პირველ პერიოდში - წინა და ადრეული პუბერტატის ასაკში [11-15 წელი] იმ სინაფსური კავშირების შეკვეცა ხდება, რომლებიც გლუტამატის რეცეპტორებს მოიცავენ და ამიტომ ამ პერიოდში მოზარდი უფრო შეკავებული და მოდუნებულია, ვიდრე აგზნებული. დოფამინი სიამოვნების შეგრძნებასთან არის დაკავშირებული. მოზარდობის პერიოდში დოფამინის დონე თავის ტვინის ერთ ნაწილში - ლიმბურ სისტემაში, იზრდება, დოფამინის შესავალი ასევე იზრდება პრეფრონტალურ ქერქში. ლიმბური სისტემა ემოციურ რეაქციებზე აგებს პასუხს და დოფამინის გაზრდილი აქტივობა აძლიერებს სარისკო ქცევას და მობეზრება/მოწყენის ზღურბლს აქვეითებს. სეროტონინი მონაწილეობს გუნებისა და ქცევის რეგულაციაში, მისი აქტივობის გაძლიერება ლიმბურ სისტემაში შესაძლოა აძლიერებს ემოციურობას და მგრძნობიარობას დაჯილდოებისა თუ სტრესის მიმართ. სწორედ ამიტომაა დამახასიათებელი მოზარდისთვის მოჭარბებული ემოციურობა, იმპულსურობა, სიამოვნების და ახალი გამოცდილების ძიება, უგუნებობა და უხალისობა. თავის ტვინი, განსაკუთრებით კი შუბლის წილები განაგრძობს განვითარებას 20 წლამდე.“[10]

გარდატეხის ასაკის გავლენა ძალიან დიდია არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებებზე. გარდატეხის პერიოდში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ფსიქო-ემოციური განვითარება მოზარდის ანტისოციალურ ქცევას განაპირობებს. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებებად მიჩნეულია ის გარემოებები, რომლებიც მოზარდებს ამ პერიოდში ახასიათებთ. ესენია: არასრულწლოვანთა დანაშაულის ნორმალურობა,

10 თ. გაგოშიძე, გარდატეხის ასაკი (11–18 წლის მოზარდის ასაკობრივი განვითარება) - მშობლის მეგზური, https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/mar/readers/gagoshidze-gardatexis.pdf [01.05.2025].

არასრულწლოვანთა დანაშაულის ეპიზოდური ხასიათი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ყველა დროსა და სივრცეში გავრცელება, არასრულწლოვანთა დანაშაულის ლატენტურობა, არასრულწლოვანთა დანაშაულის ჯგუფურობა. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- არასრულწლოვანთა დანაშაულის ნორმალურობა - არასრულწლოვანთა დანაშაული ნორმალური ფენომენია. კვლევების თანახმად, მოზარდთა 99%-ს ერთხელ მაინც აქვს კანონდარღვევა/მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩადენილი.[11]
- არასრულწლოვანთა დანაშაულის ეპიზოდური ხასიათი - არასრულწლოვანთა დანაშაულს ახასიათებს ეპიზოდურობა.[12] ის ასაკის გარკვეულ პერიოდში, ძირითადად, 14 წლიდან იწყებს დანაშაულის ჩადნას და რამდენიმე წელში, 20 წლის ასაკში, ამთავრებს - ე. წ. Ageing-out-Effekt - მოზარდობის ასაკიდან გასვლის ეფექტი.[13]

  ,,ბოლოდროინდელმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოზარდების მხოლოდ 1,8%-ია პოლიციის მიერ ხუთჯერ ან მეტჯერ რეგისტრირებული, როცა მოზარდების 73% მხოლოდ ერთხელ, ხოლო 90% ერთხელ ან ორჯერ არის რეგისტრირებული.“[14]

  ვინაიდან არასრულწლოვანთა დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს ისეთი სახის ღონისძიებები, რომელიც მოზარდს თავიდან ააცილებს სისხლისსამართლებრივ დევნას და/ან განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრას. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე მორგებული ასეთი პროგრამაა მაგალითად, არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება და მედიაცია.
- არასრულწლოვანთა დანაშაულის ყველა დროსა და სივ-

11 შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 16.

12 გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ეპიზოდურობის სინონიმად გამოყენებულია ტერმინი - passageren Verhalten - ე. წ. ,,მგზავრის ქცევა”. მოზარდები ასაკის გარკვეულ პერიოდში დანაშაულს სჩადიან და შემდეგ თავს ანებებენ დანაშაულის ჩადენას, ჩამოდიან ამ ე. წ. დანაშაულებრივი ,,მატარებლიდან”. Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage. Baden-Baden, 2017, S. 30.

13 Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 78.

14 Schaffstein, F./ Beulke, W./Swaboda, S., Jugendstrafrecht, Eine systematische Darstellung, 15. Auflage, Stuttgart 2014, S. 11.

რცეში გავრცელება - არასრულწლოვანთა დანაშაულის ჩადენის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ოჯახურ მდგომარეობას. თუმცა კრიმინოლოგიური კვლევების თანახმად, მოზარდთა ყველა ფენის წარმომადგენელი სჩადის მცირე მნიშვნელობის დანაშაულს.[15]

არასრულწლოვანთა დანაშაულზე ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის გარკვევის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გაანალიზდა ბავშვების ოჯახების შემოსავალი, რომელთაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ ჩაუდენიათ და აღნიშნული მაჩვენებელის თანაფარდობა იმ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალთან, რომლებსაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი. ზემოაღნიშნული მონაცემების შედარებამ აჩვენა, რომ ოჯახის შემოსავალი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახესთან ნაკლებად შეიძლება იყოს კავშირში.[16]

- არასრულწლოვანთა დანაშაულის ლატენტურობა - ლატენტურად უნდა ჩაითვალოს ისეთი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება (დანაშაული), რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი, და ამიტომ, არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა/რეგისტრაცია.

  გერმანიაში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზის თანახმად, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობისაგან, თანაფარდობა რეგისტრირებულსა და ლატენტურ დანაშაულებს შორის 1:3-ზეა.[17]

  გერმანელი კრიმინოლოგი კაიზერი ლატენტური დანაშაულების კვლევების საფუძველზე დასკვნის სახით აცხადებს, რომ:[18] 1. არასრულწლოვანთა დანაშაული უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ეს პოლიციის სტატისტიკით

15 Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, S. 30.

16 საქართველოს გენერალური პროკურატურა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, თბილისი, 2024, გვ. 23. https://pog.gov.ge [21/04/2025].

17 Kunz, K.-L., Kriminologie: Eine Grundlegung, 2. vollst. überarbeitete Auflage, Wien, 1998, S. 302.

18 Kaiser, G., Kriminologie: ein Lehrbuch, 3. völlig neubearb, u. erw. Auflage, Heidelberg, 1996, S. 225-228.

არის რეგისტრირებული. თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი მსუბუქი დანაშაული; 2. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი, გამოძიებული და სანქციონირებული; 3. ლატენტური დანაშაულის საფუძვლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ამა თუ იმ ჯგუფებს შორის დიდი განსხვავებაა დანაშაულის გავრცელების, სტრუქტურისა და ინტენსივობის მხრივ; 4. ლატენტური დანაშაულის კვლევების თანახმად, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული მსუბუქი ხასიათისაა. ხოლო, ოფიციალურად რეგისტრირებულია, ძირითადად, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები; არასრულწლოვნები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი გახდა პოლიციისათვის და დაისაჯნენ სასამართლოს მიერ, არაფრით განსხვავდებიან სხვა იმ არასრულწლოვნებისაგან, რომლებიც დასჯილნი არ არიან.

- არასრულწლოვანთა დანაშაულის ჯგუფურობა - ცნობილია, რომ მოზარდები დანაშაულს ჯგუფურად სჩადიან, რაც რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: 1) ჯგუფში მათი გამბედაობა მატულობს; 2) ვინმემ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის – „საქმენი საგმირონიას“ შესახებ სხვებს უნდა უამბოს, მარტო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ეს შეუძლებელია; 3) ჯგუფურად დანაშაულის ჩადენა ჯგუფის წევრად მიღების/აღიარების ყველაზე ლოგიკური და მარტივი გზაა.[19] ინგლისური და ამერიკული კვლევების თანახმად, მოზარდთა დანაშაულის 60% (ინგლისში), 75% (აშ-შ-ში) სწორედ ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულზე მოდის.[20] გერმანიაშიც ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა მოზარდების მიერ ჯგუფურად დანაშაულის ჩადენა.[21]

  საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, არასრულწლოვანთა მიერ ჯგუფურად დანაშაულის ჩადენის მაღალი მაჩვენებელი ბოლო წლებში არ ფიქსირ-

19 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 9; Streng, F., Jugendstrafrecht, 3. Auflage, Hamburg, 2012, S. 3.

20 Schaffstein, F./ Beulke, W./ Swaboda, S., Jugendstrafrecht, Eine systematische Darstellung, 15. Auflage, Stuttgart, 2014, S. 24.

21 Streng, F., Jugendstrafrecht, 3. Auflage, Hamburg, 2012, S. 3.

დება. კერძოდ, 2012 წელს დანაშაულთა 16,2%, 2013 წელს - 15,1%, 2014 წელს - 12,1%, 2015 წელს - 9,2%, 2016 წელს - 8,9%, 2017 წელს - 2,5%, 2018 წელს - 9,4%, 2019 წელს - 5,2%, 2020 წელს - 7,6% ჯგუფურად იყო ჩადენილი. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება როგორც კრიმინოლოგიური კვლევების შედეგებისაგან, ისე სხვა ქვეყნების გამოცდილებისაგან.[22]

1.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა

ამკ-ს მე-14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ამკ-ს 27-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის ჩადენის რისკი[23] და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე: ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას; ბ) სასჯელის დანიშვნისას; გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას; დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას; ე) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა საქმე აკმაყოფილებს განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმებს, თუმცა პროკურორი არ იღებს გადაწყვეტილებას არასრულ-

22 ვრცლად, იხ.: მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 9.

23 ვინაიდან არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაში დიდი როლი ოჯახს და სკოლას უკავია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოზარდის ოჯახურ მდგომარეობას და მის დამოკიდებულებას სასწავლო პროცესისადმი.

წლოვნის განრიდების შესახებ.

პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზედაც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია განისაზღვრება ,,ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით. ამ ბრძანების თანახმად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: ა) ზოგადი ინფორმაცია არასრულწლოვნის შესახებ; ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ; გ) ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; დ) ემოციური, კოგნიტური განვითარების და ქცევითი თავისებურებების შესახებ; ე) განათლების, პროფესიული მომზადების, სპორტული საქმიანობისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ; ვ) ოჯახისა და საცხოვრებელი გარემოს შესახებ; ზ) სოციალური ქსელისა და ურთიერთობების შესახებ.

ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების საფუძველია.[24] ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასებით ხდება მოზარდის პრობლემებისა და საჭიროებების აღწერა, რაც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა.

ამკ-ს 27-ე მუხლის ჩამონათვალში არ არის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის სავალდებულოობა არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთი ღონიძნიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში. მოსამართლე, პატიმრობის გამოყენების დროს, მხედველობაში არ იღებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს იმ მიზეზით, რომ დროის სიმცირის გამო მისი მომზადება ვერ ხერხდება. მოგეხსენებათ, აღკვეთი ღონისძიე-

24 ხ. შეყილაძე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, თბილისი, 2021, გვ. 203.

ბის შეფარდების ვადა დაკავებიდან 72 საათია. მოსამართლე პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების, ძალაში დატოვების საკითხს იხილავს წინასასამართლო სხდომაზე, რომელიც უნდა ჩაინიშნოს არასრულწლოვნის დაკავებიდან 40 დღის განმავლობაში (ამკ-ს 64-ე მუხლის მეორე ნაწილი). ვფიქრობთ, პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენების დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოუყენებლობა, პრობლემურია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის კუთხით. პატიმრობა ერთ-ერთი მძიმე ჩარევაა მოზარდის ცხოვრებაში და შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს უფრო მეტი ინფორმაცია იმ არასრულწლოვანზე, რომლის მიმართაც ის პატიმრობის გამოყენებას ფიქრობს. მოზარდისთვის პატიმრობით გამოწვეული მძიმე შედეგის თავიდან ასაცილებლად სასურველი იქნებოდა, თუ პატიმრობის შეფარდების მომენტისთვის, ანუ 72 საათში, მოხდებოდა წინასწარი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება ყველა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ხოლო პატიმრობის შეფარდების შემდეგ, 10 დღის ვადაში მომზადდებოდა სრულყოფილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, წარედგინებოდა მოსამართლეს, რომელიც კვლავ განიხილავდა არასრულწლოვნის პატიმრობაში დატოვების საკითხს. ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვნის პატიმრობის შეფარდებისას მოსამართლეს გასაცნობად ექნებოდა წინასწარი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, პატიმრობის განჩინების მიღებიდან 10 დღის შემდეგ მოსამართლეს გასაცნობად ექნებოდა სრულყოფილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და კვლავ განიხილავდა მოზარდის პატიმრობაში დატოვების საკითხს.

2. არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია)

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის #235-ე ბრძანებულება განსაზღვრავს მოზარდთა დანაშაულის პრევენციას. მოზარდთა დანაშაულის პრევენციას ეხება ასევე გაეროს სახელმძღვანელო წესები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ (ე. წ. რიადის წესები), რომელიც 1990 წლის 14 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამ-

ბლეის მიერ არის მიღებული. როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ნორმების სულისკვეთება ერთია - არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენციისთვის მაქსიმალურად ადრე მოხდეს ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც მოზარდებს ნასამართლობას აარიდებს და ხელს შეუწყობს მისი უკანონო ქმედების გააზრებას.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის #235-ე ბრძანებულება არასრულწლოვანთა პრევენციის სამ დონეზე საუბრობს. კერძოდ, ადრეული პრევენცია/დანაშაულის პრევენციის პირველი დონე; დანაშაულის პრევენცია რისკჯგუფებში/ დანაშაულის პრევენციის მეორე დონე; განმეორებითი დანაშაულის პრევენცია/დანაშაულის პრევენციის მესამე დონე. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- ადრეული პრევენცია/დანაშაულის პრევენციის პირველი დონე

პირველადი/ადრეული პრევენციის ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით ყველა არასრულწლოვანზეა ორიენტირებული და აქცენტს აკეთებს ბავშვის სწორ აღზრდასა და სოციალიზაციაზე, განათლებაზე, თავისუფალი დროის სწორად და პროდუქტიულად განაწილებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებაზე, ახალგაზრდებს შორის სწორი ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

პირველი დონის მისაღწევ ღონიძიებებს განეკუთვნება: ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება და პოპულარიზაცია; სკოლის ფარგლებში სპორტული კლუბების შექმნა და განვითარება, სკოლებს შორის რეგულარული შეჯიბრებების ორგანიზება; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა დანაშაულისა და მისი მასშტაბების შესახებ; ვანდალიზმის, ბულინგის, ძალადობის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

მაქს პლანკის კოგნიტურ და ნეირომეცნიერების ინსტიტუტში (მიუნხენი) გერტრუდ ნუნერ-ვინკლერმა (Gertrud Nunner-Winkler) გამოიკვლია ბავშვების მიერ მორალური წესების აღქმა. ბავშვებისთვის შექმნილი სურათების ისტორიების დახმარებით, სადაც ნაჩვენებია კონფლიქტი მორალურ ნორმებსა და პირად საჭიროებებს შორის, მან დაასაბუთა, რომ დაახლოებით ოთხიხუთი წლის ასაკიდან ბავშვებში ძირითადი მორალური წესები

არსებითად აღარ ვითარდება. ამ ასაკში ბავშვებს, როგორც წესი, უკვე აქვთ წარმოდგენა, რომ არ შეიძლება ქურდობა, ტყუილი ან სხვისთვის ზიანის მიყენება. თუმცა, სოციალიზაციის პროცესში, ბავშვებისა და მოზარდების ეს ძირითადი მორალური რწმენები სრულდება და კონკრეტდება პირადი გამოცდილებებისა და განცდების საფუძველზე. შედეგად, ყალიბდება კონკრეტული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის ნორმიდან გადახრა, ანუ რა აღიქმება დელინქვენტურ ან კრიმინალურ ქმედებად.[25] როგორც კვლევამ აჩვენა, პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება სკოლამდელ ასაკში და შემდეგ ამ პროცესის მხარდაჭერა მოზარდობის დროს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიშის თანახმად, დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები 150 საჯარო სკოლაში ჩატარდა, რომელსაც 3733 მოსწავლე დაესწრო.[26]

,,არასრულწლოვნების საქმიანობის პრევენციის და მათ კრიმინალურ კარიერაში ადრეული ჩარევის სარგებელი არის ის, რომ აღნიშნულის საფუძველზე მათ შესაძლებლობა ეძლევათ თავიდან აიცილონ ნასამართლობა, რაც თავის მხრივ, მათი მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.”[27] არასრულწლოვნისთვის კრიმინალურ ჯგუფებში/სუბკულტურაში გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა ამცირებს რისკს, რომ მან ჩაიდინოს დანაშაული და დააზიანოს სხვები.

არასრულწლოვნის ნასამართლობა იწვევს სტიგმატიზირებას, რამაც შეიძლება მოზარდის ინტეგრაციას შეუშალოს ხელი.[28] შესაბამისად, დანაშაულის პრევენცია ისე უნდა იქნეს განხორციელებული, რომ არ მოხდეს მოზარდის სტიგმატიზირება.

დანაშაულის პირველად ჩამდენი ახალგაზრდების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ტრადიციული სასჯელები, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა, ნაკლებად იყოს გამოყენებული,

25 Kerner, H-J./Reich, K./Bott, K., Delinquenzvorstellungen bei Kindern und Jugendlichen sowie Folgen bei tatsächlicher Delinquenz, In: Familie Partnerschaft Recht (FPR) 2013, S. 412.

26 დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიში. https://is.gd/KxALVw [05.05.2025].

27 ბ. ტორე, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 124.

28 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 87.

რადგან ისედაც დაუცველი მოზარდი უფრო ცუდ გარემოში არ მოხვდეს.[29]

- დანაშაულის პრევენცია რისკჯგუფებში/დანაშაულის პრევენციის მეორე დონე

მეორე დონის პრევენციის ღონისძიებები მიმართულია დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნებისკენ და მიზნად ისახავს დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებას. დანაშაულის გამომწვევი ძირითადი რისკფაქტორებია: ოჯახში ძალადობა, სიღარიბე; ოჯახის წევრის მიერ ალკოჰოლის/ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება; ოჯახის წევრის ნასამართლობა; ბულინგი; დაბალი აკადემიური მოსწრება; სკოლის სისტემატური გაცდენა; ნარკოტიკული ნივთიერებების, ალკოჰოლისა და იარაღის ხელმისაწვდომობა; კრიმინალური გარემო, კრიმინალური წარსულის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა; ალკოჰოლის/ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. დანაშაულის ჩადენის ძირითადი რისკჯგუფებია: მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნები; დევნილები, იძულებით გადაადგილებული პირები; მიუსაფარი ბავშვები; სკოლიდან გარიცხულები; ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვები, მოძალადე ბავშვები; ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მომხმარებლები; ძალადობის მსხვერპლი ბავშვები.

რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა ადრეული, სწრაფი და ეფექტიანი იდენტიფიცირების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა არის მეორე დონის პრევენციის მიზანი. ასეთ მექანიზმად შეიძლება საჯარო ადგილების ვიდეომონიტორინგი ჩაითვალოს.[30] ვიდეოკამერამ შეიძლება პირდაპირ დანაშაულის ჩადენაზე დამნაშავეს ხელი არ ააღებინოს (მით უფრო ძალადობრივ დანაშაულზე), თუმცა გადაღებული მასალა საგამოძიებო ორგანოებს ეხმარება დანაშაულის გახსნაში,[31] რაც დანაშაულის პრევენციის ნაწილია. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია იმ არასრულწლოვნებს შორის, ვინც სასჯელი ციხეში მოიხადა.[32] გერმანიაში თავისუფლების აღკეთის შემდეგ, როდესაც არასრულწლოვანი რეალურ

29 ბ. ტორე, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 78.

30 Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 151.

31 იქვე.

32 ბ. ტორე, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 134.

სასჯელს მოიხდის პენიტენციურ დაწესებულებაში, განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი სხვადასხვა კვლევის თანახმად, შეადგენს 75-78%-ს.[33]

მეორე დონის პრევენციის ფარგლებში ასევე ხდება პოტენციური დაზარალებულის დაცვა.[34] დაზარალებულმა, ხშირ შემთხვევაში, თავად უნდა შეაფასოს დანაშაულებრივი სიტუაცია და სცადოს, თავი აარიდოს დანაშაულის მსხვერპლად გახდომას. გთავაზობთ ზოგიერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციას მსხვერპლად გახდომის თავიდან ასაცილებლად:[35] თავი აარიდეთ უცხო და საეჭვო ადგილებში მარტო ყოფნას; უცხოელები და ტურისტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ კულტურული ღირებულებებით გამოწვეული პოტენციური დანაშაულების შესახებ, რათა თავი აარიდონ მსხვერპლად გახდომას; ღამის საათებში მოერიდეთ ისეთ ადგილებში ყოფნას, სადაც ნაკლები ხალხია; მოზარდები ერიდეთ ქუჩაში (უბანში) შეკრებილ ბიჭებთან ახლოს გავლას, ხოლო მათი მხრიდან პროვოკაციული კითხვების შემთხვევაში, სწრაფად გაეცალეთ იქაურობას; სათუთად მოეპყარით მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირს, ვინაიდან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი შესაძლებელია ადვილად გაღიზიანდეს და კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნას; დამნაშავისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პოტენციური დაზარალებულის თავდაჯერებულობა; დამნაშავის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, დაზარალებულმა უნდა გამოიჩინოს სიმშვიდე - ცივი გონებით კარგად აწონ-დაწონოს სიტუაცია და ისე მიიღოს წინააღმდეგობის გაწევის თუ მსხვერპლად გახდომის გადაწყვეტილება; დამნაშავესთან ემოციური კონტაქტის დამყარება და მასზედ ზემოქმედება, მისთვის თავის შეცოდება ავადმყოფ ნათესავზე, შვილებზე ან საკუთარ მძიმე დაავადებაზე ჩივილით და სხვა.

- განმეორებითი დანაშაულის პრევენცია/დანაშაულის პრევენციის მესამე დონე

მესამე დონის პრევენცია ორიენტირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის, მათი

33 Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 161; Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, S. 195.

34 Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 150.

35 ვრცლად იხ.: მ. შალიკაშვილი/ხ. თანდილაშვილი/უ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 342-344.

საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის გზით რეციდივის თავიდან აცილებაზე. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე მიმართული პროგრამები წამყვან როლს ასრულებენ მესამე დონის პრევენციაში. ამ დონის მიზნებად განისაზღვრება: სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივების (როგორებიცაა განრიდების პროგრამები) განვითარება და განვრცობა და ამ გზით, დანაშაულის ჩამდენ მოზარდთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის უზრუნველყოფა; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში არასრულწლოვანთა სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობების განვითარება და ხელშეწყობა, ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული დახმარების პროგრამების დანერგვა და სხვა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის რეციდივის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანს მიეცეს მეორე შანსი, რომელიც მისი სამომავლო ქცევის შეცვლისკენ იქნება მიმართული.[36]

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა

საქართველოს გენერალური პროკურატურა ბოლო წლებში ახორციელებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევას, რომელიც ეყრდნობა განრიდებული და ბრალდებული არასრულწლოვნების ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების ანალიზს. 2023 წლის აღნიშნული კვლევის ძირითადი მიგნებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია იმ პრევენციულ ღონისძიებებზე საუბარი, რაც საქართველოში არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ჩადენას უწყობს ხელს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების 2023 წლის კვლევის ძირითად მიგნებებს წარმოადგენს შემდეგი ასპექტები:[37]

- 2023 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 1010-ია, საიდანაც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა

36 ბ. ტორე, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 136.

37 საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების 2023 წლის კვლევა, თბილისი, 2024, https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpdFrO3a.pdf [01.05.2025].

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში (45%) დაფიქსირდა;

- 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, რომ ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა 74%-ს სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული არაძალადობრივი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი;
- 2023 წელს განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან:
  - 88,2%-ს ჰყავდა ორივე მშობელი, 11,4%-ს მხოლოდ ერთი, ხოლო 0,4%-ს - არცერთი;
  - მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობას ჰყავდა ორივე მშობელი, მათგან მხოლოდ 54.4% ცხოვრობდა ორივე მშობელთან ერთად;
  - 116 მოზარდის მშობლები იყვნენ განქორწინებულები, ანუ მშობელთა განქორწინების მაჩვენებელმა 21% შეადგინა;
  - 108 არასრულწლოვნის (20%) ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება საზღვარგარეთ;
  - 89 შემთხვევაში (16%) არასრულწლოვნის ოჯახის წევრი წარსულში ნასამართლევი იყო;
  - 253 განრიდებული არასრულწლოვნის (47%) ორივე მშობელია დასაქმებული, რომელთაგან 65 შემთხვევაში (27%) ორივე ან ერთი მშობელი იმყოფება ემიგრაციაში. მხოლოდ დედა არის დასაქმებული 111 არასრულწლოვნის (20%) შემთხვევაში, მათგან 20-ის (18%) დედა იმყოფება ემიგრაციაში. მხოლოდ მამაა დასაქმებული 121 არასრულწლოვნის (22%) შემთხვევაში, რომელთაგან 12-ის (10%) მამა იმყოფება ემიგრაციაში.
  - ძალიან დაბალია (7%) იმ ოჯახთა მაჩვენებელი, რომელთა შემოსავალი დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა. ოჯახის ძირითადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ოჯახის შემოსავალი საკმარისია 47%-ის შემთხვევაში. განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი 42%-ის შემთხვევაში მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა, ხოლო 4%-ის შემთხვევაში - არ იყო საკმარისი;
  - ოჯახის შემოსავლის მიხედვით, საკუთრების წინააღ-

მდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების ოჯახური მდგომარეობა ფაქტობრივად არ განსხვავდება, სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობისგან. მხოლოდ 2%-ით მეტია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე განრიდებულ არასრულწლოვნებში დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების მაჩვენებელი, სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა იმ ოჯახებთან შედარებით, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ. რაც მიუთითებს, რომ ოჯახის შემოსავალი როგორც ეკონომიკური დანაშაულის გამომწვევი გარემოება, ნაკლებად შეიძლება იქნეს განხილული;

- 2023 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 74% საჯარო სკოლაში სწავლობდა.
- 2023 წლის მონაცემებით, ინდივიდუალური შეფასების ეტაპზე 112 (21%) არასრულწლოვანი განათლებას არ იღებდა. მათგან, სრული საშუალო განათლება მხოლოდ 16 (14%) არასრულწლოვანს აქვს მიღებული, დანარჩენი 96 ბავშვიდან 2 (2%) არასრულწლოვანს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის განათლება ჰქონდა მიღებული, 9 (8%) არასრულწლოვანმა საშუალო განათლება საბაზისო განათლების საფეხურზე, საბაზისო განათლების დასრულების გარეშე შეწყვიტა. 72 (64%) არასრულწლოვანს კი საბაზისო განათლების საფეხურის დასრულების შემდეგ განათლების მიღება აღარ გაუგრძელებია, ხოლო 13-მა (11%) არასრულწლოვანმა განათლების მიღება შეწყვიტა მე-10-11 კლასის დასრულების შემდეგ;
- კვლევამ აჩვენა, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა 71% (413 არასრულწლოვანი) დამატებითი აქტივობით დაკავებული არ არის;
- 2023 წელს განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან 197-ს (36%) ჰქონდა სამუშაო გამოცდილება, საიდანაც 126 არასრულწლოვანი სწავლობს. ამდენად, დასაქმებულ არასრულწლოვანთა 63%-ს სწავლისა და სამუშაოს შეთავსება უწევს;
- 2023 წელს განრიდებული არასრულწლოვნიდან 47 (9%) არასრულწლოვანი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული;

- ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება გამოვლინდა 24 (4%) არასრულწლოვანში, საიდანაც 12 (2%) დამოკიდებული იყო როგორც ალკოჰოლურ, ისე ნარკოტიკულ ნივთიერებებზე;
- 6 (1%) არასრულწლოვნის აზარტულ თამაშებზე, ხოლო 21 (4%) არასრულწლოვნის კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება დაფიქსირდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევის ძირითადი მიგნებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ მთავარი გამომწვევი მიზეზები, რომლებიც იწვევენ მოზარდთა მიერ დანაშაულის ჩადენას და შესაბამისად, განვიხილოთ ისეთი სახის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც დანაშაულის თავიდან აცილებას შეუწყობენ ხელს. მოცემული კვლევის შედეგები მსგავსია, მაგალითად, გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების, რაც მოზარდების მიერ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებად არის დასახელებული.[38] აღნიშნული კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მოზარდთა დანაშაული გარდატეხის პერიოდით არის განპირობებული და ის ყველა ქვეყანაში არის გავრცელებული, მათი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევის შედეგად, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება მოზარდის ოჯახური მდგომარეობა. კვლევამ აჩვენა, რომ 2023 წელს განრიდებული მოზარდების 20%-ის შემთხვევაში არასრულწლოვნის ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება საზღვარგარეთ. არასრულ ოჯახში მყოფი მოზარდები განიცდიან მშობლის არყოფნით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც ზრდის დანაშაულის ჩადენის რისკს.[39] ასევე პრობლემურია, ისეთი არასრულწლოვნების მდგომარეობა, რომელთა ოჯახის წევრი წარსულში იყო ნასამართლევი. კვლევის თანახმად, ასეთია 89 (16%) არასრულწლოვანი.

პრობლემურია ასევე მოზარდების სკოლასთან დაკავშირე-

38 Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, S. 33; Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 80.

39 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 24; Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, S. 33.

ბული საკითხები. 2023 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 26% საჯარო სკოლაში არ სწავლობდა. ვფიქრობთ, ოჯახთან ერთად სკოლა არის როგორც მოზარდის განათლებაზე, ასევე მის სწორ ღირებულებებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურა.[40] სკოლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არის დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი რისკფაქტორი.

ასევე გამოიკვეთა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების საკითხიც. კვლევამ აჩვენა, რომ 2023 წელს განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან 47 (9%) არასრულწლოვანი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება 24 (4%) არასრულწლოვნის მიმართ გამოვლინდა, საიდანაც 12 (2%) არასრულწლოვანი დამოკიდებული იყო როგორც ალკოჰოლურ, ასევე, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე. მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება ზრდის დანაშაულის ჩადენის ალბათობას.[41]

როგორც ვხედავთ, დანაშაულის პრევენციის მისაღწევად მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ რისკფაქტორებზე და მათ აღმოფხვრაზე: არასრული ოჯახი, ოჯახში ძალადობა, სკოლის სისტემატური გაცდენა, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება.[42]

თვალსაჩინოების მიზნით, გთავაზობთ დანაშაულის პრევენციის გრაფიკულ გამოსახულებას.[43]

40 Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 80.

41 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 33.

42 Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, S. 33; Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023, S. 80; მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 22-35.

43 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 70.

	პირველი დონე	მეორე დონე	მესამე დონე
დანაშაულის პრევენცია	- ნარკოტიკული საშუალებების კონტროლი, ანტინარკოტიკული კამპანია; - ძალადობრივი ხასიათის ვიდეოების შეძენის, გადმოწერის კონტროლი; - სასჯელით დამუქრება ნორმების დარღვევის შემთხვევაში.	- ნარკომომხმარებლე-ბისთვის დახმარების ცენტრების დაარსება; - პოლიციური ღონისძიე-ბები (კონკრეტული ადგი-ლიდან გაძევება, ხშირი კონტროლი, დაკავება).	- თერაპიული კურსები; - გაყრა, ბავშვზე ზრუნვის უფლების ჩამორთმევა; - სასჯელის დანიშვნა და აღსრულება.
სიტუაციური პრევენცია	- იარაღის შეძენის, ტარების კონტროლი; - ქალაქის დაგეგმარება და არქიტექტურული გეგმა (სმულების და თავშესაფრების დანგრევა, მაღალსართულიანი, ცივი, უსახური კორპუსების ნაცვლად, 3-4-სართულიანი საოჯახო ტიპის სახლები გამწვანებული ეზოებით).	- განსაკუთრებით საშიში ადგილების ვიდეოკონტროლი (გადასასვლელები, რკინიგზის სადგური, მეტრო, ბანკები, სუპერმარკეტები); - ტექნიკური საშუალებების პრევენცია (სიგნალიზაციის დაყენება, ველოსიპედის, მოტოციკლის დაკეტვა); - კერძო დაცვის კომპანიის დაქირავება.	- დანაშაულის ჩადენის იარაღის ჩამორთმევა; - დანაშაულის ჩადენის ადგილის დახურვა (კაფე, ბარი და ა. შ.).
მსხვერპლის პრევენცია	- სექსუალური ცნობიერების ამაღლება; - თავდაცვითი კურსები (განსაკუთრებით ქალებისა და გოგონებისთვის).	- ღამის ტაქსების ფირმების შემოღება (განსაკუთრებით გოგონებისა და ქალებისათვის), ღამის ბარიდან სახში მიყვანის მომსახურების შემოღება; - თვითდახმარების კურსები კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში; - პერსონალური დაცვის სერვისები პოლიტიკოსებისა და მენეჯერებისათვის.	- თავშესაფარში განთავსება; - ცხელი ხაზის გამოყოფა ოჯახური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის; - მოზარდების გადაყვანა უსაფრთხო გარემოში (მცირე საოჯახო ტიპის სახლები).

3. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი და პრევენცია

14 წლამდე ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენა ბევრი დასავლური ქვეყნისთვის და მათ შორის, საქართველოსთვის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 14 წლიდან დგება. ბავშვების მიმართ, რომლებიც დანაშაულს 14 წლამდე სჩადიან, სისხლისსამართლებრივი დევნა არ ხორციელდება, ვინაიდან მათ ჯერ არ აქვთ საკმარისი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ჩაიდინეს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი აღნიშნავს ასაკს, როდესაც ადამიანს კანონმდებლობით მიიჩნევენ, რომ ის აცნობიერებს თავისი მოქმედების შედეგებს იმდენად, რომ შეუძლია სხვას განზრახ მიაყენოს ზიანი და ამიტომ უნდა აიღოს პასუხიმგებლობა თავისი ქმედებებისთვის.[44]

განვითარების ფსიქოლოგიური და ნეირობიოლოგიური თვალსაზრისით არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 12 ან 13 წლის ასაკში ბავშვების უმრავლესობას გააჩნია ის საჭირო თვითკონტროლის დონე, ინტელექტუალური და ნებელობითი უნარი (die Einsichts- und Steuerungsfähigkeit), რაც აუცილებელია სისხისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.[45]

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ „მორალურად სწორი შეფასება ქცევაზე უმრავლესობისთვის მხოლოდ 14 წლის ასაკიდან არის შესაძლებელი“.[46] 13 წლის პირი შესაძლოა ინტელექტუალურად უფრო მომწიფებული იყოს, ვიდრე 14 წლის, თუმცა ჩადენილი უმართლობა მას ბრალად არ შეერაცხება.[47]

ამკ-ს მესამე მუხლის მესამე ნაწილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად განსაზღვრავს 14 წელს. ასევე ევროპის უმეტეს ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირის

---

44 Grüne, B./Schmoll, A./Hopps, S/Willems, D., Kinderdelinquenz in Deutschland, Factsheet der Arbeitsstelle Kinder- und Jugendkriminalitätsprävention am Deutschen Jugendinstitut e. V. (DJI), In: Forum Kriminalprävention 2/2024, S. 26.

45 Eisenberg, U./Kölbel, R., Kriminologie, 7. Auflage, Tübingen, 2017, S. 320.

46 Grüne, B./Schmoll, A./Hopps, S/Willems, D., Kinderdelinquenz in Deutschland, Factsheet der Arbeitsstelle Kinder- und Jugendkriminalitätsprävention am Deutschen Jugendinstitut e. V. (DJI), In: Forum Kriminalprävention 2/2024, S. 26.

47 გ. ნაჭყებია/ნ. თოდუა (მთავ. რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 2024, გვ. 361.

წევრია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 14 ან 15 წლის ასაკში.[48]

3.1. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში

2022-2024 წლებში 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში შემდეგია.

2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
7 წლის - 0	7 წლის -1	7 წლის - 0
8 წლის - 2	8 წლის - 5	8 წლის - 3
9 წლის - 4	9 წლის - 6 (მათ შორის, 1 გოგონა)	9 წლის - 6
10 წლის - 6	10 წლის - 5 (მათ შორის, 1 გოგონა)	10 წლის - 2
11 წლის - 9	11 წლის - 6 (მათ შორის, 3 გოგონა)	11 წლის - 11 (მათ შორის, 2 გოგონა)
12 წლის - 23	12 წლის - 20 (მათ შორის, 2 გოგონა)	12 წლის - 32 (მათ შორის, 2 გოგონა)
13 წლის - 30 (მათ შორის, 1 გოგონა)	13 წლის - 36 (მათ შორის, 9 გოგონა)	13 წლის - 21 (მათ შორის, 3 გოგონა)
სულ: 74	სულ: 79	სულ: 75

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2022-2024 წლებში საქართველოში 7-დან 14 წლამდე 228 დანაშაულის ჩამდენი ბავშვი იქნა რეგისტრირებული. აღნიშნული 228 ბავშვიდან, რომელმაც რეფერირების პროგრამებში მიიღო მონაწილეობა, რეფერირების პირობები დაარღვია და დანაშაული ჩაიდინა 29 ბავშვმა, რაც 12,7% შეადგენდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის 5 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით 7-დან 14 წლამდე ასაკის 20 არასრულწლოვანი იქნა დარეგისტრირებული. მათ შორის, 15 ბავშვის მიერ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული, სსკ-ის 178-ე მუხლით - 2, სსკ-ის 126 მუხლით - 2 და სსკ-ის 115 მუხლით - 1 დანაშაული.[49]

48 Grüne, B./Schmoll, A./Hopps, S/Willems, D., Kinderdelinquenz in Deutschland. Factsheet der Arbeitsstelle Kinder- und Jugendkriminalitätsprävention am Deutschen Jugendinstitut e. V. (DJI), In: Forum Kriminalprävention 2/2024, S. 26.

49 საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. თბილისი, 2020. https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpxMZfEG.pdf [30.03.2025]

აღნიშნული ნათლად მიუთითებს 14 წლამდე ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს მიერ რეაგირების აუცილებლობაზე. როგორც ვხედავთ ამ ბავშვების მიერ ძირითადად ქურდობა არის ჩადენილი.

3.2. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის საკანონმდებლო რეგულირება

,,არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #681 დადგენილება არის პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის საკითხს.

მოცემული #681 დადგენილება ვრცელდება რთული ქცევის მქონე 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის მიმართ დაწყებულია განრიდების პროცესი, ან მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა და 7-დან 14 წლამდე ასაკის იმ არასრულწლოვნებზე, რომლებთან მიმართებითაც კომპეტენტური უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

არასრულწლოვანთა რეფერირების წესის მიზანია რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად იქმნება რეფერირების ცენტრები.

დღეის მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით შექმნილია 4 რეფერირების ცენტრი, რომელიც ემსახურება საქართველოს მთელს ტერიტორიას. ეს ცენტრებია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ხაშური.

არასრულწლოვანთა რეფერირების ეტაპები გულისხმობს: ა) რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებასა და მის შესახებ ინფორმაციის ცენტრისთვის მიწოდებას; ბ) არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას; გ) არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ჩართვას ან/და გადამისამართებას; დ) ოჯახის სოციალური ფუნქციონირების მხარდამჭერი სერვისების

უზრუნველყოფასა და განვითარებას; ე) არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში მონაწილეობის მონიტორინგის და არასრულწლოვნის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელებას; ვ) შესაბამისი სერვისის/პროგრამის დასრულების შემდეგ მონიტორინგის განხორციელებას; ზ) უკიდურეს შემთხვევაში, არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნას.

საქართველოს მთავრობის #681 დადგენილების თანახმად, განსაზღვრული უწყებისთვის/დაწესებულებისათვის რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისას ან სხვა ეტაპზე ცნობილი გახდა არასრულწლოვნის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედების სავარაუდო ჩადენის შესახებ, იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციას აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და დადგენილი წესით უზრუნველყოფს ცენტრის ინფორმირებას.

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში არასრულწლოვნის გადმომისამართებას ახორციელებენ: საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი და თვითმმართვა (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი).[50]

ბავშვის გადამისამართების შემდეგ რეფერირების ცენტრი აგროვებს ინფორმაციას ბავშვის შესახებ, როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლისგან, ისე სახელმწიფო უწყებებისგან (მაგ.: შსს, პროკურატურა, სახელმწიფო ზრუნვის ორგანოები, სკოლა). ინფორმაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი ამზადებს და ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფს დასამტკიცებლად წარუდგენს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რომელშიც განსაზღვრავს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და საჭიროებებს, რომელთა

50 https://cpp.gov.ge/ka/arasrultslovanta-referirebis-tsentri [30.03.2025]

საფუძველზეც ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვნისა და კანონიერი წარმომადგენლის/ფაქტობრივი მზრუნველისთვის კონსულტაციის გაწევას, კანონიერ წარმომადგენელთან/ფაქტობრივ მზრუნველთან ხელშეკრულების გაფორმებასა და არასრულწლოვნის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ჩართვას ამ წესის შესაბამისად. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ცენტრი, შესაბამისი სერვისის/პროგრამის მიმწოდებელ უწყებასთან/დაწესებულებასთან ერთად, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან/ფაქტობრივ მზრუნველთან ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც აისახება არასრულწლოვნის შესაბამის სერვისში/პროგრამაში მონაწილეობის წესი, პირობები, ვადები და რეფერირების ფარგლებში კანონიერი წარმომადგენლის/ფაქტობრივი მზრუნველის ვალდებულებები. ხელშეკრულების მოქმედების ვადას, არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ადგენს ცენტრი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 24 თვეზე მეტი.

რეფერირების სისტემა არის ,,არასრულწლოვნის ერთგული მეგობარი“,[51] რომელიც შესაძლებლობას აძლევს ბავშვს გაიაზროს საკუთარი ქმედება და მომავალში თავიდან აიცილოს დანაშაულის ჩადენა.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიშის მიხედვით, რეფერირების შედეგად ბავშვები მონაწილეობდნენ შემდეგი სახის ღონისძიებებში, რომლებიც ეხება როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს: [52] ფსიქო-სოციალური პროგრამა - „სოციალური უნარები და სოციალური გადაწყვეტილებები”; „ოჯახის გაძლიერებისა და პოზიტიური აღზრდის პროგრამა“; პროგრამა - „ცხოვრების ჯანსაღი წესი“; „სოციალური უნარებისა და სოციალური გადაწყვეტილებების პროგრამა“; „ემოციების რეგულაციის“ სარეაბილიტაციო პროგრამა; არტ-თერაპიის სარეაბილიტაციო პროგრამა; „ლიტერატურული საღამო“; „ანიმაციების ხელოვნება“; ფილმების ჩვენება-განხილვა; თიხაზე მუშაობის მასტერკლასი; ვიზიტები

51 ნ. გობეჯიშვილი, რეფერირების ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. თსუ-ს სამართლის ჟურნალი #2, 2024. გვ. 211.
52 https://is.gd/KxALVw [30.03.2025]

მოზარდ-მაყურებელთა და რუსთაველის თეატრებში; ვიზიტი საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე; ვიზიტი ზაზა ფაჩულიას აკადემიაში; ვიზიტი „ექსპერიმენტორიუმში“; „ერთი დღე პროფესიონალთან“.

3.3. 14 წლამდე ბავშვების დანაშაულის ძირითადი ტენდენციები და გამომწვევი მიზეზები

ბავშვთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ტენდენციები დიდად არ განსხვავდება მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულებისგან. შესაბამისად, ბავშვებისა და მოზარდების დანაშაული არის უნივერასალური/ყველა დროში გავრცელებული და ეპიზოდური; ბავშვები უფრო ხშირად ხდებიან მსხვერპლები, ვიდრე დამნაშავეები; ბავშვთა ასაკში დელინქვენტობა არის ბევრად უფრო იშვიათი, ვიდრე მოზარდებისა და ზრდასრული ახალგაზრდების დროს; ბავშვთა დელინქვენტობის დიდი ნაწილი შედგება წვრილმანი დანაშაულისაგან - „Bagatelldelikten“; ბავშვთა დელინქვენტობა, ძირითადად, სპონტანური და სიტუაციურია, და არა დაგეგმილი; ბიჭების დელინქვენტობა უფრო ხშირია, ვიდრე გოგონების.[53]

დელინქვენტობა არის კრიმინოლოგიური და არა სამართლებრივი ტერმინი. ბავშვებისა და მოზარდების დელინქვენტობა ითვლება მოზარდებისა და ბავშვების (ზემოთ ხსენებული მნიშვნელობით) ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება მოზრდილთა საზოგადოების მიერ აღიარებულ ნორმებს.[54] ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც სისხლის სამართლისთვის არარელევანტურ ქმედებებს (მაგალითად, ქუჩებში უაზრო ხეტიალი და უსაქმურობა, სკოლის გაცდენა, წებოებისა და სხვა გამხსნელების სუნთქვა), ისე სისხლის სამართლის დანაშაულებს. უმეტესად, დელინქვენტობა განსხვავდება „კრიმინალური“ ქცევისგან, ანუ კრიმინალობისგან იმით, რომ დელინქვენციური ქცევები ნაკლებად მძიმეა და/ან მხოლოდ დროებითია და ბავშვის განვითარების შემადგენელი ნაწილია.[55]

რაც შეეხება ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის ხელის შე-

53 Grüne, B./Schmoll, A./Hopps, S/Willems, D., Kinderdelinquenz in Deutschland. Factsheet der Arbeitsstelle Kinder- und Jugendkriminalitätsprävention am Deutschen Jugendinstitut e.V. (DJI). In: Forum Kriminalprävention 2/2024, S. 23.

54 Matzke, M./Fritsch, K., Kindeswohlgefährdung bei Kinder- und Jugenddelinquenz. In: Familie Partnerschaft Recht (FPR) 2012, S. 459.

55 იქვე.

მწყობ პირობებს, ეს შეიძლება იყოს:[56] ოჯახური რისკები (ოჯახის წევრების მიერ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, ფსიქიკური დარღვევები, აღზრდის სტილი, განათლების დონე, შემოსავალი, სოციალურ ქსელებში ჩართულობა და სხვა); ბავშვის პიროვნული მახასიათებლები და ფსიქიკური პრობლემები; შეძენილი სოციალური უნარები და პრობლემების დაძლევის გზები; სკოლასთან დაკავშირებული რისკები/სირთულეები; თანატოლთა ჯგუფი (Peer Group); თავისუფალი დროის გატარების სტილი; მედიის/სოციალური ქსელების მოხმარება; ნივთიერებების გამოყენება.

3.4. 14 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის რეგულირება გერმანიაში

გერმანიაში 14 წლამდე ბავშვები დელინქვენტობის თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად არიან აღრიცხულნი მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით. უახლესი მონაცემების მიხედვით, მათი წილი იმ დანაშაულების მაჩვენებელში, სადაც წარდგენილია ბრალი დანაშაულში მონაწილეობის შესახებ, შეადგენს მხოლოდ 3-6%-ს.[57]

ვინაიდან ისინი გერმანიაში არ ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ დევნას, მათ მიმართ გამოყენებულია აღმზრდელობითი და მზრუნველობითი ხასიათის ღონისძიებები როგორც ბავშვების, ისე მშობლების მიერ.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინს „Kindeswohl“, რაც ქართულად ნიშნავს „ბავშვის საუკეთესო ინტერესს“ ან „ბავშვის კეთილდღეობას“.

გერმანული სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1666-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი განასხვავებს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ კეთილდღეობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა ყოველთვის შეუძლებელია - მაგალითად, ფიზიკური ძალადობა შეიძლება ბავშვის სულიერ კეთილდღეობაზეც ზემოქმედებდეს - ეს განასახიერებს სახელმწიფოს ყოვლისმომცველ დაცვას განვითარების პროცესში მყოფი ბავშვის მიმართ.[58]

56 Lösel, F./Bliesener, Th., Aggression und Delinquenz unter Jugendlichen. Untersuchungen von kognitiven und sozialen Bedingungen. München, 2003. S. 61-78.

57 Eisenberg, U./Kölbel, R., Jugendgerichtsgestz. Kommentar. 24. Auflage. München, 2023, § 1 Rn. 8-9.

58 Matzke, M./Fritsch, K., Kindeswohlgefährdung bei Kinder- und Jugenddelinquenz, In: Familie Partnerschaft Recht (FPR) 2012, S. 460.

ბავშვის და ახალგაზრდობის დაცვის კანონმდებლობიდან მნიშვნელოვანია, სოციალური კოდექსის (Sozialgesetzbuch) VIII წიგნი (SGB VIII) - ბავშვთა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა (Kinder- und Jugendhilfe).

ბავშვთა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის კანონმდებლობის მიზანია ბავშვების აღზრდასა და განვითარებაში შანსების თანაბრობის ხელშეწყობა, რომელიც ხორციელდება ზრუნვის, აღზრდის და თერაპიების მექანიზმების შექმნითა და დანერგვით.[59]

სოციალური სამართლის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი არის მდგომარეობა ან სიტუაცია, რომელიც სამართლებრივად იწვევს სოციალურ დახმარებაზე უფლების არსებობას, რომელიც გამომდინარეობს ოჯახური აღზრდის, განათლების და ზრუნვის დეფიციტიდან.[60]

სოციალური კოდექსის VIII წიგნის - ბავშვთა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა - ძირითადი სერვისებია: ახალგაზრდების ზოგადი მხარდაჭერა (სოციალიზაციის, თვითრეალიზაციის ხელშეწყობა); აღმზრდელობითი ხასიათის დახმარება ისეთი ოჯახებისთვის, რომლებიც მარტო ვერ ართმევენ თავს საკუთარი ბავშვის აღზრდას (მშობლების მხარდაჭერა აღზრდაში); სპეციალური დახმარებები ბავშვებისათვის, რომლებსაც აღზრდასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ, მაგალითად, ფსიქოლოგიური კონსულტაციები; ბავშვთა დაცვის ღონისძიებები, მაგალითად, უგულებელყოფილი ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვები; ახალგაზრდული სოციალური მუშაობა, მაგალითად, სკოლაში ან ქუჩის სამუშაოების შესრულება და სხვა.[61]

გერმანიის კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ბავშვების აღზრდა და მათი მოვლა წარმოადგენს მშობლების ბუნებრივ უფლებას და უპირველესად მათზეა დაკისრებული ეს მოვალეობა. მშობლების ამ უფლების განხორციელებას კონტროლს უწევს სახელმწიფო და საზოგადოება. სახელმწიფო ანხორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, რათა არ დასჭირდეს მშობლის აღმზრდელობით საქმიანობაში ჩარევა.[62]

სახელმწიფოს მხრიდან განსხვავებული რეაგირების ფო-

59 Wiesner, R. (Hrsg.), SGB VIII. Kinder-und Jegendhilfe. Kommentar. München, 2011. S. 24.
60 იქვე.
61 Wiesner, R. (Hrsg.), SGB VIII. Kinder-und Jegendhilfe. Kommentar. München, 2011. S. 29-32.
62 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016. გვ. 22.

რმებმა შეიძლება ხელყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპი. ამიტომ, დაუფიქრებელი ან არაკორექტული ბავშვზე ზრუნვა არ არის მისასალმებელი. ზრუნვა მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ ინდივიდუალურ შემთხვევას, უნდა იყოს აუცილებელი, გამოსადეგი და პროპორციული.[63]

აღმზრდელობითი ხასიათის დახმარების ფარგლებში სოციალური კოდექსის VIII წიგნის 33-ე მუხლი ითვალისწინებს აღმზრდელობით დახმარებას სრულად განთავსებით სხვა ოჯახში, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ან მოზარდის ასაკისა და განვითარების დონეს, პიროვნულ ემოციურ კავშირებს და ბიოლოგიურ ოჯახში აღზრდის პირობების გაუმჯობესებას. ამ სახის დახმარება უზრუნველყოფს ბავშვისთვის ან მოზარდისთვის დროებით აღმზრდელობით მხარდაჭერას ან გრძელვადიან საცხოვრებლად სხვა ოჯახში ყოფნას.

სოციალური კოდექსის VIII წიგნის 34-ე მუხლი - ბავშვთა სახლში ან სხვა მზრუნველობით საცხოვრებელ ადგილას განთავსება - შესაძლებელს ხდის ბავშვთა სახლში განთავსებას ისეთი ბავშვისა, რომელსაც ოჯახში არა აქვს განვითარებისათვის სტაბილური გარემო. ამ მუხლის თანახმად, ბავშვთა სახლში სადღეღამისო განთავსება (Heimerziehung) ან სხვა მზრუნველობით საცხოვრებელ ადგილას განთავსება [მზრუნველობის და ზედამხედველობის ქვეშ მარტო ცხოვრება, SOS ბავშვთა სოფელი, სკოლაინტერნატი][64] წარმოადგენს აღმზრდელობით დახმარებას, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდების განვითარების ხელშეწყობას ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილების, ასევე პედაგოგიური და თერაპიული შეთავაზებების შერწყმით. ეს დახმარება უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ან მოზარდის ასაკს და განვითარების დონეს, ასევე მისი წარმოშობითი ოჯახის აღმზრდელობითი პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობებს და მიზნად უნდა ისახავდეს: ა) ბავშვის ოჯახში დაბრუნების მცდელობას, ბ) სხვა ოჯახში აღზრდისთვის მომზადებას, გ) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფორმის შექმნას და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებას. მოზარდებს უნდა გაეწიოთ კონსულტაცია და მხარდაჭერა განათლების, და-

63 Matzke, M./Fritsch, K., Kindeswohlgefährdung bei Kinder- und Jugenddelinquenz, In: Familie Partnerschaft Recht (FPR) 2012, S. 461.

64 Wiesner, R. (Hrsg.), SGB VIII. Kinder-und Jegendhilfe. Kommentar. München, 2011. S. 434-436.

საქმების და ცხოვრების ზოგადი მოწყობის საკითხებში.[65]

სახელმწიფოს რეაგირება ბავშვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პირველ რიგში ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ბავშვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებას აქვს შემდეგი ეტაპები:[66]

- პოლიციაში შეტყობინება

ბავშვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პოლიცია იღებს შეტყობინებას. პოლიცია დაუყოვნებლივ შეატყობინებს ახალგაზრდულ სამსახურს (Jugendamt) და სხვა შესაბამის ორგანოებს, როდესაც ნათელი ხდება, რომ ახალგაზრდული დახმარების მომსახურება (Jugendhilfe) შეიძლება იყოს საჭირო. შეტყობინება ხდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით. პოლიციის გამოძიება ფოკუსირებულია მხოლოდ იმაზე, არიან თუ არა ჩართულნი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე პირები, საჭიროა თუ არა ოჯახური სასამართლოსა და უწყებათაშორისი ზომების გატარება. პოლიცია ჩადენილის შესახებ ატყობინებს მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს. არ ხორციელდება პოლიციის მხრიდან რაიმე სახის სისხლისსამართლებრივი გამოძიება ბავშვების წინააღმდეგ. შესაძლებელია პოლიციამ მიიღოს ზომები ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად (მაგ. დაზარალებულის მხრიდან ბავშვზე თავდასხმის საფრთხის თავიდან აცილება).

- ახალგაზრდული სამსახური (Jugendamt)

ახალგაზრდული სამსახური პოლიციიდან მიღებული შეტყობინების შემდეგ, ამოწმებს არსებობს თუ არა აღმზრდელობითი საჭიროება და რომელი სახის დახმარება ან მომსახურება შეიძლება განიხილებოდეს ბავშვისა და მისი ოჯახისათვის. ახალგაზრდული სამსახურისთვის ხელმისაწვდომია სოციალური კოდექსის მერვე წიგნით (SGB VIII) გათვალისწინებული ყველა სახის დახმარება, რომელიც ინდივიდუალურად განიხილება ბავშვის ინტერესის დაცვის შესაბამისად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ინდივიდუალურ აღმზრდელობით საჭიროებას, რომელსაც ადგენს ახალგაზრდული სამსახური ბავშვის ან მშობლებისათვის.

---

65 Harrer-Amersdorffer, J., Stationäre Erziehungshilfe. https://www.socialnet.de/lexikon/Stationaere-Erziehungshilfe [02.05.2025]

66 Grüne, B./Schmoll, A./Hopps, S/Willems, D., Kinderdelinquenz in Deutschland. Factsheet der Arbeitsstelle Kinder- und Jugendkriminalitätsprävention am Deutschen Jugendinstitut e.V. (DJI). In: Forum Kriminalprävention 2/2024, S. 25.

- პროკურატურა

პროკურატურა არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას და არ აწარმოებს საგამოძიებო პროცესს. აბსოლუტური პასუხისმგებლობის უუნარობა პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს სამართალწარმოების ბარიერს. როგორც კი სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისთვის ცნობილი ხდება, რომ ბავშვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელია ასაკის მიუღწევლობის გამო, უკვე დაწყებული საგამოძიებო პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, ჩერდება. პროკურატურა ამოწმებს, ვის უნდა მიეწოდოს ინფორმაცია და საჭიროა თუ არა ზომების მიღება ზედამხედველობის ვალდებულების მქონე პირთა მიმართ, მაგალითად, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის (ზრუნვის ან აღზრდის ვალდებულების დარღვევა) ფარგლებში.[67]

- ოჯახი

ბავშვზე მზრუნველობის უფლების მქონე პირები, ჩვეულებრივ მშობლები, პირველ რიგში არიან პასუხისმგებელნი, როგორც ბავშვის სოციალიზაციის პირველადი ინსტანცია, როდესაც ბავშვი ავლენს დელინქვენტურ ქცევას. ეს პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად იმისა, გახდება თუ არა სამართალდარღვევა პოლიციისთვის ცნობილი. მშობლებს და ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, თუნდაც დანაშაული ოფიციალურად არ იყოს დაფიქსირებული, მიმართონ ახალგაზრდულ სამსახურს (Jugendamt) დახმარებისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანიაში ბავშვთა დელინქვენტობის/14 წლამდე პირების მიერ დანაშაულის ჩადენის რეაგირების სისტემა ემყარება აღმზრდელობით და არა სადამსჯელო მიდგომას. აქცენტი კეთდება ადრეულ ჩარევაზე, რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების დახმარებასა და დაცვაზე, თუმცა პრობლემაა რესურსების დეფიციტი და საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოების მოლოდინი.

---

67 გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის მიხედვით, ის პირი, ვინც საკუთარი ზრუნვის ან აღზრდის ვალდებულებას პირის მიმართ უხეშად არღვევს, რომელიც ჯერ არ არის თექვსმეტი წლის, და ამით საფრთხეს უქმნის ამ არასრულწლოვნის ფიზიკურ ან ფსიქიკურ განვითარებას სერიოზული ზიანის მიყენებით, დანაშაულებრივ ცხოვრებაში ჩაბმით ან პროსტიტუციით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან ჯარიმით.

თავი მეორე

განრიდება და მედიაცია - აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც პრევენციის საუკეთესო საშუალება

1. განრიდება/განრიდება და მედიაცია, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მესამე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, განრიდება არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

„სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები მიზნად ისახავს კონფლიქტის არასისხლისსამართლებრივი გზით გადაწყვეტას.“[68]

განრიდება და მედიაცია არის აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი,[69] რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს (ამკ-ს მესამე მუხლის მე-8 ნაწილი).

„ნევროლოგიური კვლევები ცხადყოფენ კრიმინოლოგიისთვის ნაწილობრივ ნაცნობ სანქციის ეფექტიანობის სხვადასხვა ფაქტორს: ერთი მხრივ, სასჯელი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც იგი სოციალური კონტროლის სისტემაში თავშეკავებულ ადგილს იკავებს [სახელმწიფოს მხრიდან თავშეკავებულად გამოიყენება], ხოლო მეორე მხრივ, ხაზი უნდა გაესვას მოზარდისთვის შესაძლებლობის მიცემას საკუთარი დადებითი საქციელით აღიდგინოს იმიჯი საზოგადოებაში.[70]

ასეთი კვლევების შედეგების საფუძველზე კიდევ უფრო აშკარა

68 ი. აქუბარდია, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ. გ. ნაჭყებიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 2016. გვ. 62.

69 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016. გვ. 91.

70 Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 53.

ხდება აღდგენითი მართმსაჯულების გამოყენების აუცილებლობა.“[71]

სასჯელის თავშეკავებულად გამოყენების ყველაზე კარგი საშუალება არის განრიდება/განრიდება და მედიაციის ღონისძიება, ვინაიდან ის მოზარდს აძლევს შესაძლებლობას დარჩეს საზოგადოებაში და იზრუნოს საკუთარი იმიჯის აღდგენაზე.

„აღდგენითი მართლმსაჯულება არის დანაშაულისადმი პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს მხარეთა და საზოგადოების ჩართულობას ინსტიტუციურ ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობით. ეს არ არის კონკრეტული პრაქტიკა, არამედ – პრინციპთა ერთობლიობაა, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს ნებისმიერი მონაწილისა თუ ჯგუფის მოქმედება.“[72]

„აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის ამოსავალი წერტილია დაზარალებულზე და მის საჭიროებებზე ზრუნვა. მისი მიზანია შეძლებისდაგვარად გამოასწოროს მიყენებული ზიანი, როგორც კონკრეტული, ასევე სიმბოლური თვალსაზრისით.“[73]

განრიდება და მედიაცია არის შესაძლებლობა დაზარალებულს აუნაზღაურდეს ზიანი და გაუქრეს შიში დანაშაულისადმი.[74]

პირველ რიგში საკითხავია, რამდენად შეიცავს არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება - მედიაციის პროცესი - აღმზრდელობით ასპექტებს.

დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პედაგოგიური ასპექტები მდგომარეობს შემდეგში:[75]

- დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას დაფიქრდნენ საკუთარ საქციელზე. დამნაშავე მიხვდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ხოლო დაზარალებული დაფიქრდეს, სურს თუ არა დამნაშავესთან ურთიერთობის გართულება;
- დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების მნიშვნელო-

71 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016. გვ. 91.

72 ი. ერცენი/ჯ. ჯავახიშვილი/ლ. ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო. თბილისი, 2020. გვ. 24.

73 ჰ. ზეჰრი, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი. თბილისი, 2002. გვ. 26.

74 მ. შალიკაშვილი/ხ. თანდილაშვილი/უ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია. მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2023. გვ. 251.

75 იგივე, გვ. 243.

ვანი პედაგოგიური ხასიათი მდგომარეობს მონაწილეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მონაწილეებში პასუხისმგებლობის აღებას;

- (არასრულწლოვანი) დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პედაგოგიური მიზანი მდგომარეობს როგორც დამნაშავე პირის, ასევე დაზარალებულის რესოციალიზაციაში;
- (არასრულწლოვანი) დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პედაგოგიური ხასიათი შეიძლება გამოიხატოს სხვა, უცხო პირებთან ურთიერთობის სწავლაში, რაც მხარეებს ხელს შეუწყობს (ახალი) სოციალური ურთიერთობის დამყარებაში;
- (არასრულწლოვანი) დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება დამნაშავეს აიძულებს (შესაძლებელია პირველად მის ცხოვრებაში) პატივი სცეს საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შემდგომში ამ ნორმებისადმი პატივისცემის სურვილს;
- დაზარალებულის თვალთახედვიდან დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება შესაძლებელს ხდის, რომ დაზარალებულმა დამნაშავის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მიღოს, რაც მასში დამნაშავეობისადმი შიშის გაქრობას და რევიქტიმიზაციისაგან დაცვას შეუწყობს ხელს;
- დაზარალებულს პირველად მიეცემა შესაძლებლობა დამნაშავეს უთხრას რასაც ის მასზე ფიქრობს, რაც დაზარალებულის ემოციებისაგან გათავისუფლებას და შესაბამისად, მის მომავალში ფსიქოლოგიურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა 2010 წელს ამოქმედდა, თავდაპირველად თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში. 2011 წელს ამოქმედდა კიდევ ორ ქალაქში - გორში და სამტრედიაში, 2012 წელს კი - 9 ქალაქში, ხოლო 2014 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2015 წელს მიღებულმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობას გაუსვა ხაზი, რამაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

განრიდების გამოყენების საჭიროებაზე საუბრობს გაეროს

მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ე. წ. პეკინური წესების მე-11 მუხლი, რომლის თანახმად, პოლიციას, პროკურატურას და სხვა ორგანოებს, რომლებიც იხილავენ არასრულწლოვანთა საქმეებს, უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილება ფორმალური განხილვის გარეშე შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ წესებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამასწორებელი ღონისძიებებით, რაც მოიცავს საქმის გადაცემას შესაბამის საზოგადოებრივ ან სხვა სამსახურისათვის, მოითხოვს არასრულწლოვნის ან მისი მშობლის ან მეურვის თანხმობას, თუ ასეთი გადაწყვეტილება საქმის გადაცემის შესახებ, შეიძლება განიხილოს კომპეტენტურმა ორგანომ, გასაჩივების შემთხვევაში.

„არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანების მიხედვით, განრიდება/განრიდება და მედიაცია ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: ა) ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა - არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს; ბ) ნებაყოფლობითობა – განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენის მოხდენა. მხარეები უფლებამოსილნი არიან უარი განაცხადონ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე; გ) პროპორციულობა – განრიდების ღონისძიება უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე; დ) კონფიდენციალურობა – განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინ-

ფორმაცია კონფიდენციალურია და, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული, დაუშვებელია მისი გამჟღავნება; ე) სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე; ვ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება – პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

2. განრიდება

2.1. განრიდების გადაწყვეტილება და მისი გამოყენების წინაპირობები

ამკ-ს 38-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

„არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანების მიხედვით, განრიდების შესახებ წინასწარ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს არასრულწლოვანთან და დაზარალებულთან შეხვედრების შემდეგ. არასრულწლოვნის განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დადგენილება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ. არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის შემთხვევაში, პროკურორი დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის

იურიდიულ პირს „პრობაციის ეროვნულ სააგენტოს“, რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სოციალურ მუშაკს. საქმეში დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში პროკურორი, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ (შემდგომში „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“), რომელიც მოცემულ საქმეს 2 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს მედიატორს. სოციალური მუშაკი ახდენს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას. შეფასების ანგარიშს, რეკომენდაციას განრიდების ღონისძიების შესახებ და ხელშეკრულების სხვა სარეკომენდაციო პირობებს სოციალური მუშაკი პროკურორს საქმის მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს. თუ შეფასება 10 სამუშაო დღეში გონივრული მიზეზის გამო ვერ სრულდება, ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მიზეზის აღმოფხვრამდე, რის შესახებაც, წერილობითი დასაბუთებით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. სოციალური მუშაკის პარალელურად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში მედიატორი უკავშირდება დაზარალებულს, უხსნის მას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსს, პრინციპებს, მიზნებს, მისი მონაწილეობის შედეგებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა დაზარალებულმა მედიაციაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს.

განრიდების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, რომელიც უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ.

გარდა პროკურორისა, განრიდების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მოსამართლესაც. კერძოდ, ამკ-ს 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით, ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე ან პირველი ინსტა-

ნციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს.

მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, რომ არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი დევნის საქმე კიდევ ერთხელ იქნეს განრიდებაზე შემოწმებული, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპის განხორციელებას კარგ შესაძლებლობას აძლევს.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპით, სადაც მოსამართლე ძირითადად მედიატორად/არბიტრად გამოდის და მისი უფლებები შეზღუდულია.[76] თუმცა მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოყენება მიუთითებს ამ პრინციპის მეორეხარისხოვან მდგომარეობაზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპის დაცვას აქვს უპირატესი ძალა შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც, მათ შორის, მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოყენების შესაძლებლობაში გამოიხატება.

პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას, ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამ კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში (ამკ-ს 38-ე

76 გ. გიორგაძე (მთავ. რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი. თბილისი, 2015. გვ. 85; ი. აქუბარდია, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de. 2/2015. გვ. 13.

მუხლის მესამე ნაწილი).

ამკ-ს 39-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ ოქმს ხელს აწერენ პროკურორი და არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი. პროკურორმა თუ უარი თქვა არასრულწლოვნის განრიდებაზე, არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს, განრიდების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ პროკურორს.

პროკურატურა არის სისტემა, სადაც უფლებამოსილება ხორციელდება ვერტიკალურად, ზემოდან ქვემოთ. პროკურორს, დიდი ალბათობით, არასრულწლოვნის განრიდებაზე უარი შეთანხმებული უნდა ჰქონდეს მის ზემდგომ პროკურორთან. აღნიშნული თუ ასეა, მაშინ ეს უფლება კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას.[77]

გასაჩივრება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მატარებელი იქნებოდა, თუ პროკურორის ეს განრიდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება პირდაპირ სასამართლოში გასაჩივრდებოდა და მოსამართლეს უფლება ექნებოდა პროკურორისთვის მოზარდის განრიდება დაევალებინა. ასეთ შემთხვევაში, აღარ მოხდებოდა არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მართმსაჯულებაში ჩაბმა და დაიზოგებოდა სახელმწიფო რესურსი, ვინაიდან მოსამართლემ შესაძლებელია ეს საქმე მოგვიანებით მაინც დაუბრუნოს პროკურორს განსარიდებლად ამკ-ს 39-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.[78]

„პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი და მისი კანონიერების შემოწმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არსებობს პროკურატურის მხრიდან თვითნებობის ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი.“[79]

ამკ-ს მე-11 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს.

77 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016. გვ. 96.

78 იქვე, გვ. 97.

79 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N 1/5/1355,1389 გადაწყვეტილება, სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. 52.

,,2023 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 89%-ის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის გამოკვეთიდან პირველი სამი თვის ვადაში იქნა მიღებული, მათ შორის, 82,2%-ის შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებული იყო დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნიდან პირველივე თვეს.“[80]

2.2. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის გამოყენების წინაპირობები

ამკ განსაზღვრავს განრიდების გამოყენების წინაპირობებს. ამკ-ს მე-40 მუხლის თანახმად, განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა; ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის; გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა; დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს; ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

აღნიშნული კრიტერიუმები კუმულაციურად მოქმედებს და ერთი მათგანის არარსებობაც კი, შეუძლებელს ხდის განრიდებისა და განრიდება და მედიაციის განხორციელებას. განვიხილოთ თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე.

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა

მოცემული კრიტერიუმი ორი ასპექტისგან შედგება: ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენა უნდა იყოს სახეზე და ამ დანაშაულისთვის პროკურორს უნდა გააჩნდეს საკმარისი

80 საქართველოს გენერალური პროკურატურა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანალიზი. თბილისი, 2024. გვ. 28. https://pog.gov.ge [21/04/2025]

მტკიცებულებები. სსკ-ის მე-12 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი განსაზღვრავს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის საკითხს. კერძოდ, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას, ხოლო მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

სსსკ-ის მეორე მუხლის მე-11 ნაწილი გვთავაზობს დასაბუთებული ვარაუდის ცნებას. ამ მუხლის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. ,,დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ყველაზე უფრო დაბალი ხარისხის მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც გამოიყენება გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას.“[81]

საკმარისი მტკიცებულებების არსებობა გულისხმობს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ჩაატარეს წინასწარი მოკვლევა და მოიპოვეს მტკიცებულებები, რითაც დასტურდება, რომ ეს დანაშაული სწორედ ამ არასრულწლოვანმა ჩაიდინა.

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის

ნასამართლობის ცნებას ამკ არ გვთავაზობს. სსკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვა-

81 გ. გიორგაძე (მთავ. რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი. თბილისი, 2015. გვ. 32.

ლიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. ნასამართლობა გამოიხატება ზოგიერთი უფლების შეზღუდვაში.[82]

ამკ-ს მე-40 მუხლის მოცემული ჩანაწერი შესაძლებელია გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ არასრულწლოვანმა, იმის მიუხედავად იყო თუ არა ადრე გასამართლებული, მონაწილეობა მიიღოს განრიდების პროგრამაში, რადგან ამკ-ს მე-12 მუხლის პირველი ნაწილი უარს ამბობს არასრულწლოვნის ნასამართლობაზე. კერძოდ, თუ 14 წლის არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და მას ნასამართლობა არ აქვს (ამკ-ს მე-12 მუხლი), შესაძლებელია იგი ჩართულ იქნეს განრიდებაში. ამკ-ს მე-40 მუხლის პირობა არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის გაგებულ უნდა იქნეს ისე, როგორც ამას ამკ-ს მე-12 მუხლი არეგულირებს. კერძოდ, პირველად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, არასრულწლოვნის ნასამართლობა სასჯელის მოხდისთანავე გაქარწყლებულად ითვლება. შესაბამისად, გაქარწყლებული ნასამართლობა არ შეიძლება დამაბრკოლებელი გახდეს განრიდებაში არასრულწლოვნის ჩართვისთვის. ცნება არასრულწლოვნის ნასამართლობა თუ მოიცავს საკითხს, რაც გულისხმობს, რომ ერთხელ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს არასრულწლოვნის ნასამართლობას (ამ ცნების ფართო გაგება), რაც მას შესაძლებლობას აღარ მისცემს მონაწილეობა მიიღოს განრიდების პროგრამაში, მაშინ ეს ცნება - არასრულწლოვნის ნასამართლობა შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან და თავისუფალი განვითარების უფლებასთან (კონსტიტუციის მე-9 და მე-12 მუხლები), რადგან მას (ადამიანს) საშუალებას არ აძლევს გათავისუფლდეს ბავშვობაში ჩადენილი შეცდომისგან, რაც ნორმალურად მიიჩნევა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით.[83] ამგვარმა მოპყრობამ შესაძლებელია არასრულწლოვანს მსხვერპლის განცდა დაუმკვიდროს და თავი წარმოიდგინოს სისხლისსამართლებრივი დევნის მუდმივ ობიექტად, რაც მასში აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას, რაც ამცირებს და აკნინებს მას,

82 გ. ნაჭყებია/ნ. თოდუა (მთავ. რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. მეხუთე გამოცემა. თბილისი, 2024. გვ. 761.

83 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016. გვ. 99.

განცდა ტეხს მას ფიზიკურად ან მორალურად.[84] ნასამართლობის ინსტიტუტის სისხლისსამართლებრივი პრევენციის საკითხი გულისხმობს, მოხდილი სასჯელის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დანაშაულის პრევენციის გამო ნასამართლობის დადგენას, რომლის გასვლის შემდეგ ნასამართლობა ქარწყლდება და ადამიანს (მოზარდს მით უფრო) შეუძლია ახლიდან დაიწყოს ცხოვრება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 22 ნოემბრის (სს N5000-15) განჩინებაში იმსჯელა განსარიდებელი პირის ნასამართლობაზე და თქვა, რომ 14 წლამდე პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს არ შეიძლება გავლენა ჰქონოდა განრიდებაში მისი ჩართვის საკითხზე. სასამართლოს აზრით, ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს წარმოადგენს 14 წელი, ანუ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი. ამდენად, დაუშვებელია მ. შ.-ს მიერ 14 წლამდე ჩადენილი ქმედების გამოყენება მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ“.[85] სრულიად გასაზიარებელია მოსამართლის მიდგომა. შესაბამისად, სასურველია, თუ პრაქტიკაში მე-40 მუხლის ამ დანაწესის - არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის - ნასამართლობის საკითხი ამკ-ს მე-12 მუხლის პირობებში გადაწყდება.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია კანონმდებელმა შეიტანოს ცვლილება მე-40 მუხლში და ჩანაწერი ,,არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის“ შეცვალოს ტერმინით - ,,თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა“. ეს ჩანაწერი უფრო ნათელს და განჭვრეტადს გახდის განრიდებაში მონაწილეობის საკითხს. თუმცა, მეორე მხრივ გაამკაცრებს არასრულწლოვნების მიმართ მიდგომებს.

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა

არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა გულისხმობს მოზარდისათვის ერთი შანსის

84 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის № 2/2-389 გადაწყვეტილება

85 ე. გაბრიჩიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მოქმედების სფერო. მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2017. გვ. 133.

მიცემას, რაც შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოდიოდეს არასრულწლოვანთა განრიდების თეორიულ საფუძველთან - არასრულწლოვანთა დანაშაულის ეპიზოდურობის ხასიათთან.[86] გერმანიის მთავრობამ ჯერ კიდევ 1987-1988 წლებში შექმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კომისია, რომელსაც რჩევები უნდა მიეცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსახორციელებლად. აღნიშნული კომისიის თანახმად, კრიმინოლოგიური კვლევები უთითებენ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ხშირად განმავითარებელი და, შესაბამისად, ეპიზოდურია, დროებითი ქცევაა.[87] მოზარდთა უმრავლესობა ასაკის მატებასთან ერთად წყვეტს დანაშაულის ჩადენას, მიუხედავად იმისა, ისინი იყვნენ თუ არა სახელმწიფოს მხრიდან დასჯილნი.[88]

„კრიმინოლოგები არასრულწლოვანთა დანაშაულის თავისებურებებზე საუბრისას, დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასაკს განიხილავენ. ასაკსა და დანაშაულს შორის ურთიერთობის შესახებ თეორია უძველესია კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. „ასაკ-დანაშაულის მრუდის“ [ეპიზოდურობის] თეორიის თანახმად, დანაშაული იზრდება ადრეულ მოზარდობაში - დაახლოებით 14 წლის ასაკში, პიკს აღწევს 20 წლის ასაკში და შემდეგ მცირდება, რაც ფსიქოლოგთა შეფასებით ასაკობრივი განვითარების რთულ პერიოდს [გარდატეხის ასაკს] უკავშირდება“.[89] ეპიზოდურობის პერიოდში მოზარდობიდან გამომდინარე სჩადიან ერთ ან ორ დანაშაულს და შემდეგ წყვეტენ დანაშაულის ჩადენას (Ageing-out-Effekt - მოზარდობის ასაკიდან გასვლის ეფექტი).[90] შესაბამისად, კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ნორმალურია და არ გადადის/შედის კრიმინალურ კარიერაში.[91]

რადგან არასრულწლოვანთა დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა, აუცილებელია ამ ასაკში არასრულწლოვანს მიეცეს არა

86 Schafstein, F. / Beukle, W., Jugendstrafrecht. 13. Auflage. Stuttgart, 1998. S. 223-224.

87 Ad-Hoc-Kommision “Diversion”, Empfehlungen der Ad-hoc-Kommission “Diversion” der Jugendund Justizministerkonferenz vom 5. Februar 1988, In: Bundesministerium der Justiz (Hrsg.): “Diversion” im deutschen Jugendstrafrecht, Bonn 1989. S. 11-30.

88 იქვე.

89 საქართველოს გენერალური პროკურატურა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა. თბილისი, 2024. გვ. 11. https://pog.gov.ge [21/04/2025]

90 Neubacher, F., Kriminologie. 5. Auflage. Baden-Baden, 2023. S. 78; ნ. გობეჯიშვილი, რეფერირების ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. თსუ-ს სამართლის ჟურნალი #2, 2024. გვ. 207.

91 Neubacher, F., Kriminologie. 5. Auflage. Baden-Baden, 2023. S. 78.

ერთი, არამედ რამდენიმე შანში, რათა მან 14-20 წლის ასაკი გადალახოს ისე, რომ არ მოხვდეს სისხლისსამართლებრივ სისტემაში. სისხლისსამართლებრივ სისტემაში, მით უმეტეს, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრილი არასრულწლოვანი განიცდის სტიგმატიზაციას, რაც ხელს უშლის მის შემდგომ აღზრდას, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 51-ე და 64-ე წესების კომენტარი პირდაპირ ხაზს უსვამს არასრულწლოვნების სტიგმატიზაციისგან დაცვის აუცილებლობას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოზარდის განვითარებაზე.

აღნიშნული მსჯელობის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დათქმა - არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა - არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ერთი შანსის მიცემას არასრულწლოვნისთვის, ვინაიდან არასრულწლოვანმა შეიძლება არა ერთი, არამედ ორი ან სამი დანაშაული ჩაიდინოს. შესაბამისად, არასრულწლოვანს უნდა მიეცეს არა ერთი, არამედ რამდენჯერმე განრიდების შესაძლებლობა. არასრულწლოვნმა 14-20 წლის ასაკი ისე უნდა გადაატაროს, რომ არ მოხვდეს სისხლისამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში, განრიდება კი, ამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ასევე აღსანიშნავია თავად ამ კონტექსტის - არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა - განმარტება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იცნობს განრიდებას და განრიდება- მედიაციას (იხ.: ამკ-ს 39-ე მუხლის მესამე ნაწილი, 42-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ) პუნქტი, 44-ე მუხლი). განრიდება ხორციელდება მედიაციის გარეშე, ხოლო მედიაციის განხორციელების წინაპირობა არის განრიდება.

გრამატიკული განმარტებით ,,არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა“ კონტექსტი ნიშნავს განრიდება-მედიაციას და არა განრიდებას. შესაბამისად, თუ მოზარდი ადრე განრიდება და მედიაციაში იყო ჩართული, არ მიეცეს განმეორებით განრიდების პროგრამაში მონაწილების შესაძლებლობა, ხოლო თუ არასრულწლოვანი ადრე განრიდებულ იქნა, მაშინ შეიძლება მისი განმეორებით განრიდება.

ლოგიკურია, რომ კანონმდებელმა ტერმინით - ,,არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყო-

ფილა“ გამოხატა შეუძლებლობა განმეორებით განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის, ვინაიდან განრიდება-მედიაცია უფრო მეტი რესურსის დახარჯვას მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ განრიდება. განრიდება-მედიაციის დროს ხდება მოზარდის განრიდება და შემდეგ მედიატორის მეშვეობით მისი მედიაცია, რაც უფრო მეტ რესურსს მოითხოვს.

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს

განრიდების ერთ-ერთი წინაპირობა არის, რომ არასრულწლოვანმა აღიაროს დანაშაული. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარებას აქვს ქმედების გააზრების საშუალება. მოზარდის მიერ დანაშაულის გააზრებამ ხელი უნდა შეუწყოს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება ასევე მნიშვნელოვანია პროკურორისთვის გადაწყვეტილების მიღების დროს. აღიარება პირაპირ კავშირშია შეცდომის გააზრებასთან, რაც პროკურორს აძლევს იმის ფიქრის შესაძლებლობას, რომ განრიდების შემთხვევაში განრიდებული აღარ ჩაიდენს დანაშაულს.

არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება ასევე პირდაპირ კავშირშია განრიდება-მედიაციის პროცესთან. აღიარება და დაზარალებულის წინაშე ქმედების მონანიება, საფუძველია მედიაციის - დაზარალებულთან შერიგების.

,,არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანება ხაზს უსვამს არასრულწლოვნის განრიდებაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობას. კერძოდ, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენის მოხდენა მათი პროცესში მონაწილეობის იძულების მიზნით. მხარეები უფლებამოსილნი არიან, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, უარი განაცხადონ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

ამკ-ს 41-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება და მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს

სსსკ პროკურორს ანიჭებს ფართო დისკრეციას, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის საკითხები.[92]

„პროკურორს არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულება, გამოძიების დაწყების ვალდებულებისგან განსხვავებით. დისკრეციული უფლებამოსილება ხელს უწყობს პროცესის მონაწილეთა სტიგმატიზაციის თავიდან აცილებას და სასჯელის ეფექტიანობის გაზრდას, სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტიანობას, საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ხარისხიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, საპროცესო ეკონომიას, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვას".[93]

„სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის #181 ბრძანების თანახმად, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი ტესტით: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ე. წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა. გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ, როცა: ა) საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი

92 გ. გიორგაძე (მთავ. რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი. თბილისი, 2015. გვ. 127.
93 იქვე.

ტესტი; ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – საჯარო ინტერესის ტესტი.

„სისხლისსამართლებრივი დევნა ერთობ მძლავრი ფუნქციაა პროკურორის ხელში“.[94]

შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი. პროკურორმა საჯარო ინტერესი ,,სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, ბრალდებულის ქცევის მიხედვით უნდა განსაზღვროს”.[95]

სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი ასევე ითვალისწინებს დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის გარდუვალობის პრინციპს. ამიტომ, როდესაც სახეზეა დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ, პროკურორმა გადაწყვეტილება დევნის წარმოების შესახებ უნდა მიიღოს შინაგანი რწმენისა და საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. მათ შორის, დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის პიროვნული მახასიათებლების და დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით და სხვა.[96]

3) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ

განრიდების განხორციელების ერთი წინაპირობა არის ის, რომ არასრულწლოვანმა და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა განრიდების გამოყენებაზე წერილობითი ფორმით ინფორმირებული თანხმობა უნდა გამოხატონ.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანმა და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ინფორმირებული თანხმობა გამოხატონ, საჭიროა განრიდების თაობაზე მათი დეტალური ინფორმირება.

94 ბ. მეურმიშვილი, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის სისტემური გააზრება. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2023. გვ. 285.

95 გ. გიორგაძე (მთავ. რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი. თბილისი, 2015. გვ. 650.

96 იგივე, გვ. 127.

ამკ-ს 41-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის #120-ე ბრძანების მეოთხე მუხლის[97] თანახმად, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს, ადვოკატს და ესაუბრება ჩადენილი დანაშაულის შესახებ. პროკურორი არასრულწლოვანს მისთვის გასაგები ფორმით გააცნობს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამას, მისი გამოყენების წესს, შესაძლო ხანგრძლივობას, შესაძლო პირობებსა და განრიდების ღონისძიების შეუსრულებლობის შედეგებს.

ინფორმირებული თანხმობის მიზანია, არასრულწლოვანმა და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა გაიაზრონ განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის არსი და მნიშვნელობა. არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი, წინასწარ გააზრებული თანხმობა, განრიდების დადებითად განხორციელებისა და დასრულების საფუძველია.

2.3. განრიდების ღონისძიებები

ამკ-ს 42-ე მუხლი ითვალისწინებს განრიდების ღონისძიებებს. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები: ა) არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება; ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა; გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება; დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა; ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება; ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება.[98]

ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს განრიდების რამდენიმე ღონისძიება. განრიდების ღონის-

97 ,,არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანება.

98 განრიდების ღონისძიებების დეტალური საკანონმდებლო და სამეცნიერო განმარტებები იხ.: ამკ-ს 43-ე - 46-ე მუხლები; მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გამოცემა. ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი 2016. გვ. 100-106.

ძიებები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. განრიდების ღონისძიება გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. განრიდების პროცესში დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, ნორმალური სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან მის მოწყვეტას, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ასევე, დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების გამოყენება (ამკ-ს 42-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

განრიდების ღონისძიებების აკრძალვები და ვალდებულებები აისახება განრიდების და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაში, რომელიც განრიდებული მოზარდისთვის შესასრულებლად სავალდებულოა.

პრაქტიკაში გამოყენებულ, კონკრეტულ აკრძალვებსა და ვალდებულებებზე მსჯელობა მოცემულია მომდევნო 2.4. ქვეთავში.

2.4. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება

ამკ-ს 39-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ. არასრულწლოვნის მიმართ განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენების წესი, აგრეთვე მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა ერთი წელია. ამკ-ს 39-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული კანონქვემდებარე აქტი არის ,,არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანება ერთმანეთისაგან განასხვავებს განრიდების და განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებას. განრიდების ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და განრიდების ღონისძიებებს. განრიდების ხელშეკრულების მხარეები არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და, შესაბამის შემთხვევაში, ფსიქოლოგი ან/და სხვა პირი. ხოლო, განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და განრიდება-მედიაციის ღონისძიებებს. განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების მხარეები არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული, მედიატორი და, შესაბამის შემთხვევებში, ფსიქოლოგი ან/და სხვა პირი. განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება იდება იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის კონფერენცია წარმატებით დასრულდა.

როგორც ვხედავთ, განსხვავება განრიდებასა და განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებას შორის არის მონაწილე მხარეებში. კერძოდ, განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებაში, განრიდების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ერთვება მედიატორი და დაზარალებული, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის მედიაცია შედგა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანების მიხედვით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან და მედიაციის შემთხვევაში – მედიატორთან ერთად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ არასრულწლოვნისა და დაზარალებულის ინტერესებს.

ამავე ბრძანების თანახმად, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადა; ბ) ხელშეკრულების შედგენის დრო და ადგილი; გ) პროგრამაში მონაწილე პირთა მონაცემები; დ) ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილი (მუნიციპალიტეტი); ე) მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს; ვ) განრიდების ღონისძიების სახე და სხვა პირობები; ზ) ვალდებულების შეუსრუ-

ლებლობის სამართლებრივი შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები. პროკურორის, სოციალური მუშაკის, მედიატორის, დაზარალებულის, არასრულწლოვნის, ადვოკატის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ინიციატივით და მათი თანხმობით, ხელშეკრულებაში ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა პირობები. ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური მუშაკის ანგარიში, არასრულწლოვნის ინტერესები, ჰობი, მისწრაფებები და ა. შ., როგორც არასრულწლოვნის გამოსწორებისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის მიღწევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ,,სწორედ განრიდების/განრიდება მედიაციის ხელშეკრულების პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის მიერ ჩადენილი ქმედების გააზრებას, დევიაციური ქცევის დაძლევას, ძლიერი მხარეების მოტივაციას, ასევე, ბავშვის უნარების გაუმჯობესებას“.[99]

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობების და ხანგრძლივობის დადგენისას გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასება, რისკფაქტორები და დამცავი ფაქტორები. ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ასევე შემდეგი პირობების გათვალისწინება: 1) პირობების რაოდენობა; 2) პირობების აღმზრდელობითი ეფექტი (არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება); 3) პირობების შესრულების შესაძლებლობა და ვადის განსაზღვრა; 4) ხელშეკრულების პირობები ჯგუფური დანაშაულის დროს; 5) ვალდებულების დაკონკრეტების აუცილებლობა.[100]

99 საქართველოს გენერალური პროკურატურა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანალიზი. თბილისი, 2024. გვ. 30. https://pog.gov.ge [25/04/2025]

100 დეტალურად იხ.: მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2013. გვ. 106-118.

განრიდების/განრიდება და მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა [101]



როგორც ვხედავთ, 2023 წელს განრიდების/განრიდება და მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა განრიდებულ არასრულწლოვანთა ძირითად ნაწილს - 72%-ს, განრიდების/ განრიდება და მედიაციის ხელშეკრულება 4, 5 და 6 თვით გაუფორმდათ. განრიდების ხელშეკრულება 1 თვით მხოლოდ 2 შემთხვევაში გაფორმდა. ხოლო, 11 და 12 თვით განრიდების ხელშეკრულება არასრულწლოვანთან არ გაფორმებულა.[102]

უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების/განრიდება და მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა პირველ რიგში განრიდებული საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივას უნდა ითვალისწინებდეს. ხელშეკრულება ისეთი ვადით უნდა გაფორმდეს, რომ არასრულწლოვანმა შეძლოს საკუთარ სამომავლო ინტერესებში გარკვევა და პროფესიის დაუფლება.

2011-2013 წლებში განრიდებულ ერთ-ერთ გოგონას საქმეზე გაირკვა, რომ არასრულწლოვან გოგონას განრიდების ხელშეკრულებით, რომელიც ორი თვით იქნა დადებული, დაევალა საქველმოქმედო ცენტრში დაუფლებოდა ჭრა-კერვის ხელობას. ჭრა-კერვის ორთვიან კურსს ცენტრი არ სთავაზობდა. ჭრა-კერვის კურსი, რომელსაც ცენტრი სთავაზობდა იყო 10 და 12-თვიანი, თუ-

101 საქართველოს გენერალური პროკურატურა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანალიზი. თბილისი, 2024. გვ. 30. https://pog.gov.ge [25/04/2025]
102 იქვე.

მცა გოგონა მხოლოდ 2 თვით იქნა ასეთ კურსზე გაგზავნილი.[103] აღნიშნული მაგალითი კარგია იმის დასადგენად, რომ ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ იყოს ფორმალური ხასიათის.

ვფიქრობთ, მოზარდთან უნდა გაფორმდეს იმ ხანგრძლივობის ხელშეკრულება, რომელიც მომავალში მისცემს მას შესაძლებლობას, გრძელვადიანი პერსპექტივით დასაქმდეს საკუთარი უნარ-ჩვევების გამოყენებით. დასაქმება კი, თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

არასრულწლოვნებისთვის შეთავაზებული სერვისები და ვალდებულებები აერთიანებს საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ, ფსიქო-სარეაბილიტაციო და საზოგადოებისათვის სასარგებლო სხვა აქტივობებს.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ 2022 წლის ანგარიშის თანახმად, განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები პირობითად დაყოფილია ექვს კატეგორიად: განათლება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; შეზღუდვები და ვალდებულებები; დაზარალებულის წინაშე აღებული ვალდებულებები; სპორტი და ხელოვნება; საზოგადოებისათვის სასარგებლო ვალდებულებები. გთავაზობთ ამ ვალდებულებების არასრულ ჩამონათვალს:[104]

განათლება: დაწეროს ესე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: „დანაშაულის მაპროვოცირებელი მიზეზები, მისი შედეგები და თავიდან აცილების გზები“, „რომ არა განრიდების პროგრამა“, „ავტოსაგზაო შემთხვევათა გამომწვევი მიზეზები და მათი თავიდან აცილების გზები“, „პიროვნული თავისუფლება“, „დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები“, „რა შედეგები მოაქვს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას“, „ძალადობის გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები“, „როგორ ავირიდოთ ფიზიკური დაპირისპირება“, „თამბაქოს მოხმარების რისკები და საფრთხეები“, „ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობის მოხმარების შედეგად გამოწვეული საფრთხეები და რისკები“, „კომპიუტერული თამაშების თანმხლები საფრთხეები და რისკები“, „ძალადობა მოზარდებში - გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები“); გაუმჯობესოს სკოლაში აკადემიური მოსწრება,

103 მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, გვ. 112.
104 https://tinyurl.com/26fornp7 [28/04/2025]

აკონტროლოს საკუთარი ქმედება და დაიცვას კანონი; მოიძიოს ინფორმაცია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე; ქართულ ენაზე წერა-კითხვის გაუმჯობესების მიზნით, შეასრულოს სოციალური მუშაკის მიერ შერჩეული სხვადასხვა დავალება; მოიძიოს ინფორმაცია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებისა და არასრულწლოვანზე ნეგატიური ზეგავლენის შედეგების შესახებ; გაეცნოს ლიტერატურას მარიხუანას ნეგატიური გავლენის შესახებ; მიეწოდოს ინფორმაცია ცივი იარაღის ტარებასა და მისი შედეგების გაცნობიერებასთან დაკავშირებით.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია: ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში და დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას; ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული ფასეულობები“; „ეფექტური კომუნიკაცია“; „ასერტული ქცევა“; „დანაშაულის გაცნობიერება“; „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მიზნით; „ბრაზის მართვა“; „მომავლის დაგეგმვა“; „ცხოვრებისეული რისკები და საჭიროებები“; „სტრესის მართვა“; მშობელი „პოზიტიური მშობლობა“.

შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები: სასკოლო სასწავლო პროცესის ფარგლებში გაკვეთილებზე დროულად გამოცხადებისა და გაცდენის შეზღუდვა; საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე; შინიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით; ქალაქიდან გასვლის შეზღუდვა პროკურორისა და სოციალური მუშაკის ნებართვის გარეშე; თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას, ასევე არ დაამყაროს ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებმაც შეიძლება შეუწყონ ხელი მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას; აეკრძალოს კანონით აკრძალული ნივთების ტარება.

დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები: დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი; დაეხმაროს დაზარალებულს დაზიანებული ნივთის შეკეთებასა და მოვლაში; დაეხმაროს დაზარალებულს მაღაზიაში სხვადასხვა საქმიანობაში; მიწეროს წერილი დაზარალებულს, სადაც უამბობს საკუთარი თავის, თავისი ქმედების და მისდამი დამოკიდებულების შესახებ.

სპორტი და ხელოვნება: არასამთავრობო ორგანიზაციის ბენე-

ფიციარები ავარჯიშოს: ფეხბურთში; ფარიკაობაში; ჭიდაობაში; აღმოსავლურ ორთაბრძოლაში; იაროს სპორტის უფასო წრეზე.

საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები: მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის დასუფთავებაში; დაეხმაროს საბავშვო ბაღის პერსონალს სხვადასხვა აქტივობაში; დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში; მიიღოს მონაწილეობა სახლმუზეუმის დასუფთავების აქტივობაში; იაროს სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში და დაეხმაროს ბავშვებს, წაუკითხოს მათ ზღაპრები და მოთხრობები, შეასწავლოს ქართული ხალხური ცეკვა, კომპიუტერული პროგრამირება, დაეხმაროს საგნობრივი სირთულეების დაძლევაში, ჩაუტაროს მუსიკის გაკვეთილები; დაეხმაროს სოფელში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცს საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში; კეთილმოწყობის სამსახურის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს ქალაქის გამწვანების საქმეში; სოციალურად დაუცველ პირთა სასადილოდან მიუტანოს კუთვნილი ულუფა მოხუცებს.

2023 წელს 544 არასრულწლოვნიდან განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების პირობად ყველაზე მეტ შემთხვევაში - 500 არასრულწლოვნის მიმართ მოხდა მოხალისეობრივი აქტივობა; ფსიქოლოგის მომსახურება მიეწოდა 148 არასრულწლოვანს, ხოლო სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩაერთო 427 არასრულწლოვანი.[105]

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მრავალფეროვანია და შესაძლებლობას იძლევა, რომ მოზარდმა გაიაზროს საკუთარი დანაშაულებრივი ქმედება და ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლობის გრძნობა. მოცემულ აქტივობებში ნაკლებია ისეთი სახის აქტივობები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოზარდის მიერ კონკრეტული პროფესიის დაუფლებაში, რაც მას სამომავლოდ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში და პიროვნულ განვითარებაში შეუწყობდა ხელს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის #120-ე ბრძანების მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ, სოციალური მუშაკი პროკურორს წერილობით აწვდის ინფორ-

105 საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანალიზი, თბილისი, 2024, გვ. 32. https://pog.gov.ge [28/04/2025].

მაციას ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. საჭიროებისას, მათ შორის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, პროკურორი სოციალურ მუშაკთან ერთად ხვდება არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს. თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს მის პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, პროკურორი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

ამკ-ს 48-ე მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანი განრიდების ღონისძიებას განზრახ არ ასრულებს, ამის შესახებ სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს, რომელიც, აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით, გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დარღვევა მოხდა 8 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 2,2%-ს შეადგენს. ხელშეკრულების დარღვევის გამო 11 არასრულწლოვანს გაუგრძელდა განრიდების ხელშეკრულება.[106]

2022 წელს განრიდებული 585 არასრულწლოვნიდან განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დარღვევა მოხდა 21 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 3,5%-ს შეადგენს. ხელშეკრულების დარღვევის გამო 5 არასრულწლოვანს გაუგრძელდა განრიდების ხელშეკრულება.[107]

2023 წელს განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან განრი-

106 საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2021 წლის ანალიზი, თბილისი, 2022, გვ. 24. https://pog.gov.ge [28/04/2025].

107 საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2022 წლის ანალიზი, თბილისი, 2023, გვ. 24. https://pog.gov.ge [28/04/2025].

დების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დარღვევა მოხდა 24 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 4%-ს შეადგენს.[108]

როგორც ვხედავთ არასრულწლოვანთა მხრიდან განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დარღვევა ძალიან დაბალია. გერმანიაში განრიდებული მოზარდების 35% სჩადის განმეორებით დანაშაულს.[109] საქართველოში არასრულწლოვნის მიერ განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დარღვევის ასეთი დაბალი მაჩვენებელი შეიძლება კავშირში იყოს იმ ფაქტთან, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა 80% აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს. სავარაუდოდ, პროკურატურის მიერ განსარიდებელი მოზარდის წინასწარი დადებითი შეფასება წარმოადგენს არასრულწლოვნის მხრიდან განრიდების/განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების შესრულების გარანტიას.

2.5. განრიდების და განრიდება/მედიაციის გამოყენების სტატისტიკური მონაცემები

არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაცია 2010 წლიდან ხორციელდება. 2010 წლიდან 2024 წლის ჩათვლით არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაციის გამოყენება წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

- 2010 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 2 არასრულწლოვანი. 2 განრიდებიდან 2 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 2 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2011 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 80 არასრულწლოვანი, საიდანაც 11 იყო მდედრობითი, ხოლო 69 მამრობითი სქესის. 80 განრიდებიდან 28 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 25 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2012 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 124 არასრულწლოვანი. საიდანაც 10 იყო მდედრობითი, ხოლო 114 მამრობითი სქესის. 124 განრიდებიდან 44 არასრულწლო-

108 საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანალიზი, თბილისი, 2024, გვ. 32. https://pog.gov.ge [28/04/2025].

109 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 93.

ვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 25 მედიაციის საერთო შეხვედრა.

- 2013 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 332 არასრულწლოვანი, საიდანაც 25 იყო მდედრობითი, ხოლო 307 მამრობითი სქესის. 332 განრიდებიდან 51 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 34 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2014 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 203 არასრულწლოვანი, საიდანაც 22 იყო მდედრობითი, ხოლო 181 მამრობითი სქესის. 203 განრიდებიდან 36 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 28 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2015 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 297 არასრულწლოვანი, საიდანაც 26 იყო მდედრობითი, ხოლო 271 მამრობითი სქესის. 297 განრიდებიდან 143 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 114 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2016 წლის განმავლობაში განრიდებულთა რაოდენობამ შეადგინა 784 პირი, აქედან 462 (59%) იყო არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 322 (41%) სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). ასევე, 287 (37%) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 222 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2017 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 912 პირი, აქედან 476 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 436 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). 335 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 267 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2018 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 897 პირი, აქედან 497 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 400 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). 366 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 290 მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2019 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 797 პირი, აქედან 437 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 360 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). მათგან 408 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 328 მედია-

ციის საერთო შეხვედრა.

- 2020 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 534 პირი, აქედან 298 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 236 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 218 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 181 მედიაციის საერთო შეხვედრა, მათგან 57 პირისპირ და 124 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრა.
- 2021 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 633 პირი, აქედან 363 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 270 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 389 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 310 მედიაციის საერთო შეხვედრა, მათგან 39 პირისპირ შეხვედრის, ხოლო 271 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრის ფორმატით.
- 2022 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 1175 პირი, აქედან 585 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 590 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 658 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 499 მედიაციის საერთო შეხვედრა, მათგან 86 პირისპირ შეხვედრის, ხოლო 413 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრის ფორმატით.
- 2023 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 1000 პირი, აქედან 544 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 456 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). მათგან 493 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 393 მედიაციის საერთო შეხვედრა, 107 პირისპირ შეხვედრის, ხოლო 286 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრის ფორმატით. 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების შემთხვევაში 2 განრიდებული პირი ინდოეთის მოქალაქეა.
- 2024 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 1083 პირი, აქედან 673 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 410 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). მათგან 470 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 343 მედიაციის საერთო შეხვედრა.

სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით და არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაციის 18-დან 21 წლამდე ასაკის

სრულწლოვნებში განხორციელებით, საგრძნობლად გაიზარდა არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაციის გამოყენება. კერძოდ, 2010 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, მთლიანობაში განრიდებულ იქნა 9640 14-დან 21 წლამდე პირი. საიდანაც 6 160 იყო 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი, ხოლო 3 480 18-დან 21 წლამდე სრულწლოვანი პირი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული 18-დან 21 წლამდე პირების განრიდება და განრიდება/მედიაციამ საგრძნობლად გაზარდა განრიდება და განრიდება/მედიაციაში ჩართული პირების რაოდენობა. როგორც ვხედავთ, იმის მიუხედავად, რომ 18-დან 21 წლამდე პირების განრიდება და განრიდება/მედიაცია 2016 წლიდან ხორციელდება, მათი პროცენტული მაჩვენებელი მაინც საგრძნობლად მაღალია - 37%.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა 14-დან 21 წლამდე პირების განრიდება და განრიდება/მედიაციის პროგრამაში ჩართვის მაჩვენებელი და ყოველწლიურად ათას პირს აჭარბებს, რაც მისასალმებელია.

არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს 14-დან 21 წლამდე პირებს, რომ არ მოხვდნენ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში. არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაციის პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ 9640 განრიდებულიდან მინიმუმ 1/3 დღეს პენიტენციური დაწესებულების ბენეფიციარი იქნებოდა. არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაციის პროგრამაში მათმა ჩართვამ საზოგადოებას თავიდან ააცილა პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა, რაც მისასალმებელია.

2019-2013 წლებში განრიდების ხვედრითი წილი იმ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც კანონით დადგენილ განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, 75-დან 80%-მდე გაიზარდა. კერძოდ, 2019 წელს იყო 76%, 2020 წელს - 75%, 2021-2023 წლებში კი - 80%, რაც მისასალმებელია.[110]

პროკურორთა მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების პრიორიტეტულობის ცალსახა დადასტურებაა

110 საქართველოს გენერალური პროკურატურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 13.

განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელიც. 2023 წელს, განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე დევნა მხოლოდ 10 (1,8%) არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო.

განრიდება აქტიურად გამოიყენება ასევე მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. 2023 წელს, განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 287-ს, ანუ, განრიდებულ არასრულწლოვანთა 53%-ს.

2023 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, განრიდება ძირითადად გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებულ დანაშაულზე. 544 განრიდებული არასრულწლოვნიდან, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 346 პირს (64%).[111] შემდეგ მოდის სსკ-ის 126-ე და 286-ე (პრიმა) მუხლები.

ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგები ადასტურებენ, რომ დაბალია სასამართლოდან საქმეების განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი. 2023 წელს განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან, სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 10 (1,8%) შემთხვევაში დაბრუნდა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დაბალი მაჩვენებელია. 2023 წლის მონაცემებით, განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მხოლოდ 24 პირმა (4%) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული, რაც ნამდვილად დაბალი მაჩვენებელია.[112]

14-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთა მაჩვენებელი, რომლის მიმართაც მედიაციაც განხორციელდა, ასე გამოიყურება: 2019 წელი - 54%, 2020 წელი - 41%, 2021 წელი - 65%, 2022 წელი - 60%, 2023 წელი - 54%.[113] როგორც ვხედავთ, განრიდებულ პირთა მიმართ მედიაციის განხორციელების მაჩვენებელი 2023

111 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 27, https://pog.gov.ge [29/04/2025].

112 იქვე.

113 საქართველოს გენერალური პროკურატურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 24, https://pog.gov.ge [29/04/2025].

წელს, 2021 და 2022 წლებთან შედარებით, დაკლებულია.

სასურველია არასრულწლოვანთა განრიდება და განრიდება/მედიაციის პროგრამა გავრცელდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზეც. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს მოზარდები იშვიათად სჩადიან. მოზარდის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების გათვალისწინებით, შეიძლება დადგეს მისი განრიდების/განრიდებისა და მედიაციის აუცილებლობა, რაც დღევანდელი კანონმდებლობით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაშიც, პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თავად მიიღებდა გადაწყვეტილებას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე. აღნიშნული იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ,,სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ" ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2018)8 მე-18 წესის თანახმად,[114] აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სერვისი. დანაშაულის სიმძიმემ და გეოგრაფიულმა არეალმა სხვა ფაქტორების არსებობისგან დამოუკიდებლად არ უნდა გამორიცხოს დაზარალებულებისა და დამზარალებლებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების შეთავაზება.

3. მედიაცია

ამკ-ს მესამე მუხლის მე-9 ნაწილი განსაზღვრავს მედიაციის ცნებას. ამ მუხლის მიხედვით, მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის, კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიაციის საფუძველია განრიდება. არ არსებობს მედიაცია განრიდების

114 მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2018 წლის 3 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების №1326 შეხვედრაზე.

გარეშე. მხოლოდ ისეთი მოზარდის მედიაციაში ჩართვა არის შესაძლებელი, რომლის მიმართაც გამოიყენება განრიდება. მედიაცია ხორციელდება განრიდების პარალელურად.

მედიაცია დიდ როლს ასრულებს მოზარდის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის საკითხში. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი მედიაციის შემდეგ, სხვა სანქციებთან/სასჯელებთან შედარებით, საგრძნობლად პოზიტიურია.[115] მედიაციით ხდება არა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენის, არამედ დაზარალებულის რეაბილიტაცია. დაზარალებულის სურვილი, რომ აღდგეს დანაშაულამდე არსებული მისი (ემოციური, მატერიალური) მდგომარეობა,[116] ხშირად სწორედ მედიაციით არის შესაძლებელი. განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულის დროს, როცა დაზარალებულს ნდობა აქვს დაკარგული, როგორც გარშემომყოფების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ.[117] სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ის, რომ დაიცვას მოქალაქე დანაშაულებრივი ქმედებისაგან, რაც წინასწარი ინფორმაციის ქონის გარეშე, თითქმის შეუძლებელია, თუმცა ასეთი ინფორმაციის ქონის შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები,[118] ხოლო პირის დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შემთხვევაში, მოახდინოს დაზარალებულის რეაბილიტაცია, დაიცვას ის ,,ცხოვრების ცვალებადი შემთხვევებისგან“.[119]

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა განრიდებისა და მედიაციის განხორციელება შეუძლებელია შემდეგი მიზეზების გამო: დაზარალებულს აქვს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ინტერესი და ავლენს გულგრილ დამოკიდებულებას მედიაციის პროცესის მიმართ; მხარე იმყოფება/მიემგზავრება საზღვარგარეთ განუსაზღვრელი ვადით; მხარეებს შორის კონფლიქტი ამოწურულია; მხარის (ოჯახის წევრის) ჯანმრთელობის მდგომარეობა; მხარის დატვირთული დღის განრიგი; უარი მედიატორთან შეხვედრაზე;

115 Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017, 149.

116 მ. შალიკაშვილი/ხ. თანდილაშვილი/უ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 173.

117 იქვე, გვ. 175.

118 კ. კორკელია, სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლო, თბილისი, 2025, გვ. 86.

119 მ. შალიკაშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, გ. ხუბუას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2024, გვ. 189.

არაემპათიური დამოკიდებულება განსარიდებელთან; დაზარალებულს აქვს მომეტებული აგრესია განსარიდებლის მიმართ.[120]

3.1. მედიაციის აღმზრდელობითი მნიშვნელობა

მედიაციის მნიშვნელობა მდგომარეობს მის პედაგოგიურ ასპექტში, რომელიც შემდეგში გამოიხატება: [121]

- მედიაციის მონაწილეებს (მოზარდს, მის კანონიერ წარმომადგენელს და მსხვერპლს) აძლევს იმის შესაძლებლობას, დაფიქრდნენ საკუთარ საქციელზე. დამნაშავე მიხვდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ხოლო დაზარალებული დაფიქრდეს, სურს თუ არა დამნაშავესთან ურთიერთობის გართულება;
- არასრულწლოვანი დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების პედაგოგიური მიზანი მდგომარეობს როგორც დამნაშავე პირის, ისე დაზარალებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაში;
- დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება დამნაშავეს აიძულებს (შესაძლებელია პირველად მის ცხოვრებაში) პატივი სცეს საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მასში ამ ნორმების მიმართ პატივისცემის სურვილის აღძვრას.

მედიაციის დროს უმჯობესია, რომ დაზარალებული იყოს ფიზიკური პირი. რთულია იურიდიული პირების შემთხვევაში დამნაშავემ გაიზროს მიყენებული ზიანის დაზარალებულისთვის პრობლემურობა.[122] არასრულწლოვანს ხშირად ჰგონია, რომ კომპანიისთვის მიყენებული ზიანით მოქალაქეს ზიანი არ ადგება.

მედიაციის პროცესი დაზარალებულს აძლევს საშუალებას, რომ გააგებინოს/გამოუხატოს დამზარალებელს, თუ რამდენად ავნო მისმა ქმედებამ, თავად გაიგოს მეტი დანაშაულის შესახებ დამზარალებლისთვის შესაბამისი კითხვების დასმის გზით და

---

120 განრიდების პროგრამების (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2019 წლის ანგარიში, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტი, თბილისი, 2020.

121 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 110.

122 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 112.

უშუალოდ იყოს ჩართული სამართლიანობის აღდგენის პროცესში.[123]

,,დაზარალებულისთვისაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს დამზარალებელთან შეხვედრა, რათა მისი მისტიფიცირებული აღქმა და შიში გადალახოს, დაინახოს, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია.“[124] აღნიშნული ეხმარება დაზარალებულს რეაბილიტაციაში.

3.2. მედიაციის ეტაპები

„განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანება განსაზღვრავს მედიაციის ეტაპებს და მედიაციის პროცესში მედიატორის მიერ დოკუმენტაციის წარმოების წესს.

მოცემული ბრძანების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში პროკურორი არასრულწლოვნის განრიდების პროცესის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს დანაშაულის პრევენციის ცენტრს და სთხოვს მედიატორის გამოყოფას. ცენტრის განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი 2 სამუშაო დღის ვადაში საქმეს წარმოებაში გადასცემს მედიატორს, აწვდის საქმის შესახებ ინფორმაციას, ასევე საქმეზე მომუშავე პროფესიონალების საკონტაქტო ინფორმაციას.

მედიატორი ვალდებულია განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერის მიერ საქმის დაწერიდან 10 სამუშაო დღეში წარმართოს პირველი შეხვედრა დაზარალებულთან.

მედიატორი ვალდებულია მედიატორისა და პროკურორისათვის არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარმართოს მოსამზადებელი შეხვედრები არასრულწლოვანთან/ კანონიერ წარმომადგენელთან, დაზარალებულთან (საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებთან) და ჩაატაროს მედიაციის კონფერენცია.

123 ი. ერცენი/ჯ. ჯავახიშვილი/ლ. ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, თბილისი, 2020, გვ. 86.
124 იქვე, გვ. 77.

შეხვედრების წარმართვამდე პროკურორი, სოციალური მუშაკი/ პრობაციის ოფიცერი და მედიატორი ერთად განიხილავენ ხელ-შეკრულების სავარაუდო პირობებს.

18 წელს მიღწეული პირის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი მონაწილეობს მედიაციის პროცესში არასრულწლოვნის მოთხოვნით ან მედიატორის გადაწყვეტილებით.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანების თანახმად, მედიაციის პროცესი შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან: ა) მოსამზადებელი ეტაპი; ბ) წინასაკონფერენციო ეტაპი; გ) მედიაციის კონფერენცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) მოსამზადებელი ეტაპი

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანების თანახმად, მედიატორი წინასწარ ემზადება მედიაციის პროცესის დასაწყებად. მომზადება გულისხმობს საქმის გარემოებების გაცნობას, მედიაციის თითოეული ეტაპის დაგეგმვას, შესაბამისი კითხვების მომზადებასა და სხვა საქმიანობას, რომლის ამ ეტაპზე განხორციელება, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, საჭიროა პროცესის ეფექტურობისთვის.

მოსამზადებელ ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა, სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით ხელი შეუწყოს პროცესის დაწყებას. ამ ეტაპზე იგი ხვდება დაზარალებულს და აწვდის მას პროგრამის შესახებ ინფორმაციას, განუმარტავს პროგრამის არსს, მიზნებს და პრინციპებს, უხსნის პროგრამის დადებით მხარეებს, უარის თქმის შესაძლო შედეგებს და სთავაზობს მედიაციაში მონაწილეობას. დაზარალებულის ინფორმირებულობა დანაშაულისა და მართლმსაჯულების პროცესის შესახებ ვიქტიმოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მოთხოვნაა.[125] მედიატორის მთავარი ამოცანაა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე დაზარალებულის ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობის ან უარის მიღება.

ბ) წინასაკონფერენციო ეტაპი

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანების თანახმად, მედიაციის პროცესში ჩართვაზე დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში,

125 მ. შალიკაშვილი/ხ. თანდილაშვილი/უ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2023, გვ. 165.

სოცლიალური მუშაკის/პრობაციის ოფიცრის მიერ პროკურორისთვის არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარდგენიდან იწყება მედიაციის წინასაკონფერენციო ეტაპი. წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორი ცალ-ცალკე უკავშირდება არასრულწლოვანს/კანონიერ წარმომადგენელს და დაზარალებულს, ესაუბრება მედიაციის, მათ შორის, მედიაციის კონფერენციის წესების შესახებ, აწვდის მხარეებს დეტალურ ინფორმაციას ხელშეკრულების სავარაუდო პირობების თაობაზე, აგრეთვე ათანხმებს ამ პირობებს და მონაწილეობს მათ შემუშავებაში.

ამავე ბრძანების მიხედვით, მედიატორი ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს აწარმოებს როგორც დაზარალებულთან, ისე არასრულწლოვანთან და კანონიერ წარმომადგენელთან. ამ ეტაპზე მისი მთავარი ამოცანაა მედიაციის კონფერენციაში მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობის უზრუნველყოფა და მხარეთა შორის მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებზე კონსესუსის მიღწევა.

დაზარალებულისა და დამზარალებლის ნებაყოფლობითი მონაწილეობა არის მედიაციის მნიშვნელოვანი პირობა. დაზარალებული არ უნდა გრძნობდეს წნეხს, რომელიც მედიაციაში მონაწილეობისაკენ უბიძგებს.[126]

ნებაყოფლობითობის პრინციპში ასახულია სამი ელემენტი: 1) მხარეთა თავისუფლება, მონაწილეობა მიიღონ მედიაციის პროცესში; 2) მხარეთა შესაძლებლობა, მედიაციის პროცესის მიმდინარეობა ყოველთვის მოაქციონ ერთობლივი კონსენსუალური კონტროლის ფარგლებში და 3) უფლებამოსილება, მიღწეული შედეგები დაეფუძნოს მხარეების თავისუფალ შეთანხმებას.[127]

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანების თანახმად, წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორი მხარეებს მათთვის გასაგებ ენაზე აცნობს ხელშეკრულების სავარაუდო პირობებს, დეტალურად განუმარტავს მათ ამ პირობების შინაარსს, პირობების დარღვევის შედეგებს და აწვდის ინფორმაციას სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მხარეები უფლებამოსილნი არიან დასვან შეკითხვები

126 ი. ერცენი/ჯ. ჯავახიშვილი/ლ. ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, თბილისი, 2020, გვ. 35.

127 ნ. ჩიტაშვილი/მ. ბიჭია/გ. ბარნაბიშვილი/აკ. გაწერელია/დ. ეგნატაშვილი, მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ყანდაშვილი ი. (რედ.), თბილისი, 2024, გვ. 59.

და მიიღონ კონკრეტული განმარტებები ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით. მათ ასევე უფლება აქვთ არ დაეთანხმონ პირობას ან/და წამოაყენონ ალტერნატიული პირობა.

ამავე ბრძანების მიხედვით, თუ წინასაკონფერენციო ეტაპზე მხარეები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების წარმოდგენილ პირობებზე, მაშინ მედიატორი ცდილობს თითოეულ მხარესთან განმეორებითი კომუნიკაციის გზით მიაღწიოს შეთანხმებას. თუ მხარე არ ეთანხმება პროკურორის ან/და სოციალური მუშაკის/პრობაციის ოფიცრის მიერ ხელშეკრულების შეთავაზებულ პირობებს, მაშინ მედიატორი ატყობინებს პროკურორს და სოციალურ მუშაკს/პრობაციის ოფიცერს მხარის კომენტარის ან/და ალტერნატიული პირობის შესახებ, რის შემდეგაც ისინი ერთობლივად განიხილავენ ხელშეკრულების პირობებს და საბოლოოდ თანხმდებიან განრიდების ღონისძიებასა და ხელშეკრულების სხვა პირობებზე. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული არ ეთანხმება ხელშეკრულების სავარაუდო პირობებს, განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება აღარ ფორმდება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება პროკურორსა და სოციალურ მუშაკს/პრობაციის ოფიცერს. ასეთ შემთხვევაში პროკურორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არასრულწლოვანთან გაფორმდეს განრიდების ხელშეკრულება.

ბრძანების თანახმად, თუ მოსამზადებელ ან წინასაკონფერენციო ეტაპზე მხარემ უარი განაცხადა მედიაციის კონფერენციაში მონაწილეობაზე, მაშინ მედიატორი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერს, პროკურორსა და სოციალურ მუშაკს/პრობაციის ოფიცერს. მხარის მიერ მედიაციაზე უარის თქმის ან მედიატორის მიერ დაზარალებულის პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შემთხვევაში, დგება ოქმი, რომელიც ელექტრონული სახით დაუყოვნებლივ ეგზავნება პროკურორს და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერს.

ბრძანების თანახმად, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების შემდეგ, მედიატორი დაზარალებულს და არასრულწლოვანს/კანონიერ წარმომადგენელს უთანხმებს მედიაციის კონფერენციის სავარაუდო თარიღს და ადგილს. მედიატორი ამ თარიღს ატყობინებს ასევე პროკურორსა და სოციალურ

მუშაკს/პრობაციის ოფიცერს, რომლებსაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დაესწრონ მედიაციის კონფერენციას. საჭიროების შემთხვევაში, მედიატორს შეუძლია მედიაციის პროცესში ჩართოს დამატებითი მონაწილეები. ამის შესახებ იგი წერილობითი ფორმით მიმართავს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერს, რომელიც წყვეტს საკითხს.

ბრძანების თანახმად, კონფერენციის დათქმულ დღემდე გონივრული ვადით ადრე, მედიატორი უკავშირდება კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს და შეახსენებს კონფერენციის თარიღს, დროსა და ადგილს. მედიატორი წინასწარ ამზადებს კონფერენციის ჩასატარებელ სივრცეს (თბილისში მედიაციის კონფერენცია იმართება „მედიაციის სახლში"), განსაზღვრავს თითოეული მხარის ადგილს ისე, რომ არასრულწლოვანი და დაზარალებული ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ მედიატორის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. მედიატორი წინასწარ ზრუნავს იმაზე, რომ კონფერენციის პროცესში არ მოხდეს გარეშე პირების ჩართვა.

გ) მედიაციის კონფერენცია

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანების თანახმად, კონფერენცია არის ფორუმი, სადაც ადამიანები დანაშაულსა და კონფლიქტს განიხილავენ. ყველა მონაწილეს შეუძლია ისაუბროს და გამოხატოს საკუთარი გრძნობები. მედიაციის კონფერენციაზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების შესახებ. კონფერენციაზე აგრეთვე დეტალურად განიხილება ხელშეკრულების სავარაუდო პირობები. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ წამოაყენონ და განიხილონ ახალი პირობები, რომლებიც, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ჩაიდება ხელშეკრულებაში. ამ ეტაპზე მედიატორის ძირითადი როლი მდგომარეობს კონფერენციის წარმართვისა და პირობებზე შეთანხმების ხელშეწყობაში.

ბრძანების თანახმად, კონფერენციის ნებისმიერ ეტაპზე, მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მედიატორი იღებს გადაწყვეტილებას ხანმოკლე შესვენების გამოცხადების შესახებ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მიზეზით: მონაწილეების გადაღლით, სიტუაციის დაძაბვით ან სხვა გარემოებით. მედიაციის კონფერენციის დროს

სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში მედიატორმა შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება მხარეების სხვადასხვა ოთახში გაყვანისა და მათთან ცალ-ცალკე შეხვედრის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, მედიატორი უფლებამოსილია შეხვედრა გადადოს გონივრული ვადით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერს, პროკურორსა და სოციალურ მუშაკს/პრობაციის ოფიცერს. მედიაციის პირობებზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მედიატორი ასრულებს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობას. მედიატორი არიგებს ხელშეკრულების პროექტს და მონაწილეებს აძლევს დროს, რომ გაეცნონ ხელშეკრულების ტექსტს. კონფერენცია დასრულებულად ითვლება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

,,დაზარალებულისა და დამზარალებლის მედიაცია უფრო ხშირად გულისხმობს მათ პირისპირ შეხვედრას, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, სადაც ეს მიზანშეუწონელია (მაგალითად, შეიცავს დაზარალებულის რეტრავმატიზაციის საფრთხეს), ის შესაძლებელია განხორციელდეს პირისპირ შეხვედრის გარეშე. აქ მედიატორი ცალ-ცალკე ხვდება ორივე მხარეს და უზრუნველყოფს, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლასა და შესაბამისად, გაშუალებულ კომუნიკაციას.“[128]

3.3. მედიატორი

მედიაციას ანხორციელებს მესამე პირი, მედიატორი.[129] ამკ-ს მესამე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, მედიატორი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.

,,სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ” ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2018)8 მე-18 წესის თანახმად,[130] ფასილიტატორები [მედიატორები] უნდა წარმოადგენდნენ საზოგა-

128 ი. ერცენი/ჯ. ჯავახიშვილი/ლ. ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, თბილისი, 2020, გვ. 87.

129 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 115.

130 მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2018 წლის 3 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების №1326 შეხვედრაზე.

დოების სხვადასხვა სეგმენტს, უნდა ესმოდეთ ადგილობრივი კულტურა და საზოგადოებრივი ჯგუფების თავისებურებები. მათ უნდა ახასიათებდეთ ინტერკულტურულ მოცემულობებში აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი მგრძნობელობა და შესაძლებლობები.

მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს: ა) ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარისადმი) მიკერძოებული; ბ) ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი; გ) (დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების) პროცესზე პასუხისმგებელი; დ) შემოქმედებითი და არა პრეტენზიული; ე) მონაწილეთა პიროვნების პატივისმცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული; ვ) კომუნიკაბელური და არა ჩაკეტილი; ზ) მომთმენი და არა სულსწრაფი.[131]

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის 3384/ს ბრძანება ასევე ითვალისწინებს მედიატორის აცილების საკითხს. კერძოდ, მედიატორსა და საქმეში მონაწილე მხარეს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული ან/და სხვა სახის კავშირი, რომელიც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს ან ეჭვქვეშ დააყენებს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

ბრძანების თანახმად, აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მედიატორი ვალდებულია განაცხადოს აღნიშნულის შესახებ. მედიატორის აცილების საკითხს განიხილავს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი მედიატორის ან დაინტერესებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. მედიატორის აცილება შესაძლებელია მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე. აცილების შემთხვევაში საქმე წარმოებაში გადაეცემა სხვა მედიატორს.

ამავე ბრძანების მიხედვით, კონფერენციის, ისევე, როგორც ზოგადად მედიაციის პროცესის, მსვლელობისას მედიატორი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი. ამასთან, მედაიტორმა უნდა შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო, გაამხნევოს ისინი და ხელი შეუწყოს მათ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვასა და პირდაპირ დიალოგში. მედიატორი წარმართავს კონფერენციას. იგი ხსნის კონფერენციას

131 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 116.

და ახსენებს დამსწრეებს მედიაციის არსსა და მიზანს, ასევე განუმარტავს მათ კონფერენციის მსვლელობის ეტაპებს, მის წესსა და შეხვედრის სავარაუდო შედეგს. მედიატორი აგრეთვე წარადგენს კონფერენციის თითოეულ მონაწილეს.

თავი მესამე

პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწყების ასაკი განსხვავებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შესაძლებელია სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვანი მოთავსდეს. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან დაბალი ზღვრისთვის არის დადგენილი, ან, თუ საერთოდ არ არსებობს ქვედა ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება კარგავს თავის მნიშვნელობას.

ზოგიერთ ქვეყანაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური პირობები იმ მიზნით, რომ 21 წლამდე მოხდეს მსჯავრდებულთა განცალკევება ზრდასრული პატიმრებისაგან. უფრო მეტიც, არის ქვეყნები (მაგალითად, იაპონია), სადაც ეს ასაკი 24 წლამდეა გაგრძელებული.[132]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნად იწოდება 18 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

პენიტენციური კოდექსი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აწესებს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იზოლირებულად განთავსებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან.[133] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ სრულწლოვნებისგან და დაუყოვნებლივ უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებულების/

132 მიქანაძე, გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან დაკავშირებული თავისებურებანი, სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2009, გვ. 6.

133 საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 56.1.

მსჯავრდებულების ერთად განთავსება შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი იყოს. რაც უფრო მეტი კრიმინალური წარსულის მქონე სრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ერთად მოხდება არასრულწლოვნის განთავსება, მით უფრო მეტი ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს მან ამ უკანასკნელზე. საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია სრულწლოვანი პატიმრების მხრიდან არასრულწლოვან პატიმრებზე სექსუალური ძალადობის, დანაშაულებრივ ქმედებებში ჩაბმისა და მათი წამების ფაქტები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 90-ე მუხლის მეოთხე ნაწილი უშვებს შესაძლებლობას, გამონაკლის შემთხვევაში, არასრულწლოვანი მსჯავრდებული 21 წლის შესრულებამდე დატოვოს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ პირობებს, თუ რა შემთხვევაში არის მისი დატოვება შესაძლებელი. კერძოდ, 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული რესოციალიზაციის, ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით, პირადი განცხადებით შესაძლებელია სასჯელის მოსახდელად დატოვებულ იქნეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე.[134]

ესტონეთის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აქტი (Imprisonment Act of Estonia), მოქმედი 2000 წლის 1 დეკემბრიდან, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ნაცვლად ამკვიდრებს ახალგაზრდა მსჯავრდებულის ტერმინს. ახალგაზრდა მსჯავრდებულად იწოდება პირი, რომელსაც სასჯელის აღსრულების მომენტისათვის არ შესრულებია 21 წელი (მუხლი 77). მათი განთავსება ხდება სპეციალურად გათვალისწინებულ დახურული ან ღია (ახალგაზრდული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) ტიპის დაწესებულებაში ან დახურული ტიპის დაწესებულების იზოლირებულ განყოფილებაში (ახალგაზრდების განყოფილება). კანონმდებლობის თანახმად, ახალგაზრდულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ახალგაზრდების განყოფილებაში ერთმანეთისგან იზოლირებულად არიან გა-

134 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 90.3.

ნთავსებულნი: ა) პირები, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი; ბ) 15-დან 16 წლამდე ასაკის პირები; გ) 16-დან 18 წლამდე ასაკის პირები; დ) 18-დან 21 წლამდე ასაკის პირები.[135]

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა საკითხებს, ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციას და არა დასჯას. თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობა თითოეულ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც დამოკიდებულია მათ ზოგად მდგომარეობაზე, სულიერ ჯანმრთელობაზე, სიძნელეების გამკლავების უნარსა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე. ზოგადად, თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირი, და განსაკუთრებით არასრულწლოვნები, მათი ასაკიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, განიცდიან დამოუკიდებლობისა და სოციალური მხარდაჭერის დეფიციტს, აგრეთვე, მათთვის დამახასიათებელია დაღლილობის შეგრძნება იმის გამო, რომ მოკლებულნი არიან მიზანმიმართულ საქმიანობას. აღნიშნულმა შეგრძნებებმა შეიძლება გამოიწვიოს იზოლაციის, დეგრადაციისა და უუფლებობის განცდა, რამაც შესალებელია გაამწვავოს არსებული ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემები და ხელი შეუწყოს ახალი სირთულეების პროვოცირებასა და წარმოქმნას, მათ შორის, დეპრესიასა და საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის დაქვეითებას ან სულაც დაკარგვას. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს, რომლებიც ზემოაღნიშნული განცდების ქვეშ იმყოფებიან, შესაძლოა განუვითარდეთ ძალადობისა და განრისხების რეაქციები, კერძოდ:

- **დამოუკიდებლობისა და კონტროლის უკმარისობა:** იმ მომენტიდან, როდესაც თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები გადააბიჯებენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ზღურბლს, ისინი ერთგვარად კარგავენ ინდივიდუალობას და რიცხვებამდე დაიყვანებიან. მათგან მოითხოვენ, დაემორჩილონ იმ წესებს, რომლებიც მართავენ მათი ცხოვრების ყველა ასპექტს: მათ მიუთითებენ სად უნდა დაიძინონ, სად მიიღონ საკვები, როდის ივარჯიშონ და ა. შ. ისინი ფაქტობრივად კარგავენ გადაწყვეტილების მიღების უფლებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს

135 ესტონეთის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აქტი, მუხლი 81.

მათ ცხოვრებაზე. უფლებებისა და ინდივიდუალობის ასეთმა „დაკარგვამ“ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს თავისუფლებააღკვეთილი პირის ღირსებასა და სულიერ მდგომარეობაზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, როდესაც თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ხშირად დამახასიათებელია დეპრესია და უიმედობის განცდა.

- **სოციალური მხარდაჭერის დეფიციტი:** თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები მოწყვეტილნი არიან ოჯახებს, მეგობრებსა და ახლობელ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ მათი სოციალური და ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფის უნარი. შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილი პირები შეიძლება თავს არა მხოლოდ იზოლირებულად, არამედ მარტოდაც გრძნობდნენ.
- **მიზანმიმართული საქმიანობის დეფიციტი:** აღნიშნულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში არ არის ორგანიზებული სხვადასხვა პროგრამა, განათლების მიღებისა და მუშაობის შესაძლებლობები. ასეთ დროს, „იძულებითმა მოწყენამ“ შესაძლოა გამოიწვიოს მოწყენა, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიხატოს პრობლემურ ქცევასა და ძალადობაში.

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობაში/თავისუფლების აღკვეთაში ყოფნის საკანონმდებლო რეგულირება

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პენიტენციური კოდექსი, რომლის ფარგლებშიც ფართოდ იქნა მიმოხილული და განსაზღვრული ფუძემდებლური პრინციპები, დაკავშირებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის მოხდის პირობებთან. თუმცა, არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება სრულად დარეგულირებულია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, კერძოდ, კოდექსის XIII თავით „არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ყოფნის პირობები“.

პენიტენციური კოდექსით განსაზღვრულია შვიდი ტიპის თა-

ვისუფლების აღკვეთის დაწესებულება,[136] რომელთაგან ერთ-ერთი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაა.[137] აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირება უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა იზოლირებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან.

საქართველოს პენიტენციური კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება არის არასრულწლოვნების განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილი, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, რომელშიც მოთავსებულნი არიან თავისუფლების აღვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვნები და უზრუნველყოფილია მათი მუდმივი მეთვალყურეობა.[138] საინტერესოა, რომ 2014 წლამდე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, რომელიც არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების სახელით იყო მოხსენიებული იმ დროს მოქმედ პატიმრობის კოდექსში, შეიარაღებული დაცვის უზრუნვეყოფას საჭიროებდა. პენიტენციურ კოდექსში ასახული განმარტებით, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება შეიარაღებულ დაცვას არ საჭიროებს.

არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, თავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში,[139] ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა - არასრულწლოვანთა სარებილიტაციო დაწესებულებაში.[140] პენიტენციური კოდექსი ადგენს, როგორც წესი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანთა სხვა კატეგორიის

136 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ხუთი დანარჩენი ტიპია: 1) გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; 2) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; 3) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; 3) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; 4) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; და 5) ქალთა სპეციალური დაწესებულება.

137 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 33.7.

138 იქვე, მუხლი 40.

139 პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ეს განყოფილება ორგანიზებულია ქ. თბილისის #8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ხოლო დასავლეთ საქართველოში - ქ. ქუთაისის #2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

140 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 79.1.

მსჯავრდებულთაგან განცალკევებით განთავსებას,[141] ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს, რომ ერთმანეთისგან განცალკევებით უნდა მოთავსდნენ ბრალდებული და მსაჯვრდებული არასრულწლოვნები; და მდედრობითი და მამრობითი სქესის არასრულწლოვნები.[142] უფრო მეტიც, კანონმდებლობით აკრძალულია არა მხოლოდ არასრულწლოვნის სრულწლოვანთან ერთად მოთავსება, არამედ ტრანსპორტირებაც კი. მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავსდება ქალთა სპეციალური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში და მასზე ვრცელდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისათვის დადგენილი ნორმები.[143] ამ ნორმით საქართველოს კანონმდებლობამ უზრუნველყო პატიმრობის საერთაშორისო პრინციპების დაცვა, დაადგინა რა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი და იმავე დაწესებულებაში მოხდება სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულთა განთავსება, უზრუნველყოფილი იქნება მათი ერთმანეთისგან იზოლირება. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში სხვადასხვა სქესის არასრულწლოვანთა ერთად მონაწილეობის შესაძლებლობა დაუშვა.[144]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, ისინი უნდა განთავსდნენ ასაკობრივი ჯგუფის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მახასიათებლების მიხედვით.[145] არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დღის განრიგით დადგენილი წესით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, გადაადგილდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე.[146]

141 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 56.1.
142 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 81.1.
143 იქვე, მუხლი 81.5.
144 იქვე, მუხლი 81.4.
145 იქვე, მუხლი 81.3.
146 იქვე, მუხლი 83.3.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები განთავსებულნი არიან სპეციალურ საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი,[147] რაც უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად. ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო, ვიდეოსაშუალებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებით. სპეციალური პენიტენციური სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა.[148] პატიმრობის/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება ვალდებულია გააფრთხილოს არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მის მიმართ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ან/და აუდიო, ვიდეოჩაწერის განხორციელების შესახებ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[149] დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელება საერთო სარგებლობის საშხაპეში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოსა და ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილ ოთახში. საერთო სარგებლობის საპირფარეშოში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად.[150] პატიმრობის/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია თვალსაჩინო ადგილზე განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი

147 იქვე, მუხლი 79.3.
148 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 58.1.
149 იქვე, მუხლი 58.2.
150 იქვე, მუხლი 58.5.

ნიშანი.[151] ზემოხსენებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გარემოების აღმოფხვრისთანავე პატიმრობის/არასრულწლოვანთა სარებილიტაციო დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის მის დასასჯელად განხორციელება.[152]

საქართველოს პენიტენციური კოდექსი ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებზე საცხოვრებელი ფართის ნორმად არანაკლებ 4 კვადრატულ მეტრს აწესებს.[153] რაც შეეხება არასრულწლოვან ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიუთითებს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სხვა ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შედარებით გაუმჯობესებული პირობები.[154] კანონმდებლობა არ აკონკრეტებს გაუმჯობესებული პირობები მეტ ფართს და/ან უკეთეს მატერიალურ-ტექნიკურ ინფრასტრუქტურას თუ რომელ სხვა კომპონენტს გულისხმობს; თუმცა, ცხადია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის/ მსჯავრდებულის პირობები არ უნდა იყოს მსგავსი იმისა, რაც აქვთ სრულწლოვნებს, იგი უნდა იყოს უკეთესი.

18 წელს მიღწეული მსჯავრდებული, მაგრამ არაუგვიანეს 21 წლის მიღწევისა, რესოციალიზაციის, ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით, პირადი განცხადებით შესაძლებელია სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნეს დატოვებული, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე.[155] 18 წელს მიღწეულ მსჯავრდებულზე, რომელიც სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნა დატოვებული, ვრცელდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის დადგენილი სასჯე-

151 იქვე, მუხლი 58.7.
152 იქვე, მუხლი 58.8.
153 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 110.2.
154 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 83.1.
155 იქვე, მუხლი 90.3 და 90.4.

ლის მოხდის, კვებისა და საყოფაცხოვრებო ნორმები.[156] 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდისთვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[157]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უფლებამოსილებები დეტალურად მოცემულია ქვემოთ განხილულ ქვეთავებში. თუმცა, დამატებით გამოსაყოფია არასრულწლოვანი ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელიც უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის შესაბამისი.[158] გარდა ამისა, არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის/ მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები, მას უნდა ჰქონდეს დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალებების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული მოთხოვნა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ნებართვა, მას აქვს პირადი ექიმის საკუთარი სახსრებით მოწვევის უფლება.[159] არასრულწლოვანი ბრალდებული/ მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგულარული სამედიცინო შემოწმებით, საჭირო მკურნალობით, პრევენციული სამედიცინო მომსახურებითა და სპეციალური სამედიცინო ინვენტარით.[160] პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სამედიცინო პერსონალის უმთავრესი ფუნქციაა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, ცნობის შედგენა, რომელიც არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათში ინახება.[161] იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო შემოწმებისას არასრულწლოვნის სხეულზე გამოვლინდება დაზიანება, სამედიცინო პერსონალი პირი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საგამოძიებო ორგანოს, არას-

156 იქვე, მუხლი 90.5.
157 იქვე, მუხლი 90.2.
158 საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 139.1.
159 იქვე, მუხლი 96.1.
160 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 82.1.
161 საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 96.2.

რულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს და იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული.[162] კანონმდებლობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის თითოეულ დაწესებულებას (მათ შორის, იმ დაწესებულებებს, სადაც არასრულწლოვნები არიან განთავსებულნი) ავალდებულებს საექიმო-სამედიცინო პუნქტის შექმნას.[163] თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მკურნალობა შეუძლებელია დაწესებულების ფარგლებში შექმნილ საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში.[164]

მოქმედი კანონმდებლობა სრუწლოვნებისგან განსხვავებით არეგულირებს არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან მიმართებით დისციპლინური სახდელის გამოყენებას. კერძოდ, არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსება,[165] აგრეთვე, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით დისციპლინური პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია.[166] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსაზღვრავს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში სახდელის შემდეგ სახეებს: 1. გაფრთხილების მიცემა; 2. საყვედურის გამოცხადება; 3. ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ერთ თვემდე ვადით; 4. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა ერთი თვის ვადით; 5. ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლების შეზღუდვა ერთ თვემდე ვადით; 6. სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა ერთ თვემდე ვადით, იმ პირობით, რომ ორი კვირის თავზე, სანიმუშო ყოფაქცევის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეუძლია მიმართოს დაწესებულების დირექტორს <u>შეზღუდვის გა</u>უქმების განცხადებით; და 7. საკნის ტიპის საცხო-

162 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 82.2.
163 საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 140.1.
164 იქვე, მუხლი 140.2.
165 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 92.2.
166 იქვე, მუხლი 92.4.

ვრებელში გადაყვანა ერთი წლის განმავლობაში ექვს თვემდე ვადით.[167] ნებადართული ნივთებითა და მაღაზიით სარგებლობის, ამანათებისა და გზავნილების მიღებისა და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის საერთო ვადა ერთი წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.[168] დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის შეზღუდვის შემთხვევაში, ამ სახდელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს უნარჩუნდება სატელეფონო საუბრის უფლება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებზე დასაკავშირებლად,[169] რაც მის უფლებრივ გარანტიებს განამტკიცებს.

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მისი საქმე განიხილება ზეპირი მოსმენით. გამონაკლისია, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული არღვევს წესრიგს, სხვაგვარად ხელს უშლის სხდომის მიმდინარეობას, არ ცხადდება სხდომაზე ან უარს აცხადებს სხდომაში მონაწილეობაზე.[170]

დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვისას, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული თანახმაა იყოლიოს ადვოკატი, ხდება ადვოკატის მოწვევა შესაბამისი განმარტების მიღებიდან 6 საათის განმავლობაში, ხოლო თუ ამ პერიოდში ადვოკატი არ გამოცხადდა, მას დაენიშნება საზოგადოებრივი ადვოკატი.[171]

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ურთიერთობა გარე სამყაროსთან

არასრულწლოვნის ურთიერთობა გარე სამყაროსთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა საშუალებით, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა

167 იქვე, მუხლი 92.1.
168 იქვე, მუხლი 92.3.
169 იქვე, მუხლი 92.1[1].
170 იქვე, მუხლი 93.1.
171 იქვე, მუხლი 93.3.

კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა განიხილებოდეს როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია. ამიტომ ასეთი კონტაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წახალისების ან დასჯის ფორმა.

ნელსონ მანდელას წესები (58-ე, 60-ე და 61-ე წესები) საოჯახო კონტაქტებს ეხება. მათი დებულებები თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით ეხმაურება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ ,,არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, აგრეთვე არ შეიძლება მისი საცხოვრებელი ბინის, კორესპონდენციის საიდუმლოების ან მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს აქვს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან დაცვის უფლება". შესაძლოა, ეს დებულება უფრო მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით, ვიდრე მის გარეთ. ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის მანძილზე თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება მხოლოდ ნათესავებთან ურთიერთობაა. ასევე ცნობილია, რომ ოჯახთან და მეგობრებთან დაშორება თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მომენტია.[172]

დაკავებისთანავე ან თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორეში ყოველი გადაყვანისას თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს თხოვნით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს, რათა მან შეატყობინოს მისი ოჯახის წევრებს და მის მიერ არჩეულ სხვა პირს საკუთარი ადგილმდებარეობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შეცვლის შესახებ.[173]

ადგილმდებარეობის შეცვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება არის არა მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა, არამედ მათი არასრულწლოვანი შვილების (რომელიც შეიძლება იხდიდეს სასჯელს) უფლებაც. ბავშვთა უფლებების კონვენციის 9.4 მუხლი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს (მათ შორის, საქართველოსაც) ავალდებულებს, რომ ბავშვებს ან, თუ ეს საჭიროა, ოჯახის სხვა წევრებს მიაწოდონ ,,აუცილებელი ინფორმა-

172 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005 წ., გვ. 115.

173 პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად, მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის 43/173 რეზოლუციით, პრინციპი 16(1).

ცია ოჯახიდან წასული წევრის ადგილსამყოფლის შესახებ”.

იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არასრულწლოვანია, ან არ აქვს უნარი აღიქვას თავისი უფლებები, კომპეტენტურმა ორგანომ საკუთარი ინიციატივით უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანთა მშობლების ან მეურვეების ინფორმირებას.[174]

ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, რაც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მაშინ, როდესაც პატიმარი საცხოვრებელ ადგილთან ახლოსაა განთავსებული. თუ პატიმრები სახლიდან ძალიან შორს განთავსდებიან, მათი მონახულება (ისევე როგორც სახლში დროებითი გაშვება) უფრო დიდ ძალისხმევასა და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამ მოსაზრებას განმარტავს პრინციპების კრებულის მე-20 პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის თხოვნით, თუ ეს შესაძლებელია, დაკავების ან დაპატიმრების ადგილი უნდა იყოს მის საცხოვრებელ ადგილთან, რაც შეიძლება, ახლოს.[175] იგივე შინაარსია დაცული ნელსონ მანდელას 59-ე წესში, რომლის თანახმად, პატიმრები უნდა განთავსდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში შეძლებისდაგვარად ახლოს სახლთან ან მათი სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.

საცხოვრებელ ადგილთან ახლოს გადაყვანის შესაძლებლობა უნდა განიხილონ ყოველ თავისუფლებააღკვეთილ პირთან ერთად მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ მოკლე ვადაში. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, არასრულწლოვანი პატიმრების ამ პრინციპით განთავსება სიძნელეს წარმოადგენს, რადგან არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სიმცირის გამო, დაწესებულება შეიძლება არ მდებარეობდეს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. საქართველოს რეალობაში არასრულწლოვანი ბრალდებულები განთავსებულნი არიან ქუთაისის #2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და თბილისის #8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ხოლო მსჯავრდებული არასრულწლოვნები: არასრულწლოვანი გოგონები

174 იქვე, პრინციპი 16(3).

175 იქვე, პრინციპი 20.

- რუსთავის #5 ქალთა სპეციალური დაწესებულების სპეციალურ განყოფილებაში და არასრულწოვანი ვაჟები - თბილისის #11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

გარე სამყაროსთან (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან) რეგულარული კონტაქტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეაბილიტაციის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კავშირის უზრუნველყოფა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებლობის ფარგლებში და კანონით დადგენილ შემთხვევებში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უნდა მიეცეს ხანმოკლე ვადით შინ წასვლისა და ოჯახის წევრთა მონახულების უფლება. როგორც წესი, ეს ვადა ყოველ ჯერზე რამდენიმე დღეს შეადგენს. საქართველოში აღნიშნული ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.[176] თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის დრო შედის სასჯელის საერთო ვადაში.[177] სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა განსხვავებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობის პერიოდულობის მხრივ. საქართველოში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ამ უფლებით სარგებლობა შესაძლებელია წელიწადში სამჯერ.[178] წახალისების ფორმად დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება. კანონმდებლობა აწესებს დათქმას, რომ ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა: 1. ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; 2. მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი; 3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.[179] რაც შეეხება არასრულწლოვან ბრალდებულს, კანონმდებლობა არ იცნობს

176 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 88.1.
177 საქართველოს კანონი, საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 125.11.
178 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 88.1.
179 იქვე, მუხლი 88.2.

ბრალდებულის სტატუსის მქონე არასრულწოვნისთვის გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება უფლება მიეცეს განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით, დროებით დატოვოს დაწესებულების ტერიტორია, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე, ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით, ან მსჯავრდებულის სოციალური აქტივობის განსახორციელებლად, აგრეთვე, თუ აუცილებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონაწილეობა საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში. დაწესებულების დროებით დატოვებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.[180] ბრალდებულის მიერ დაწესებულების დროებით დატოვება არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს და მის ნებართვას გასცემს გამომძიებელი ან პროკურორი,[181] ხოლო მსჯავრდებულის შემთხვევაში - არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს[182] და ნებართვას გასცემს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი დაწესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე.[183]

მიზანშეწონილია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს ოჯახის წევრებს ხშირად მივიდნენ არასრულწლოვანთა მოსანახულებლად (კანონით დადგენილი ყოველთვიური პაემნების ფარგლებში) და იქონიონ კონტაქტი წერილებისა და ტელეფონის საშუალებით. არასრულწლოვან მსჯავრდებულს ერთი თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით 5, თითოეული არანაკლებ 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო,[184] ხოლო ბრალდებულს – 3 სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლებას აძლევს კანონმდებლობა, თითოეული არანაკლებ 15 წუთის ხანგრძლივობისა.[185]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, პაემნების მრავალფეროვნების პირობებში, გაზრდილია არასრულწლოვანი

180 საქართველოს კანონი, საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 50.1.
181 იქვე.
182 იქვე, მუხლი 124.5.
183 იქვე, მუხლი 124.7.
184 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 87.1.
185 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 116.4.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან ხშირი კომუნიკაციის შესაძლებლობა. არასრულწლოვანი ბრალდებული არ სარგებლობს, ხოლო არასრულწლოვან მსჯავრდებულს თვეში განსაზღვრული აქვს 4 ვიდეოპაემნით, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება.[186]

საოჯახო პაემანი, რომელიც მხოლოდ ქალ მსჯავრდებულთა უფლებას წარმოადგენს,[187] არ ვრცელდება არასრულწლოვან გოგონა მსჯავრდებულებზე.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული სარგებლობს ხანგრძლივი პაემნის უფლებით, რაც მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია წელიწადში 4-ჯერ და წახალისების ფორმით - წელიწადში დამატებით 6-ჯერ.[188] თითოეული ხანგრძლივი პაემანი 23 საათის დროს მოიცავს.[189] 2024 წლიდან ამოქმედებულმა საქართველოს პენიტენციურმა კოდექსმა დანერგა ბრალდებულისთვის (მათ შორის, არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის) ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, რაც პატიმრობაში ყოფნის პერიოდში შეიძლება მხოლოდ ერთხელ განხორციელდეს და ისიც, პატიმრობაში ყოფნის 3 თვის შემდეგ.[190]

არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული თვეში 4 ხანმოკლე პაემნით სარგებლობს,[191] ხოლო არასრულწოვან მსჯავრდებულს წახალისების ფორმით თვეში შეიძლება დამატებით 2 ხანმოკლე პაემანი ჰქონდეს.[192] ხანმოკლე პაემანი ეწყობა ერთიდან ორ საათამდე ვადით.[193]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პენიტენციურ კოდექსთან ერთად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებთანაც არასრულწლოვან მსჯავრდებულს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის ფარგლებში შეხვედრის უფლება აქვს. პირთა წრე, რომელთანაც კანონმდებლობა უშვებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ხანმოკლე პაემნის განხორციელებას, მოიცავს ახლო ნათესავს (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო

186 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 87.1.
187 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 121.1.
188 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 87.1.
189 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 122.7.
190 იქვე, მუხლი 87.2.
191 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 120.3.
192 იქვე, მუხლი 87.1.
193 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 120.11.

შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილი, ძმისშვილი და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში).[194] არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მიმართებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა განსაზღვრა მსჯავრდებულის ნებისმიერ პირთან ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის განხორციელების შესაძლებლობა კანონიერი წარმომადგენლისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ნებართვით.[195]

არასრულწლოვან ბრალდებულს ხანმოკლე პაემნის განხორციელება შეუძლია პირთა იმავე წრესთან, რაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ხანმოკლე პაემნისთვის არის განსაზღვრული, ხოლო ხანგრძლივი პაემნის შემთხვევაში, პირთა წრე მნიშვნელოვნად შემცირებულია და მოიცავს მხოლოდ შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან.[196] ბრალდებულ არასრულწლოვანს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, პენიტენციური დირექტორის შუამდგომლობითა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით, კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე.[197]

პაემნებსა და დაწესებულების ხანმოკლე დატოვებას შორის საინტერესო კომპრომისის მაგალითია გერმანია, სადაც ის ცნობილია ტერმინ „ბეზუხსაუსგანგის“ (შვებულება ვიზიტის ნაცვლად) სახელით. ზოგიერთ თავისუფლებააღკვეთილ პირს საშუალება ეძლევა შეხვდეს მნახველს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების კედლებს გარეთ იმ დროის განმავლობაში, რა დროითაც პაემანი უნდა გაგრძელებულიყო. ასეთ გადაწყვეტი-

194 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 87.3. და საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 120.1.

195 იქვე.

196 იქვე, მუხლი 122.2.

197 იქვე, მუხლი 122.7.

ლებას ის უპირატესობა აქვს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი და მისი მნახველი თვითონ არჩევენ შეხვედრის ადგილს და პირობებს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალს აღარ უხდება ამ პრობლემებზე ზრუნვა.[198]

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე (მათ შორის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის პერიოდში) ისარგებლოს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით.[199] თუ დაკავებული არასრულწლოვანი ან დაპატიმრებული არასრულწლოვანი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მისი დაკავების ან დაპატიმრების შესახებ უმოკლეს ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვნის დაკითხვამდე უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. არასრულწლოვნის დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.[200] თუ არასრულწლოვანი იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არ აქვს, ან თუ იგი საერთაშორისო დაცვის მქონე პირია ან მოქალაქეობის არმქონე პირია, მას საშუალება უნდა მიეცეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით დაუკავშირდეს იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელიც მის ინტერესებს იცავს, ან ნებისმიერ ადგილობრივ ან საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ამოცანაც არის ასეთი არასრულწლოვნის დაცვა.[201]

მოცემული ცხრილი დეტალურად წარმოაჩენს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კონტაქტის ფორმებსა და სიხშირეს პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით:

198 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 118.

199 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 31.1.

200 იქვე, მუხლი 31.2.

201 იქვე, მუხლი 31.3.

გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ფორმები	პენიტენციური დაწესებულებები		პერიოდი
	პატიმრობის დაწესებულება	არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სადაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულია განთავსებული	
სატელეფონო ზარი (საკუთარი ხარჯით)	არანაკლებ 3 სატელეფონო საუბარი, თითო არანაკლებ 15 წუთისა.	არანაკლებ 5 სატელეფონო საუბარი, თითო არანაკლებ 15 წუთისა. წახალისება: ულიმიტო სატელეფონო საუბარი.	თვეში
ხანმოკლე პაემანი	4-ჯერ	4-ჯერ წახალისება: თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.	თვეში
ხანგრძლივი პაემანი	ერთხელ მთელი პატიმრობის პერიოდში	4-ჯერ წახალისება: წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.	წელიწადში
ვიდეოპაემანი	-	თვეში 4-ჯერ ვიდეოპაემანი. წახალისება: თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი.	10 დღეში
საოჯახო პაემანი	-	-	თვეში
განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულების დროებით დატოვება	არაუმეტეს 3 დღე	არაუმეტეს 3 დღე	-
პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა	-	3-ჯერ	წელიწადში

3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

მსჯავრდებულის რესოციალიზაციას საქართველოს პენიტენციური კოდექსის 135-ე მუხლი განმარტავს, როგორც მსჯავრდებულისთვის საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესების პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, ხოლო რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებად ასახელებს: 1. დადგენილი წესით სასჯელის მოხდას; 2. მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას; 3. დასაქმებას; 4. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებას; 5. პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას; 6. საზოგადოებასთან ურთიერთობას.[202]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვნისათვის გარანტირებული უნდა იყოს შინაარსობრივი ქმედებებითა და პროგრამებით სარგებლობა, რომლის მიზანიც იქნება მისი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და იმ დამოკიდებულებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მას დაეხმარება საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში.

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლობა იმ დაწესებულებებთან, რომლებიც, ზოგადად, არასრულწლოვანთა საკითხებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე მუშაობენ (მაგალითად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სპორტის სამინისტრო და სხვ.). ამ მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სხვადასხვა სამინისტროსთან რიგი ერთობლივი ბრძანებების გამოცემას; ასე მაგალითად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს სრული ზოგადი განათლება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

---

202 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 135.2.

რესოციალიზაციის ფარგლებში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განათლება წარმოადგენს. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის დაწყებითი და საბაზისო განათლების მიცემა სავალდებულოა.[203] ეს არის მისი საზოგადოებაში უმტკივნეულოდ დაბრუნებისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის აცილების ერთ-ერთი ხელშემწყობი მექანიზმი. საგანმანათლებლო პროცესი უნდა უზრუნველყონ კვალიფიციურმა მასწავლებლებმა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით იმგვარად, რომ გათავისუფლების შემდგომ არასრულწლოვანმა დაუბრკოლებლად შეძლოს სწავლის გაგრძელება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზოგადი განათლების მიცემის და ზოგადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების/განვითარების მიზნით, აგრეთვე არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის პროფესიული განათლების მიცემის მიზნით, პატიმრობის დაწესებულება/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს.[204] სასწავლო პროცესი ქვეყანაში არსებულ განათლების სტანდარტებს შეესაბამება.[205] სასწავლო პროცესს წარმართავენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობაში მყოფი სერტიფიცირებული მასწავლებლები. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ბრალდებულად ყოფნის/სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში (დიპლომი, სერტიფიკატი, ატესტატი და სხვ.) არ მიეთითება ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია არასრულწლოვნის, როგორც ნასამართლევის ან ყოფილი მსჯავრდებულის, იდენტიფიცირება.[206]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიული განათლების მიღების უზრუნველყოფას არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას ყველა პირობა, რომ მსჯავრდებულმა მიიღოს

203 იქვე, მუხლი 84.2.
204 იქვე, მუხლი 84.3.
205 იქვე, მუხლი 84.5.
206 იქვე, მუხლი 84.6.

პროფესიული განათლება, რაც ამ უკანასკნელს ხელს შეუწყობს დაწესებულების დატოვების შემდეგ მის დასაქმებაში.[207] არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სამუშაოს მეთოდები და ორგანიზება მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს და ასახავდეს საზოგადოებაში განსახორციელებელ ანალოგიურ სამუშაოს იმგვარად, რომ მოამზადოს არასრულწლოვანი საზოგადოებაში დაბრუნებისა და ცხოვრების პირობებისთვის.

იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანს არა აქვს შემეცნება, სწავლასთან მიმართებით აწყდება სირთულეებს, ასაკის მიუხედავად არ უსწავლია საჯარო სკოლაში ან ასაკთან შეფარდებით არასაკმარისი სწავლის ისტორია გააჩნია, უნდა ფუნქციონირებდეს სპეციალური პროგრამები და ასეთ არასრულწლოვნებთან სწავლება ინდივიდუალური გეგმით უნდა მიმდინარეობდეს. კანონმდებლობა ამგვარ ინდივიდუალურ მიდგომას მხოლოდ მსჯავრდებულთან მიმართებით უშვებს.[208]

არასრულწლოვანი მსჯავრდებული სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე განათლების მიღების უფლებით.[209] 2022 წლიდან საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთათვის ციფრული სწავლების პლატფორმა „ციფრული უნივერსიტეტი“ ამოქმედდა. პროექტი მსჯავრდებულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დისტანციურად მიიღონ სრულფასოვანი უმაღლესი განათლება; ჩაერთონ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში; ონლაინ დაესწრონ ლექციებს და პირდაპირი, ინტერაქციული კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან. მანამდე პენიტენციურ დაწესებულებებში აკადემიური სწავლება მხოლოდ კორესპონდენციული მეთოდით ხორციელდებოდა. მსჯავრდებული სტუდენტები სასწავლო მასალას იღებდნენ და წერით დავალებებს ასრულებდნენ, თუმცა, ლექტორებთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობას ისინი მოკლებულნი იყვნენ. ციფრული სწავლების პლატფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით ხორციელდება და მოიცავს საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურებს.[210]

207 იქვე, მუხლი 84.4.
208 იქვე, მუხლი 84.7.
209 იქვე, მუხლი 84.4[1].
210 იხ.: https://justice.gov.ge/?m=articles&id=VdFYMYqJXa

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოელი ან განსხვავებული კულტურული ან ეთნიკური წარმომავლობის არასრულწლოვნებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას. არასრულწლოვანს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უნდა შეექმნას პირობები მის შესასწავლად.[211]

უმეტეს შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წარმატებულად განხორციელებული საგანმანათლებლო და ტრენინგის პროგრამები ოთხი ძირითადი თავისებურებით გამოირჩევა:

- სტიმულზე დამყარებული სტრუქტურა: თავისუფლებააღკვეთილი პირები იღებენ პრივილეგიებს და წახალისებებს, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთის ვადის შემცირება, ვადაზე ადრე გათავისუფლება და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დასაქმების უპირატესი უფლება, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ დაასრულონ სასწავლო კურსები და მიაღწიონ სასურველ მიზნებს.
- მოსწავლეებზე ორიენტირებული სტრუქტურა: პროგრამები ადასტურებენ, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები არიან სხვადასხვა კულტურული გარემოდან გამოსული მოზრდილები, რომლებსაც ცოდნის განსხვავებული დონე და უნარ-ჩვევები აქვთ. ამ პროგრამების წარმატება დამოკიდებულია თავისუფლებააღკვეთილთა ნებისყოფაზე.
- საზოგადოებაზე ორიენტირებული სტრუქტურა: საზოგადოებიდან გამოსულ მოხალისეებს და ორგანიზაციებს, მათ შორის, რელიგიურ ორგანიზაციებს, შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ საზოგადოებასთან თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების მუდმივი კავშირის უზრუნველყოფის გზით.
- ყოველმხრივი (საერთო ხასიათის) პროგრამები: პროგრამები ადასტურებენ, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლებული პატიმრები ხშირად საჭიროებენ დამაკავშირებელ „ხიდს“ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში ცხოვრებასა და დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრებას შორის. ამ პროგრამების მიხედვით, გათავისუფლებულ პა-

211 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 131.3.

ტიმრებს აქვთ გარდამავალ პროგრამებში ჩართვის არჩევანი (ან ზოგჯერ ჩართვა მოეთხოვებათ), რაც აძლიერებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებულ უნარ-ჩვევებს.[212]

ყოველ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში (მათ შორის, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაშიც) უნდა ფუნქციონირებდეს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურით, ისე, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე.[213]

არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება,[214] რაც უნდა განხორციელდეს სწავლისაგან თავისუფალ დროს[215] და არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.[216] დასაშვებია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ მუშაობა.[217] არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.[218]

ყოველ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც მუშაობს, უნდა ჰქონდეს განხორციელებული საქმიანობის ადეკვატური ანაზღაურება (ამკ-ს 85-ე მუხლი). იმავე 85-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

ყოველ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, უფლება უნდა ჰქონდეს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები რელიგიასა და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ მსახურებაზე ან შეხვედრებზე დასწრების გზით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება

212 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი / იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 108.

213 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 131.2.

214 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 85.1.

215 იქვე, მუხლი 85.2.

216 იქვე, მუხლი 85.3.

217 იქვე, მუხლი 85.4.

218 იქვე, მუხლი 85.5.

პატიმრობის/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, აგრეთვე, უნდა ჰქონდეს უფლება, იქონიოს რელიგიური ხასიათის წიგნები და საგნები, რათა მისდიოს საკუთარ აღმსარებლობას. რელიგია განსაკუთრებულ როლს თამაშობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარემოში რიგი მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელებაში. ეს მიზნები მოიცავს: 1. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის კითხვებზე ცხოვრების შესახებ პასუხის გაცემას; 2. აუცილებელი წესების გაცნობას, რომელთა დაცვა სავალდებულოა და რომლებიც აადვილებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რესოციალიზაციას; და 3. საზოგადოებასთან კონტაქტის დამყარებას ერთგვარად მოაზროვნე პატიმრების ერთად თავმოყრით სალოცავად, რელიგიურ თემებზე სასაუბროდ, მსჯელობისათვის. ამგვარი ერთად ყოფნა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს გარკვეულ წრესთან ერთიანობის შეგრძნებას ანიჭებს და მის კულტურაზე დადებითად მოქმედებს.[219]

უახლესმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ რელიგიური ხასიათის რჩევა-დარიგება ამცირებს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ძალადობას და მას თითქმის არა აქვს რეციდივი. ხშირად რელიგიური აქტიურობა, მრჩევლების და დამრიგებლების გამოყენებით, შეიძლება იყოს დამატებითი შესაძლებლობა, რათა დააკავშიროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული ატმოსფერო გარე საზოგადოებას და გააუმჯობესოს რეინტეგრაციისადმი მიმართული ძალისხმევა.[220]

არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობის განხორციელებისა და სეირნობის უფლებით. ამ მიზნით, მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო აღჭურვილობა და სივრცე. სასეირნო ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მეტეოროლოგიურმა პირობებმა ხელი არ შეუშალოს შესაბამისი უფლების რეალიზებას.[221] არასრულწლოვნისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, უნდა არსებობდეს შესაფერისი რეკრეაციული და ფიზიკური აღზრდის პროგრამები.[222]

219 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი / იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 112-113.

220 იქვე.

221 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 86.1.

222 იქვე, მუხლი 86.2.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა, რომლის მიზანია: 1. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება; 2. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა; 3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება; 4. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადება; 5. სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია.[223]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დღის განრიგი უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის დროს,[224] რაც მხოლოდ მისი თანხმობით შეიძლება განხორციელდეს.[225] არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროგრამის ორგანიზებისთვის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საჭიროების შემთხვევაში, მოწვეულნი იქნებიან სათანადო სპეციალისტები.[226] ოჯახური დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეაბილიტაციის მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორგანიზებით ტარდება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები.[227]

4. პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა

ყოველი მსჯავრდებულისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ფლობას გათავისუფლების მექანიზმისა და შესაძლო თარიღის შესახებ. მსჯავრდებულისათვის გათავისუფლება, თუნდაც ეს პირობითი იყოს, აღიქმება თავისუფლების ხელახალ მოპოვებად, რაც მისი უფლებების მნიშვნელოვანი ელემენტია.[228]

223 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 136.1.
224 იქვე, მუხლი 137.3.
225 იქვე, მუხლი 137.4.
226 იქვე, მუხლი 137.8.
227 იქვე, მუხლი 137.9.
228 Van Zyl Smit D.,/Snacken S., Principles of European prison law and policy, Oxford University Press Inc., New York, 2009, pg. 316.

პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ევროპის საბჭოს (2003)22 რეკომენდაციით დადგენილი კრიტერიუმები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ რეკომენდაციის მე-20 წესს, რომლის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმები ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ ამ უფლებას ანიჭებდეს ყველა მსჯავრდებულს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმორჩილი მოქალაქის მინიმალურ მოთხოვნებს. პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვის, უარყოფითი ეფექტის შემცირებისა და მსჯავრდებულის რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით.[229]

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშეც, ფაქტობრივად, შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი. პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის დახმარება, რათა მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის შემდეგ შეძლოს საზოგადოებაში კანონმორჩილი ცხოვრება გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.[230]

ვადამდე გათავისუფლების მარეგულირებელი სამართალი და პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისა და აღსრულებისათვის, რამეთუ ისინი ცხადყოფენ იმ რეალობას, რომლითაც დგინდება თუ რამდენად ხორციელდება კონსტიტუციური წყობილების ქვეყანაში დასჯის ძალაუფლების შეზღუდვა უფრო ზოგადი პრინციპებით, რომლებიც სასჯელის მიზანს ემსახურება.[231]

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც დღესდღეობით ბევრ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს, აიძულებს ხელისუფლებას იმსჯელოს სასჯელის განსაზღვრის პოლიტიკაზე, რათა შეზღუდოს ან შეამციროს

229 იქვე.
230 იქვე, პრეამბულა.
231 Van Zyl Smit, D./Snacken, S., Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, pg. 316.

პატიმრობის მაჩვენებლები. ამგვარი ინიციატივები დაფუძნებულია ,,წინა კარის'' ან ,,უკანა კარის'' სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას, გამოწვეულს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით (,,წინა კარის'' სტრატეგია) და, ასევე, პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის გაზრდას (,,უკანა კარის'' სტრატეგია).[232]

„ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე" ევროპის საბჭოს (99)22 რეკომენდაციაში ასახული მიდგომა გამყარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2003)22, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლებას აღიარებს განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და კონსტრუქციულ საშუალებად.[233]

საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხს, რისი დადასტურებაცაა 2015 წელს მიღებული საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი". კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საკითხი იმდენად პრიორიტეტულია, რომ ყველა ასპექტში, მათ შორის, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან მიმართებითაც, განსხვავებულ, არასრულწლოვნის ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომებს ითვალისწინებს. ასე მაგალითად, საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" 95-ე მუხლის პირველი ნაწილი სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულზე სასჯელის სათანადო მინიმალურ მოსახდელ ვადას აწესებს. კერძოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში არასრულწლოვან მსჯავრდებულს მოხდილი უნდა ჰქონდეს სასჯელის ერთი მესამედი; მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ნახევარი; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ორი მესამედი. მაშინ, როდესაც ანალოგიური სიმძიმის დანაშაულისთვის სრულწლოვან მსჯავრდებულს მოხდილი უნდა ჰქონდეს, შესაბამისად, სასჯელის ნახევარი, ორი მესამედი და სამი მეოთხედი.[234]

ევროპაში პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი სახე არ-

232 Dünkel, F., Kommentierung #57 StGB, In: U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds.), Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch, Vol. 1 (3rd edn.), Baden-Baden, 2010, pg. 43.

233 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი სახელმწიფოებისადმი პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა.

234 საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 89.1.

სებობს, დისკრეციული და სავალდებულო ანუ ავტომატური გათავისუფლების სისტემა. ორივე ეს სისტემა აღიარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაციით „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ". დისკრეციული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა გულისხმობს პირობით ვადამდე გათავისუფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით.[235] დისკრეციული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალურ შეფასებას, გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია, ჩეხეთი და ესპანეთი.[236] საქართველოც, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, დისკრეციული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის განმახორციელებელ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, უნდა მოხდეს კანონით სასჯელის იმ ვადის განსაზღვრა, რაც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს იმისათვის, რომ გათავისუფლების უფლება მოიპოვოს. მხოლოდ კანონით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებში შეიძლება მოხდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების გადავადება და ასეთის მოხდენის შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს გათავისუფლების ახალი თარიღი.[237] ამ სისტემის მიმდევარი ქვეყნებია: ინგლისი, უელსი, ფინეთი, საბერძნეთი, შვედეთი და თურქეთი.[238]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე შესაძლო გათავისუფლების თარიღამდე არაუგვიანეს სამი თვისა, სპეციალური პენიტენციური სამსახური აცნობებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, ეს უკანასკნელი ერთვება არასრულწლოვნის ოჯახური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების დასადგენად, რის შესახებ ინფორმაციაც სპეციალურ პენიტენციურ

235 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პარაგრაფი 16.

236 Padfield, N./ Van Zyl Smit, D./Dünkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 420.

237 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პარაგრაფები 22-24.

238 Padfield, N./ Van Zyl Smit, D./Dünkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 420.

სამსახურს ეგზავნება.[239] სპეციალური პენიტენციური სამსახური ამზადებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სოციალური ჩართულობის საქმეს (რაც მოიცავს: სასჯელის მოხდის პერიოდში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს) და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ შესწავლის შედეგებთან ერთად, გადაწყვეტილების მისაღებად უგზავნის სპეციალური პენიტენციური სამსახურის არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ ადგილობრივ საბჭოს (შემდგომ ტექსტში - არასრულწლოვანთა საბჭო).[240]

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ორგანო იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. ყველგან არ არის გერმანიის მსგავსი სისტემა, სადაც დამოუკიდებელი სასამართლო იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. მაგალითად, ბელგიაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საქმეში, რომლებშიც მსჯავრდებულს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი; ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასჯელის აღმასრულებელი სასამართლო, რომელიც სამი წევრისგან - მოსამართლისგან, სოციალური ინტეგრაციის ექსპერტისა და პენიტენციურ საკითხებში ექსპერტისგან შედგება. ყველასგან გამორჩეულ სისტემას გვთავაზობს ჰოლანდია, სადაც გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პროკურორი.[241]

საქართველოში მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომ ტექსტში - საბჭო) (ვადიან თავისუფლებააღკვეთილ პირთან მიმართებით)[242] და სასამართლო (უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთან მიმართებით).[243] იმის გათვალისწინებით,

239 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 95.3.
240 იქვე, მუხლი 95.4.
241 Padfield, N./ Van Zyl Smit, D./Dünkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 425.
242 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72.1.
243 იქვე, მუხლი 72^1.1.

რომ საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების კონტექსტში, აქტუალურია მხოლოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა. საქართველოში კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს შემდეგი ადგილობრივი საბჭოები: 1. აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო; 2. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო; 3. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭო; 4. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო; 5. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილორბივი საბჭო; და 6. ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო.[244] საბჭოს წევრისთვის დადგენილია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გააჩნია სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე, საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს საბჭოს წევრის ფუნქციები.[245] აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს ერთ წევრს მაინც, მოქმედი კანონმდებლობით, უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.[246]

თითოეული საბჭო დაკომპლექტებულია ხუთი წევრისგან: 1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი მოსამსახურე (გარდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის, ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურისა); 2. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთი თანამშრომელი; 3. საქართველოს იუსტიციის საბჭოს ერთი წარმომადგენელი; 4.

244 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 3.

245 იქვე, მუხლი 4.8.

246 იქვე, მუხლი 4.9.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორი წარმომადგენელი.[247] ამასთანავე, 2025 წლის 3 აპრილამდე ყველა საბჭოში ერთი წევრი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი იყო, რომელსაც უნდა ჰქონოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის გამოცდილება, თუმცა პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ჩანაცვლდა კიდევ ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთი წარმომადგენლით.[248]

არასრულწლოვანთა საბჭო, როგორც წესი, ყოველი თვის 10 რიცხვამდე შემოსულ შუამდგომლობებს იხილავს მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.[249] არასრულწლოვანთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, რომელიც ორი სახისაა: ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით.[250] საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე არასრულწლოვანთა საბჭო დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანაშაულის ხასიათი; მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; ოჯახური პირობები; მსჯავრდებულის პიროვნება)[251] იღებს გადაწყვეტილებას: 1. შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ; 2. შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; 3. საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად დაშვების შესახებ.[252]

ყველა ქვეყანაში მსჯავრდებულს ეცნობება განხილვის შედეგები.[253] ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია მსჯავრდებულის ზეპირ მოსმენაზე მონაწილეობა. ამასთან, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმის განხილვისას არასრულწლოვანთა საბჭოს სხდომაზე (ზეპირი მოსმენის დროს) დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა სავა-

247 იქვე, მუხლი 4.2.
248 საქართველოს კანონი, პენიტენციური კოდექსი, მუხლი 90.2.
249 იქვე, მუხლი 11.1.
250 იქვე, მუხლები 7.1. და 7.2.
251 იქვე, მუხლი 13.1.
252 იქვე, მუხლი 7.4.
253 Padfield, N./ Van Zyl Smit, D./Dünkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 426.

ლდებულოა. ზეპირ მოსმენაზე მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ დაწესებულების წარმომადგენელსაც, რომელშიც მსჯავრდებული იხდიდა ან იხდის სასჯელს, აგრეთვე, არასრულწლოვანთა საბჭოს გადაწყვეტილებით სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შესაძლოა მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე პირიც (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, პედაგოგი ან სხვა ვიწრო სპეციალიზაციის სპეციალისტი).[254]

საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა 2014-2023 წლებში (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) გამოიყურება შემდეგნაირად:[255]

წელი	განხილული საქმეები	დადებითი გადაწყვეტილება	ჩაშლილი დადებითი გადაწყვეტილება			
			კაცი	ქალი	არასრულწლოვანი ვაჟი	არასრულწლოვანი გოგონა
2014	10655	894	829	45	20	0
2015	12906	1059	1006	25	28	0
2016	10875	959	903	46	10	0
2017	11393	1037	998	36	3	0
2018	8077	821	794	24	3	0
2019	7582	1286	1238	40	8	0
2020	6067	830	785	39	6	0
2021	6601	829	780	40	8	1
2022	6529	635	594	35	4	2
2023	6729	434	403	28	3	0

2013 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში არასრულწლოვანთა საბჭოს მიერ სულ განხილულ იქნა 559 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმე, რის საფუძველზეც გათავისუფლდა 127 არასრულწლოვანი ვაჟი და 3 არასრულწლოვანი გოგო.[256]

პერიოდი, როდესაც ახალი განაცხადი არ შეიძლება იყოს წარდგენილი, განსაზღვრულია ევროპის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისს წარმოადგენს შვედეთი. ამგვარი პერიოდის მაქსიმუმია

254 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლები 16.1, 16.2 და 16.6.

255 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

256 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი #2719, 14.03.2025.

ერთი წელი, რაც დადგენილია ბელგიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, შოტლანდიაში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაშინ როდესაც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ეს პერიოდი, როგორც წესი, ერთი, ორი, სამი ან ექვსი თვეა.[257] საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ხელახალი განხილვა შესაძლებელია ყოველ ექვს თვეში ერთხელ.[258] გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთა ხელახალი განხილვა სავალდებულოა ყოველ სამ თვეში ერთხელ.[259] არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობებს, ოჯახურ მდგომარეობას და სხვა გარემოებებს, რაც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[260]

არასრულწლოვანთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, გამოიცემა საბჭოს სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს თხუთმეტი სამუშაო დღისა.[261] არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ არასრულწლოვანთა საბჭოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით მიღწეული პროგრესის და მისი გათავისუფლებისთვის მზადყოფნის სრულ შეფასებას, აგრეთვე საკითხის განხილვისას არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.[262] არასრულწლოვანი

257 Padfield, N./ Van Zyl Smit, D./Dünkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 426-427.

258 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 23.1.

259 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 95.9.

260 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 21.2.

261 იქვე, მუხლი 22.1.

262 იქვე, მუხლი 22.7.

მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვანთა საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და პენიტენციური დაწესებულების მიერ მისაღებ ზომებს.[263]

არასრულწლოვანთა საბჭოს შეუძლია არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. ამასთანავე, შესაძლებელია აღნიშნული მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის (გარდა ქონების ჩამორთმევისა) მოხდისგან.[264] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით, თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც.[265]

არასრულწლოვანთა საბჭოს შეუძლია არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით. ამასთანავე, შესაძლებელია აღნიშნული მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის (გარდა ქონების ჩამორთმევისა) მოხდისგან.[266] თავისუფლების აღკვეთის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში, იგი შეიძლება დაინიშნოს ექვს თვეზე მცირე და ორ წელზე მეტი ვადითაც.[267]

განსხვავებით პირობით ვადამდე გათავისუფლების განაცხადისა, რომელსაც პენიტენციური დაწესებულება წარუდგენს არასრულწლოვანთა საბჭოს, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შუამდგომლობით არასრულწლოვანთა საბჭოს მიმართავს მსჯავრდებული, მისი

263 იქვე, მუხლი 22.8.
264 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 73.3.
265 იქვე, მუხლი 44.2.
266 იქვე, მუხლი 73.3[1].
267 იქვე, მუხლი 47[1].3.

დამცველი ან კანონიერი წარმომადგენელი.[268] არასრულწლოვან მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: 1. ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედი; 2. მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; 3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი.[269] არასრულწლოვან მსჯავრდებულზე არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დათქმა, რომლის თანახმად, სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები.[270] სასჯელის მოუხდელი ნაწილის მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვა არასრულწლოვანთა საბჭოს მიერ სავალდებულოა ყოველ სამ თვეში ერთხელ.[271]

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში, მხარის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.[272] საჩივრის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ძალაში დატოვოს საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან

268 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 10.4.

269 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 96.1.

270 იქვე, მუხლი 96.2.

271 იქვე, მუხლი 96.3.

272 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ, 07.08.2018, მუხლი 24.

მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ; ბ) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა; გ) ბათილად ცნოს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, ან მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.[273]

მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე საბჭოების მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების და მისი შედეგიანობის სტატისტიკა 2022-2023 წლებში გვაძლევს შემდეგ სურათს (მოცემული სტატისტიკა ასახავს როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების გასაჩივრების საერთო მაჩვენებელს):[274]

წელი	გასაჩივრებული გადაწყვეტილებები	არ დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	სრულად დაკმაყოფილდა	შეწყდა საქმისწარმოება	მიმდინარე
2022	176	66	6	29	18	57
2023	155	60	9	11	4	71

2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გასაჩივრდა არასრუწლოვანთა საბჭოს მიერ მიღებული 1 გადაწყვეტილება (#06/21-024, 02.06.2021). აღნიშნული გადაწყვეტილებით, არასრულწლოვან მსჯავრდებულს (ვაჟი არასრულწლოვანი) უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და 2021 წლის 11 ოქტომბრის #3/5224-21 გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. სასამართლო გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა ზემდგომ ინსტანციაში, რის საფუძველზეც, არასრულწლოვანთა საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის #06/21-033 გადაწყვეტილებით, აღსრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და არა-

273 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 27^1.1.

274 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი #43754/01, 14.02.2024.

სრულწლოვანი მსჯავრდებული გათავისუფლდა პირობით ვადამდე.[275]

თავისუფლების აღკვეთის სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, მაგრამ გათავისუფლებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არასრულწლოვან მსჯავრდებულსა და მის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს – პრობაციის ბიუროს და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს, ატყობინებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების მოახლოებულ თარიღს. ამასთანავე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არასრულწლოვანს უზრუნველყოფს გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი სპეციალური პროგრამით და მისთვის გასაგები ფორმით აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გზით შეუძლია მას გათავისუფლების შემდეგ შესაბამისი დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება.[276] პარალელურად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები არასრულწლოვანს ხვდებიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში; იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნისათვის გასაგები იყოს მისი რესოციალიზაციარეაბილიტაციის გეგმის პირობები და საჭიროება; ეცნობიან არასრულწლოვნის სოციალური ჩართულობის საქმეს; შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფენ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაწყებული პროგრამების დასრულებას და სრულყოფას.[277]

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე არაუგვიანეს 3 სპეციალური პენიტენციური სამსახური არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და სააგენტოს ატყობინებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების მოახლოებულ თარიღს; პრობაციის ეროვნულ სააგენტოს წერილობით მიმართავს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასების და მისი საჭიროებების

275 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი #2719, 14.03.2025.
276 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 98.1.
277 იქვე, მუხლი 98.2.

განსაზღვრის მოთხოვნით.[278] ამის საფუძველზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი: აფასებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებს და განსაზღვრავს მის საჭიროებებს; სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასების დასრულებისთანავე შესაბამის დოკუმენტებს უგზავნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.[279]

პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია პირობით ვადამდე გათავისუფლებულ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, დააკისროს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი შესაბამისი სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულება.[280] პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია ნარკოტიკული დანაშაულისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს პერიოდულად, ან გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მოსთხოვოს შესაბამისი ნაროკოლგიური შემოწმების გავლა ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და სათანადო დასკვნის წარმოდგენა.[281] წინამდებარე მოთხოვნების შეუსრულებლობა, ან მათი შესრულებისთვის განზრახ თავის არიდება არის შესაბამისი წარდგინებით სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი.[282] პრობაციის ბიუროს უფროსი, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიმართავს წარდგინებით არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულების შესახებ.[283] 2018 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პრობაციის ზედამხედველობაში მყოფი პირობით ვადამდე გათავისუფლებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში შებრუნებას ადგილი არ ჰქონია.[284]

278 იქვე, მუხლი 98.3.
279 იქვე, მუხლი 98.4.
280 საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 12.1[1].
281 იქვე, მუხლი 12.1[2].
282 იქვე, მუხლი 12.1[4].
283 იქვე, მუხლი 21.1(ზ).
284 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი #2719, 14.03.2025.

5. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ძალის გამოყენება

გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტების[285] შესაბამისად, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როდესაც ამოწურულია კონტროლის ყველა სხვა მეთოდი და მათ ვერ გაამართლეს, ამასთან, თუ მათი გამოყენება ნათლადაა ნებადართული და დაკონკრეტებული შესაბამისი კანონითა და მარეგულირებელი წესებით. შეზღუდვის საშუალებების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დამცირება და შეურაცხყოფა. იგი გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად შეზღუდულად და რაც შეიძლება მცირე ვადით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, ამგვარი შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას შესაძლოა მიმართონ არასრულწლოვნის მიერ თვითდაზიანების, სხვათა დაზიანების ან ქონების განადგურების პრევენციის მიზნით.

აღნიშნული სტანდარტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, მათ შორის, იმ დაწესებულებებში, რომლებშიც არასრულწლოვანი ბრალებული/მსჯავრდებულია განთავსებული, პერსონალის მიერ, რომელსაც ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან უშუალო შეხება აქვს, ცეცხლსასროლი იარაღის ტარება ან/და შენახვა აკრძალულია.[286]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 34-ე მუხლის მიხედვით, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან არასრულწლოვნის გაქცევის დროს დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. აგრეთვე, აკრძალულია არასრულწლოვნის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიარაღებლია და პირდაპირ, უშუალოდ და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა საშუალებებით ამ საფრთხის თავიდა აცილება შეუძლებელია.[287]

---

285 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (უფრო დეტალურად იხილეთ წინამდებარე წიგნის მე-5 თავი).

286 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 64.5.

287 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 34.4.

საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას. კერძოდ, აკრძალულია ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენება არასრულწლოვნის აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის აღსრულებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის დასაკავებლად, თვითდაზიანების ან/და სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ყველა სხვა საშუალება გამოყენებულია, მაგრამ უშედეგოდ და კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებით ვერ მიიღწევა.[288] ძალისა და სპეციალური საშუალების სახით დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური ძალის, ხერბორკილისა და შებორკვის სხვა საშუალებების გამოყენება, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე რეზინის ხელკეტი, შესაბოჭი ბადე, ცრემლსადენი გაზი ან/და წყალსატყორცნი.[289] ამ მხრივ სპეციალური საშუალებების შედარებით მცირე სახეობა გამოიყენება არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთან, ვიდრე სრულწლოვან მამაკაც ბრალდებულ/მსჯავრდებულთან მიმართებით (დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, სასამსახურო ძაღლი).[290] პირი, რომელმაც ძალა ან/და სპეციალური საშუალება გამოიყენა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს თავის უშუალო უფროსს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს. ამ პირის უშუალო უფროსი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის დაუყოვნებლივ შემოწმებას.[291]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მნიშვნელოვან დათქმას აკეთებს არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალა და სპეციალური საშუალება: 1. გამოყენებულ უნდა იქნეს, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადით; 2. გამოყენებულ უნდა იქნეს კანონით

288 იქვე, მუხლი 34.1.

289 იქვე, მუხლი 34.2.

290 საქართველოს კანონი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 63[1], ნაწილი 1.

291 საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 34.5.

განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და უნდა იყოს გარემოებების თანაზომიერი; და 3. გამოყენებული არ უნდა იყოს დამამცირებელი ან ღირსების შემლახავი ფორმით.[292]

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში დასაშვებია სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისი ან სხვა არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისთვის.[293] იმ შემთხვევაში თუ მოხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში დროებით გადაყვანა, მას უტარდება სამედიცინო შემოწმება, კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ და ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეძლევა უფლება ჰქონდეს სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა.[294]

6. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე და მოიცავდეს ისეთ სპეციალისტთა საკმარის რაოდენობას, როგორებიც არიან: მასწავლებლები, პროფესიული ინსტრუქტორები, იურისტები, სოციალური მუშაკები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. აღნიშნული კატეგორიის სპეციალისტები მუდმივი შტატით უნდა იყვნენ დაქირავებულნი.

არასრულწლოვანთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს ყველა დამცავი, საგანმანათლებლო, მორალური, სულიერი და სხვა საშუალებები და დახმარების ფორმები, რომლებიც სათანდო და ხელმისაწვდომია საზოგადოებაში ინდივიდუალური მოთხოვნებისა და მსჯავრდებული არასრულწლოვნების პრობლემების შესაბამისად.

არასრულწლოვანთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის

292 იქვე, მუხლი 34.3.
293 იქვე, მუხლი 89.1.
294 იქვე, მუხლი 89.2.

დაწესებულების პერსონალის წახალისება მნიშვნელოვანია მათ მიერ მოვალეობებისა და ნაკისრი ვალდებულებების პროფესიონალურად, სამართლიანად და ეფექტიანად შესრულების მიზნით. პერსონალმა საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას უნდა იმოქმედოს ისე, რომ დაიმსახუროს და მოიპოვოს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატივისცემა და ნდობა.

მიზანშეწონილია, არასრულწლოვანთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ შემოიღოს ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ისეთი ფორმა, რომელიც პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გააადვილებს კომუნიკაციას თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიას შორის. აღნიშნულის მიზანია არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსაჯვრდებულთა მიერ პატიმრობის აღსრულების, სასჯელის მოხდისა და გათავისუფლებისათვის მზადების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულთა წარმომადგენლების თანამშრომლობისა და აქტივობათა კოორდინაციის გაუმჯობესება, რამაც უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან პერსონალის პირდაპირი კონტაქტი ისეთ პირობებში, რომელიც ხელს შეუწყობს დაკისრებული უფლებამოსილებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

არასრულწლოვანთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მას მისცემს შესაძლებლობას ეფექტიანად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები. კერძოდ, ტრენინგები არასრულწლოვნის ფსიქოლოგიაზე, ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე, აგრეთვე, იმ საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის პირობებსა და სტანდარტებს. არასრულწლოვანთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მუშაობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ სპეციალური მომზადებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს. პერსონალს უნდა შეეძლოს გაუმკლავდეს იმ ფიზიკურ და ემოციურ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებლად შეხვდება არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მუშაობისას.

კონტინგენტის სირთულისა და სპეციფიკურობიდან გამომდი-

ნარე, თანამშრომლების უმრავლესობას ზრდასრულ ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მუშაობა ურჩევნია. არსებობს მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულებთან მუშაობა გაცილებით იოლია, ვიდრე ზრდასრულთან. არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მუშაობას განსაკუთრებული ცოდნა და უნარ-ჩვევები სჭირდება. პერსონალს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მუშაობს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან არასრულწლოვნები მერყევი ხასიათითა და ჩამოუყალიბებლობით ხასიათდებიან და საჭიროებენ ისეთი ადამიანების მხარდაჭერას, რომლებიც მათ დაეხმარებიან დადებითი თვისებების გამომუშავებაში.[295]

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რაც უნდა კარგად იყოს ორგანიზებული და ორიენტირებული თავისუფლებააღკვეთილი პირის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციაზე, გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე. დაწესებულების პერსონალს (მათ შორის, სამედიცინო პერსონალსაც) თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა ზოგადი სულიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეუძლია შემდეგი სტრატეგიის გამოყენება:

- თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე დაკვირვება: დაკვირვების მეშვეობით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლებმა შესაძლოა მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავისუფლებააღკვეთილთა განწყობასა და ურთიერთობებზე. მაგალითად, დეპრესიაში მყოფ პირებს ხშირად აქვთ პრობლემები საკვების მიღებასთან, ძილთან და კონცენტრირებასთან დაკავშირებით. ისინი უმეტესწილად განცალკევებას ამჯობინებენ და სოციალურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. პერსონალს დაკვირვების მეშვეობით არასრულწლოვნის მსგავსი ქცევის დაფიქსირება შეუძლია.
- თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჩივრებისა და შეშფოთების მიზეზის მოსმენა: აღნიშნული თავისუფლებააღკვეთილ პირს უჩენს იმის შეგრძნებას, რომ

295 Coyle, A., Human Rights Approach to Prison Management (2nd edn), International Centre for Prison Studies, Bell & Bain, Glasgow, 2009, pg. 140.

ისინი არ არიან სრულიად იზოლირებულნი და უუფლებონი. სხვისი მოსმენა განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს და დაწესებულების პერსონალს მოეთხოვება იქონიოს მსგავსი უნარ-ჩვევები და საჭიროების შემთხვევაში, მოუსმინოს არასრულწლოვნებს. მნიშვნელოვანია თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვნებმა დაინახონ, რომ პერსონალის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან და უსმენენ მათ მოსაზრებებს.

- ურთიერთობა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან: დაწესებულების პერსონალმა, რომელიც გრძნობს, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი დეპრესიაშია ან ცუდ ხასიათზეა, შეძლებისდაგვარად უნდა წაახალისოს იგი კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი დახმარების აღმოჩენის გზით. პერსონალმა შესაძლოა უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირები ინფორმაციით დახმარების გაწევის სამსახურების თაობაზე. იმის ჩვენებით, რომ არსებობს მზადყოფნა დახმარების გასაწევად, დაწესებულების პერსონალმა შეიძლება მიაღწიოს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის აღელვების შემცირებას.
- ურთიერთობა სხვა თანამშრომლებთან: დაწესებულების თანამშრომლებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ინფორმაციის გაცვლა ყველას მისცემს საშუალებას, უკეთ გაერკვნენ არსებულ მდგომარეობასა და პრობლემურ სიტუაციებში. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალი შეშფოთებულია კონკრეტული თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის ან საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო, მიზანშეწონილია, ამ მიმართულებით კონკრეტული, ადეკვატური ღონისძიებების გატარება და ამის თაობაზე ინფორმაციის გაზიარება კოლეგებისათვის.
- ყველა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთან პატივისცემით მოპყრობა: თავისუფლებააღკვეთილ პირებთან პატივისცემით მოპყრობამ, როგორც წესი, უნდა გააუმჯობესოს არასრულწლოვნის მიერ ღირსების შეგრძნება და ზოგადად, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თავისუფლებააღკვეთილი პირები, რომელთაც პატივისცემით ეპყრობიან, თავს ნაკლებად იზოლირებულად გრძნობენ

და თავიანთი უფლებების რეალიზაციას ახდენენ.

- თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვა: დაწესებულების პერსონალი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს, რათა გამოავლინოს ძალადობის ისეთი კვალი, როგორიცაა მოულოდნელი იარები, მიაქციოს ყურადღება ინდივიდებს, რომლებიც გამოიყურებიან გარიყულად ან დეპრესიულ მდგომარეობაში არიან. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნა სარწმუნო ინფორმაცია არასრულწლოვან პატიმართა შორის მომხდარი ინციდენტის თაობაზე, ან თუ პერსონალი თავად აღმოაჩენს მსგავს სიტუაციას, მიდგომა უნდა იყოს ფრთხილი. პერსონალმა უნდა მოუსმინოს ცალკეულ პირებს. მათ უნდა დაარწმუნონ დაზარალებული არასრულწლოვანი, რომ მისი პრობლემა გულისყურით იქნება მოსმენილი და აღქმული, ძალადობის განმახორციელებელს კი მოეთხოვება სათანადო პასუხი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. იმისათვის, რომ დაწესებულების პერსონალს, თავისი ფუნქციის სრულფასოვნად განხორციელებისათვის, ჰქონდეს დაზარალებული თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის მეტად დარწმუნების უნარი, საჭიროა არსებობდეს მსგავს სიტუაციებთან დაკავშირებული ანგარიშგებისა და მხარდაჭერის სრულყოფილი პროცედურები.
- პასუხისმგებელი პერსონალის არსებობის მეთოდი: თითოეული თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი მიმაგრებული უნდა იყოს დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე, რომელმაც თავისი მცდელობის, მეცადინეობისა და ფუნქციების სრულფასოვნად და ზუსტად განხორციელებით უნდა მოიპოვოს თავისუფლებააღკვეთილის ნდობა. აღნიშნული თანამშრომლის რეაგირებას არასრულწლოვანთა უფლებების შელახვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნდობის განმტკიცებისა და უფლებების რეალიზაციისათვის.
- ურთიერთმოსმენის/დამეგობრების მეთოდი: ეს მეთოდი საშუალებას აძლევს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს, დაეხმარონ თავიანთ თავსა და ერთმანეთს. თავისუფლებააღკვეთილ პირთა დამეგობრებამ შეიძლება

შეავსოს არსებული დეფიციტი და უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები აუცილებელი სოციალური ურთიერთობებითა და კავშირებით.

- თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება: გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება ხელს უწყობს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს, აღიდგინონ ღირსების შეგრძნების უფლება. მაგალითად, სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა ეხმარება არასრულწლოვნებს ცოდნის მიღებასა და კონკრეტული უნარების გამომუშავებაში, რაც მათში დამოუკიდებლობის შეგრძნებას ავითარებს.
- ოჯახთან კონტაქტის შესანარჩუნებლად თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა წახალისება: ოჯახსა და მეგობრებთან კონტაქტის შენარჩუნებამ შეიძლება გააუმჯობესოს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა ფსიქიკური ჯანმრთელობა, გაუადვილოს მათ საზოგადოებაში დაბრუნება და ინტეგრაცია გათავისუფლების შემდეგ.
- ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება: ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა სიბრაზის მოთოკვა, მასთან გამკლავება, შეუძლია აუმაღლოს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს ღირსების შეგრძნება და გააუმჯობესოს მისი ფსიქიკური მდგომარეობა.

თავი მეოთხე

არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება და პრობაცია არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით

1. შინაპატიმრობის აღსრულება

2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი ნოვაცია გახლდათ სასჯელის სახედ შინაპატიმრობის შემოღება. ამკ-ს 102-ე მუხლის მეორე ნაწილის (გარდამავალი დებულება) მიხედვით, შინაპატიმრობა იყო ერთადერთი საკითხი, რომლის ამოქმედებაც 2015 წლის პირველი სექტემბრიდან მოხდა.

ამკ-ს 69-ე მუხლის მიხედვით, შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას, რომელიც შეიძლება არასრულწლოვანს დაენიშნოს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

არასრულწლოვნისათვის სასჯელად დანიშნული შინაპატიმრობა აღსრულდება ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" 2007 წლის საქართველოს კანონის 44^8 მუხლისა და ,,შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის #146-ე ბრძანების საფუძველზე.

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" 2007 წლის საქართველოს კანონის 44^8 მუხლის თანახმად, შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო. შინაპატიმრობის აღსრულებისას მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის სა-

შუალების დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს. იქ, სადაც შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი.

შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს საფასური. ეს საფასური სააგენტოს ანგარიშზე ირიცხება და მისი მიზნების მიღწევას და ფუნქციების შესრულებას ხმარდება. შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება მსჯავრდებული, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება.

„შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის #146-ე ბრძანების მიხედვით, პრობაციის ოფიცერი შინაპატიმრობის შესახებ სამართლებრივი აქტის წარმოებაში მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, სამმართველოს უფლებამოსილ თანამშრომელთან ერთად, ადგენს მსჯავრდებულის მიმართ შინაპატიმრობის (ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებით ან მის გარეშე) აღსრულების ფორმას და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს წერილობით აცნობს და განუმარტავს მსჯავრდებულის უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობის ფარგლებს, გადასცემს მას სათანადო საინფორმაციო ფურცელს, რაც აისახება მსჯავრდებულის უფლება-მოვალეობების გაცნობის შესახებ ოქმში.

2017 წლის 28 დეკემბრის #146-ე ბრძანების თანახმად, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალება შედგება გადამცემის და მიმღებისაგან. გადამცემს წარმოადგენს ელექტრონული სამაჯური, რომელიც დანიშნული სასჯელის ვადის განმავლო-

ბაში დამაგრებულია, როგორც წესი, მსჯავრდებულის ქვემო კიდურზე იმგვარად, რომ დაზიანების გარეშე შეუძლებელია მისი მოშორება. მიმღები განთავსებულია მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილას, რომელიც მუდმივად მიერთებულია დენის წყაროსთან. იმ შემთხვევაში თუ, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, გადამცემის დამაგრება მსჯავრდებულის ქვემო კიდურზე შეუძლებელია, გადამცემი მაგრდება მსჯავრდებულის ზემო კიდურზე. მიმღების საშუალებით მსჯავრდებულისათვის განისაზღვრება ინდივიდუალური პერიმეტრი საცხოვრებელი ფართის მიხედვით. მსჯავრდებულის მიერ, მისთვის განსაზღვრული პერიმეტრიდან გასვლის შემთხვევაში, მსჯავრდებულის სხეულზე დამაგრებული გადამცემი მიმღებს გადასცემს შესაბამის სიგნალს. მიმღებსა და გადამცემზე ნებისმიერი ფორმით ზემოქმედება, აგრეთვე მსჯავრდებულის მიერ, მისთვის განსაზღვრული პერიმეტრის დატოვება, შეტყობინების სახით დაუყოვნებლივ აისახება ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში.

ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში, შეტყობინების სახით, ასევე აისახება მიმღებსა და გადამცემზე შემდეგი სახის ზემოქმედებები: ა) 6 საათის განმავლობაში გადამცემის უმოქმედო მდგომარეობა; ბ) გადამცემზე ტემპერატურის ცვალებადობა; გ) გადამცემის/მიმღების დაზიანება; დ) მიმღების გადაადგილება; ე) მიმღების ელექტროენერგიის წყაროდან გათიშვა; ვ) ორი გადამცემის ერთმანეთთან მიახლოება; ზ) სხვა გარემოებები.

ელექტრონული ზედამხედველობის მართვის სისტემა და აპარატურა განთავსებულია სააგენტოში მდებარე ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრში, რომელიც არის სათანადო წესით დაცული ოთახი და ექვემდებარება სამმართველოს. ცენტრიდან ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში.

შინაპატიმრობის აღსრულება ხდება რადიოსიხშირის სიახლოვის მონიტორინგის სისტემით. იგი უზრუნველყოფს მუდმივ მონიტორინგს, ვინაიდან რეგულარულად გადასცემს კოდირებულ სიგნალს სახლში დამონტაჟებულ გადამცემს (HMU), ამოიცნობს გადამცემის მიერ გაშვებულ სიგნალს და პერიოდულად ცენტრალური მონიტორინგის სადგურს (პრობაციის ეროვნულ

სააგენტოს ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრს) ატყობინებს ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზით (ფიქსირებული ხაზი ან მობილური).[296]

ელექტრონული ზედამხედველობის რეჟიმის დარღვევის შესახებ ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში ასახული შეტყობინება, მისი დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, გადაეცემა ოფიცერს.

საღამოს 18:00 საათიდან დილის 09:00 საათამდე პერიოდში, მსჯავრდებულის მიერ შინაპატიმრობის რეჟიმის 1 საათზე მეტი ვადით დარღვევის ან/და მიმღებ მოწყობილობაზე კომუნიკაციის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტოს ორგანიზაციული მხარდაჭერის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების ჯგუფი გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს შინაპატიმრობის აღსრულების ადგილზე გასვლას/გადამოწმებას.

შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის წესდება საფასური თვეში 100 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს მსჯავრდებულისათვის შინაპატიმრობის ვადის განმავლობაში, ყოველთვიურ, სავალდებულო გადასახადს. მოცემული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახედ შეეფარდა შინაპატიმრობა ან დანიშნული სასჯელი შეეცვალა შინაპატიმრობით.

2017 წლის 28 დეკემბრის #146-ე ბრძანების თანახმად, ელექტრონული ზედამხედველობის აპარატურა წარმოადგენს უცხოური წარმოების, სპეციფიკურ, ძვირადღირებულ აპარატურას, რომლის დაზიანებამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, შესაბამისად, ექვემდებარება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ზიანის სრულად ანაზღაურებას.

აპარატურის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიას წარმოადგენს: ა) აპარატურის სრული ღირებულების ოდენობით ფულადი თანხის - 5000 ლარის განთავსება სააგენტოს სპეციალურ სადეპოზიტო ანგარიშზე აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში; ბ) აპარატურის დაზღვევის შესახებ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის წარმოდგენა ბიუროში,

296 გ. არსოშვილი/გ. მიქანაძე/მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 154-155.

ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან (სადაზღვევო პირობებით აპარატურის ნებისმიერი სახის დაზიანებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება), აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში; გ) ლიცენზირებული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულებიდან აპარატურის ღირებულების ოდენობაზე გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენა აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში.

გარანტიის წარმოდგენისაგან თავისუფლდება მსჯავრდებული, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება.

აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, შინაპატიმრობის მოხდის ან შინაპატიმრობის აღსრულების ვადამდე შეწყვეტისას, დეპოზიტზე განთავსებულ თანხას გამოაკლდება მიყენებული ზიანის პროპორციული თანხის ოდენობა და დარჩენილი თანხა დაუბრუნდება თანხის შემომტან პირს.

შინაპატიმრობის აღსრულების სტატისტიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში ასე გამოიყურება: 2022 წელს შინაპატიმრობა გამოყენებულ იქნა 10 არასრულწლოვანი ვაჟის და 3 გოგონას მიმართ, 2023 წელს - 13 ვაჟი და 2024 წელს 4 ვაჟი და 1 გოგონა. 2022-2024 წლებში შინაპატიმრობა გამოყენებულ იქნა სულ 31 არასრულწლოვნის მიმართ, რაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ აღსრულებული არასაპატიმრო სასჯელების 9.3%-ს შეადგენს. კერძოდ, 2022 – 2024 წლებში პრობაციის ეროვნული სააგენტში სულ 331 არასრულწლოვანი იყო რეგისტრირებული, საიდანაც 31 ანუ 9.3%-ის მიმართ შინაპატიმრობის აღსრულება ხდებოდა.

შინაპატიმრობის აღსრულების პრობლემად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ელექტრონული სამაჯურის ფეხზე ტარების ხილვადობა,[297] რამაც შეიძლება მოზარდის იდენტიფიკაცია გამოიწვიოს

297 თ. მახარობლიძე, შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გ. ნაჭყებიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 286.

ან უარყოფითად იმოქმედოს მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.[298] იდენტიფიკაციამ შეიძლება მოზარდის, როგორც მსჯავრდებული პირის სტიგმატიზაციას შეუწყოს ხელი.[299] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ აცხადებს, რომ ბავშვის პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება პროცესის ყველა ეტაპზე, ასახავს კონვენციის მე-16 მუხლით განსაზღვრულ პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას. ბავშვის პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა გულისხმობს ბავშვის დაცვას გახმაურებისა და სტიგმატიზაციისგან (იარლიყის მიწებება). დაუშვებელია იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც მიანიშნებს დამნაშავე ბავშვის ვინაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტიგმატიზაციის შედეგები [64-ე წესის კომენტარი].

2014 წლის 19 თებერვლის ,,ელექტრონული მონიტორინგის შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2014)4 მიხედვით, ელექტრონული მონიტორინგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს: როგორც სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო ეტაპზე; როგორც პატიმრობის შეწყვეტის ან აღსრულების პირობა; როგორც სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულების ცალკე მდგომი საშუალება ან საზოგადოებრივი საშუალება; პრობაციის სხვა ჩარევებთან ერთად; როგორც პატიმრების ვადამდე გათავისუფლების ღონისძიება; ციხიდან პირობით გათავისუფლების ფარგლებში; როგორც ინტენსიური მითითების და ზედამხედველობის საშუალება გარკვეული ტიპის დამნაშავეებისთვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ; როგორც მონიტორინგის საშუალება დამნაშავეების შიდა გადაადგილების დროს და/ან ღია საპატიმროების ტერიტორიაზე; როგორც განსაკუთრებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის საშუალება კონკრეტული ეჭვმიტანილებისგან ან დამნაშავეებისგან.[300]

,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ” კანონის 21-ე მუხლის პირ-

298 ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო“, #2, 2015, გვ. 60.

299 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 137-139; Streng, F., Jugendstrafrecht, 3. Auflage, Hamburg, 2012, S. 293.

300 გ. არსოშვილი/გ. მიქანაძე/მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 161.

ველი ნაწილის ,,კ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრობაციის ბიუროს უფროსი სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ,,განაჩენის გამომტან სასამართლოს”[301] მიმართავს წარდგინებით შინაპატიმრობის შეცვლის თაობაზე. 2017 წლის 28 დეკემბრის #146-ე ბრძანების მე-5 მუხლი განსაზღვრავს აღნიშნულ საფუძვლებს. სასამართლოსთვის შინაპატიმრობის შეცვლის საფუძველია: ა) სამი გაფრთხილების მიღება იმისთვის, რომ მსჯავრდებული არღვევდა რეჟიმს ერთ საათზე ნაკლები დროით; ბ) მსჯავრდებულის მიერ რეჟიმის არასაპატიო მიზეზით დარღვევა, რაც გამოიხატა გათვალისწინებული ვალდებულების ერთ საათზე მეტი ვადით დარღვევაში; გ) მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვა ან მისი ბრალეული ქმედებით დაზიანება; დ) მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დამაგრებაზე უარის თქმა, ან ამისთვის სხვაგვარად თავის არიდება; ე) მსჯავრდებულის მიერ შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის ამ წესით დადგენილი პირობებით შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიის გამოუყენებლობა.

2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც სასჯელი დარეგულირებულია ამკ-ს 70-ე მუხლით. ამ ნორმის თანახმად, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება 1-დან 3 წლამდე ვადით.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კანონის ამოქმედებიდან 2024 წლამდე არ დაფიქსირებულა არასრულწლოვნისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. აღნიშნული შეიძლება მიუთითებდეს სასამართლოს მიერ მოზარდის ინტერესების დაცვაზე. თუ მოზარდი დაკარგავს საქმიანობის უფლებას, იზრდება მის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი.[302]

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ” კანონის 25-ე მუხლი აწეს-

301 გ. ნაჭყებია/ნ. თოდუა (მთავ. რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 2024, გვ. 624.

302 მ. ივანიძე/ნ.თოდუა/ი.ვარძელაშვილი/თ.მახარობლიძე, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 60.

რიგებს არასრულწლოვნისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის საკითხს, რომლის აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ოფიცერი.

3. **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება**

ამკ-ს 71-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2022-2024 წლებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება არასრულწლოვნების მიერ 14-ჯერ განხორციელდა, რაც არასაპატიმრო სასჯელთა საერთო რაოდენობის 4,2%-ს შეადგენს.

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის 29-ე - 33[3]-ე მუხლები აწესრიგებენ არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების საკითხებს.

აღნიშნული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის გადაწყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ პრობაციის ბიურო მსჯავრდებულს განუსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელი აღსრულდება საჯარო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, შესასრულებელი სამუშაოს საზოგადოებისთვის სასარგებლო ხასიათიდან გამომდინარე, სასჯელი შეიძლება აღ-

სრულდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირში. პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. მსჯავრდებული, მისი სოციალური მდგომარეობისა და სამუშაო პირობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება კვებით ან მას სააგენტო აუნაზღაურებს კვების ხარჯებს, რომლის დანიშვნის პირობები და წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების დროს მოქმედებს ამკ-ს 71-ე მუხლი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვანმა დღეში 4 საათი უნდა იმუშაოს, აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს და უნდა შეესაბამებოდეს საუკეთესო ინტერესის პრინციპს.

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებას ორი საფუძვლით: ა) როგორც სასჯელის, ამკ-ს 71-ე მუხლის საფუძველზე; ბ) როგორც განრიდების ღონისძიების, ამკ-ს 44-ე მუხლის საფუძველზე.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების პრაქტიკული და სამართლებრივი ხასიათის გამოწვევები მდგომარეობს: შესასრულებელი სამუშაოს ხასიათში,[303] საათების რაოდენობაში, იმ შემთხვევაში, როცა თავისუფლების აღკვეთა იცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით,[304] მსჯავრდებულთა უნარ-ჩვევების არქონაში.[305] არასრულწლოვანს უნდა დაეკისროს ისეთი ხასიათის სამუშაო, რაც არ იქნება დაკავშირებული სპეციალურ ცოდნასთან და არ შეიცავს მოზარდის

303 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 240.

304 გ. გეთიაშვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, თსუ-ის სამართლის ჟურნალი, #2, 2016, გვ. 238-239.

305 მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მ. ლეკვეიშვილის - 85 საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 102.

ჯანმრთელობის და სიცოცხლის საფრთხეს.[306]

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის 33-ე მუხლის თანახმად, პრობაციის ოფიცერი აფრთხილებს მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის წესებისა და პირობების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის თაობაზე. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს არიდებს მას, პრობაციის ბიუროს უფროსი ამ კანონით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს წარდგინებით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით მსჯავრდებულზე სამუშაოზე გამოუცხადებლობისას ვრცელდება ამ კანონის მე-12[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საპატიო პირობები.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს კერძო სექტორი. კერძო სექტორის სოციალური ვალდებულება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხში, სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან მომდინარეობს.[307] საზოგადოების წარმომადგენლები ხელს უწყობენ მსჯავრდებულებს რესოციალიზაციაში,[308] რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშეწყობაში გამოიხატება. ,,საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას და კერძო სექტორის ჩართვას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რის გამოც იგი უფრო ხშირად უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ. ეს ასპექტებია: სახელმწიფო თავიდან აიცილებს ციხის პირობებში მსჯავრდებულის შენახვის ხარჯებს; მოხდება საზოგადოების ჩაბმა მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს მასში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას; არასრულწლოვანი მსჯავრდებული დასაქმდება, რაც უზრუნველყოფს მის რესოცი-

306 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 240.

307 მ. შალიკაშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, გ. ხუბუას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2024, გვ. 187-190.

308 Böhnisch, L./Schröer, W., Das Sozialpolitische Prinzip, Die eigene Kraft des Sozialen an den Grenzen des Wohlfahrtsstaats, Bielefeld, 2016, S. 52.

ალიზაციას; მსჯავრდებულს მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ დასაქმების პერიოდში თავის გამოჩენის შემთხვევაში დარჩეს ფირმაში და გააგრძელოს მუშაობა სასჯელის მოხდის შემდეგ, რაც თავიდან ააცილებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას განმეორებით დანაშაულის ჩადენას; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევის შემთხვევაში დაიზოგება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები."[309]

4. პირობითი მსჯავრისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების აღსრულება

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტების თანახმად, პრობაციის წესით ხდება ა) პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ და ბ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება.

„პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გამოსაცდელ ვადაში დაამტკიცოს, რომ მისი გამოსწორებისათვის არ არის საჭირო დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა და რომ ამისათვის საკმარისია პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში დაწესებული სხვა მოვალეობის შესრულება."[310] პირობითი მსჯავრის გამოყენებას, ყველა შემთხვევაში, წინ უსწრებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.[311]

რაც შეეხება პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტს, იგი წარმოადგენს მსჯავრდებულის შესაძლებლობას თავისუფლების აღკვეთის გარკვეული ვადის მოხდის შემდეგ, გამოვიდეს პენიტენციური დაწესებულებიდან და სასჯელის მოუხდელი ნაწილი იყოს პრობაციის მონიტორინგის ქვეშ.[312]

309 მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016, გვ. 142.

310 გ. ნაჭყებია/ნ. თოდუა (მთავ. რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 2024, გვ. 673.

311 ი. ვარძელაშვილი, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება, გ. ნაჭყებიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 250.

312 ვრცლად იხ.: მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე/ზ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2024, გვ. 338-359.

ამკ-ს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების გადასინჯვის შესაძლებლობას სწორედ პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი წარმოადგენს.

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის და 45-ე მუხლის ,,ბ" პუნქტის თანახმად, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას. მაგალითად, სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულება ან ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირობით მსჯავრდებულსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს პერიოდულად ან გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, 5 სამუშაო დღის განმავლობაში მოსთხოვონ შესაბამისი ნარკოლოგიური შემოწმების გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა. ამავე კანონის მე-12[1] მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულის მიერ ამ კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა; ბ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავის (მშობლის, მშვილებლის, მინდობით აღმზრდელის, შვილის, ნაშვილების, მინდობით აღსაზრდელის, პაპის, ბებიის, შვილიშვილის, დის, ძმის, მეუღლის (მათ შორის, განქორწინებული მეუღლის)) ან მსჯავრდებულთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება; გ) მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ან/და სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი; დ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა

მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი; ე) მსჯავრდებულისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, მსჯავრდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, მსჯავრდებულის საზღვარგარეთ ყოფნის დროს დაპატიმრება, მსჯავრდებულის მონაწილეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო მოქმედებებში ან/და საგამოძიებო მოქმედებებში, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი.

პრაქტიკაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ რეჟიმის[313] დარღვევის შემთხვევაში ხდება შემდეგი სახის რეაგირება:

- სამჯერ რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში ხდება არასრულწლოვნის გაფრთხილება;
- მეორე ეტაპზე თუ არასრულწლოვანი კვლავ აგრძელებს რეჟიმის დარღვევას, სამჯერ ან ოთხჯერ რეჟიმის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ხდება გრაფიკის დამძიმება კვირაში რამდენჯერმე გამოცხადებით, ხოლო მეხუთე დარღვევის შემთხევევაში სასამართლოსთვის მიმართვა გამოსაცდელი ვადის გაგრძელების თაობაზე;
- მესამე ეტაპზე თუ არასრულწლოვანი კვლავ აგრძელებს რეჟიმის დარღვევას, ოთხჯერ რეჟიმის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ხდება სასამართლოსთვის მიმართვა გამოსაცდელი ვადის გაგრძელების თაობაზე;
- მეოთხე ეტაპზე თუ მაინც არღვევს არასრულწლოვანი რეჟიმს, ხდება მიმართვა გამოსაცდელი ვადის გაუქმების და თავისუფლების აღკვეთის მოხდის თაობაზე.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ საშუალოდ, არასრულწლოვანს 12-ჯერ

313 დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის და 45-ე მუხლის ,,ბ” პუნქტის თანახმად, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი <u>რეჟიმი მოიცავს</u> პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას.

ან 14-ჯერ უნდა ჰქონდეს რეჟიმი დარღვეული, რათა პრობაციის ბიურომ მიმართოს სასამართლოს რეალური სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის მოხდის თაობაზე. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს აღნიშნული მიდგომა მისასალმებელია და შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვას. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მდგომარეობს მისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრის თავიდან აცილებაში, რაც არასრულწლოვნისათვის მძიმე შედეგების მომტანი იქნება.[314]

2022 - 2024 წლებში არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული არასრულწლოვნების მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი ასეთია: 2022 წელს ბენეფიციართა 28%, 2023 წელს - 22% და 2024 წელს - 7% იქნა ჩართული სარეაბილიტაციო პროგრამებში.

2022 - 2024 წლებში არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული არასრულწლოვნები ჩართულნი იყვნენ შემდეგ სარეაბილიტაციო პროგრამებში: დანაშაულის გააზრება; დანაშაულის გაცნობიერება; სამართლის ქალაქი; სოციალური და კოგნიტური უნარების სასწავლო პროგრამა; სოციალური მუშაკის კონსულტაცია; ფსიქოლოგის კონსულტაცია; ცხოვრების ჯანსაღი წესი; ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები; ცხოვრებისეული ფასეულობები; ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული; ემოციების რეგულაცია; ინტერპერსონალური კომუნიკაცია; ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი.

314 პენიტენციური დაწესებულების მავნე ზეგავლენების შესახებ იხ.: მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე/ზ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2024, გვ. 261-276.

თავი მეხუთე

სასჯელის აღსრულების საერთაშორისო რეგულირება

არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელთა მიმართაც მოპყრობის კონკრეტული ფორმები სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტის მიერ განიხილება ცალკე კონტექსტში და ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირებას როგორც გაეროს, ისე ევროპის საბჭოს ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიეძღვნა. მოცემულ თავში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეგულირების კუთხით, განიხილება ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტები, როგორებიცაა: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტები არასრულწლოვან პატიმართა/მსჯავრდებულთა უფლებების დასაცავად, გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები), ევროპული წესები არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე და ევროპის საბჭოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტები.

1. ზოგადი მიმოხილვა

სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს ტერმინებს „არასრულწლოვანი“ და „ბავშვი“. ამასთან, ხშირად სამართლებრივი სისტემები ბავშვისა და არასრულწლოვნის ცნებების ბუნდოვან განმარტებებს შეიცავენ. წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულია განმარტება, რომელიც მოცემულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველ მუხლში: „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. მსგავსი აზრია მოცემული თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად გაეროს წესების მე-11 წესში, რომლის თანახმადაც, „არასრულწლო-

ვანი არის 18 წლამდე ასაკის ადამიანი. ...“.

ამოსავალი პრინციპი არის ის, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული არასრულწლოვნის პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, რაც უფრო პატარაა ასაკით არასრულწლოვანი, მით უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ არ აღუკვეთონ მას თავისუფლება. არასრულწლოვნებს გარდატეხის ასაკი აქვთ, ისინი სწავლობენ, ვითარდებიან, რათა ზრდასრულ ადამიანებად იქცნენ. თუკი არასრუწლოვანი, რომელიც დაარღვევს კანონს, რამდენიმე წელს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გაატარებს, მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს კრიმინალური მენტალიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია არასრულწლოვნის პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მასთან განსაკუთრებული მოპყრობა.[315]

საერთაშორისო სტანდარტები ერთხმად დეკლარირებენ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვნის მოთავსება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ზომა და გამოიყენებოდეს, რაც შეიძლება, იშვიათად. ასე მაგალითად, გაეროს მეექვსე კონგრესმა „დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ“ მე-4 რეზოლუციაში, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს, განაცხადა, რომ წინასწარი დაკავება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება და არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ ისეთ შენობაში, რომელშიც ისინი არ დაექვემდებარებიან სრულწლოვანი სამართალდამრღვევების მხრიდან უარყოფით გავლენას.[316]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო ჩარჩო ითვალისწინებს ძალზე დეტალურ სტანდარტებს, რომლებიც ეხება თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (გ) პუნქტის თანახმად, „ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების ხელშეუვალი ღირსების პატივისცემით,

315 ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 180.

316 გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008, გვ. 10.

ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები“. არავითარი მიზეზით არ შეიძლება არასრულწლოვანთათვის იმ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ჩამორთმევა, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ეროვნული და საერთაშორისო სამართლით და რომლებიც თავსებადია თავისუფლების აღკვეთასთან.[317]

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანის წესები), ეხება რა ყველა იმ არასრულწლოვანს, რომელიც მოთავსებულია „საჯარო თუ კერძო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილისამებრ დატოვების უფლებაც არ ექნება, სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოს ბრძანებით“,[318] დეტალურად განიხილავს არასრულწლოვნებთან მოპყრობის წესებს და მათი პატიმრობის პირობებს. გარდა ამისა, დამატებითი სტანდარტებია გათვალისწინებული გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებში არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები) და პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში (ნელსონ მანდელას წესებში).

ჰავანის წესები ეხება ადმინისტრაციულ საკითხებს, არასრულწლოვანთა დაწესებულებების მენეჯმენტისა და არასრულწლოვნების მიღების, აღრიცხვის, გადაადგილების, გადაყვანის, კლასიფიცირებისა და მოთავსების ჩათვლით.[319] ეს წესები ასევე მოიცავს ფიზიკურ გარემოს და განსახლების ადგილებს, განათლების დონეს, პროფესიულ სწავლებასა და მუშაობას, რომელიც უნდა შესთავაზონ არასრულწლოვნებს, დასვენებას, ჯანმრთელობის დაცვას, უფრო ფართო საზოგადოებასთან კავშირს, ფიზიკური შეზღუდვის და შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, ინსპექტირებას და საჩივრებს, საზოგადოებაში დაბრუნებასა და პერსონალთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებს.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით,[320] სახელმწიფოებმა აღნიშნული და სხვა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები პირდაპირ უნდა ჩართონ საკუთარ კანონმდებლო-

317 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რეზოლუცია 45/113, 14.12.1990, წესი 13.

318 იქვე, წესი 11(ბ).

319 იხ.: ჰავანას წესები 19-31.

320 გაეროს გავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (2007), პუნქტი 88.

ბებში და ხელმისაწვდომი გახადონ ყველა სპეციალისტისათვის და იმ პირისათვის, ვინც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში.

2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს იქნა მიღებული და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი განსაზღვრავს ყველა იმ სტანდარტს, რომელთა მიღწევაც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების ჯანსაღ გარემოში აღზრდისა და განვითარების მიზნით.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ბავშვთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელებასა და აღსრულებასაც ეხება. კერძოდ, კონვენცია დაუშვებლად მიიჩნევს ბავშვისათვის თავისუფლების უკანონოდ ან ნებისმიერი სახით აღკვეთას. დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონის თანახმად და განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა მაქსიმალურად მცირე დროით.[321]

კონვენცია განსაზღვრავს პრინციპებს, რაც ფუძემდებლურს ხდის კანონის მოქმედებას დროში, სივრცესა და პირთა წრის მიმართ. ამ მხრივ, კონვენცია ადგენს, რომ არცერთი ბავშვი არ უნდა მიიჩნეოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ უნდა ედებოდეს მისი დარღვევა და ის არ უნდა იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით.[322]

კონვენცია პირდაპირ მიუთითებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპზე ბავშვის მიმართ, რომელმაც, სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალად ედება მისი დარღვევა და აცხადებს, რომ იგი უნდა ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად (კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღების გზით). ამასთანავე, ბავშვს დაუყოვნებლივ და უშუალოდ უნდა

321 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37(ბ).

322 იქვე, მუხლი 40.2(ა).

მიეწოდოს ინფორმაცია წაყენებული ბრალდების შესახებ, მას უნდა შეეძლოს სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის.[323]

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბავშვის მოთავსების შემთხვევაში კონვენცია ადგენს, რომ მას უნდა მოეპყრან ჰუმანურად და ღირსების პატივისცემით ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები. ამ მიზნით, კონვენცია ასახელებს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელთა რეალიზაციაც სახელმწიფოების ვალდებულებას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, ეს პრინციპები ეხება თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის უფროსებისგან განცალკევებით განთავსებას, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ეს არ არის საჭირო, აგრეთვე ბავშვის უფლებას, ურთიერთობა ჰქონდეს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით.[324]

კონვენცია ხაზს უსვამს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვისათვის გადაუდებელი სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე თავისუფლების აღკვეთის კანონიერების გასაჩივრების უფლებას, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული და გამოტანილ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.[325]

გაეროს სისტემაში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელსაც წევრი სახელმწიფოები, ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად, წარუდგენენ პერიოდულ ანგარიშს კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით. წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე კომიტეტი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს კონკრეტულ სახელმწიფოებთან მიმართებით.

2024 წლის 30 მაისს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოაქვეყნა შემაჯამებელი მოსაზრება საქართველოს მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილშიც ვკითხულობთ, რომ „კომიტეტი მიესალმება სახელმწიფოს მიერ მიღწეულ პროგრესს, მათ შორის, ბავშვების პატიმრობაში ყოფნის მაჩვენებლის

323 იქვე, მუხლი 40.2(ბ).
324 იქვე, მუხლი 37(გ).
325 იქვე, მუხლი 37(დ).

მნიშვნელოვნად შემცირებას, მოსამართლეთა და პროკურორების სპეციალიზაციის ზრდას და აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებას. კომიტეტი იხსენებს ზოგად შენიშვნას №24 (2019) ბავშვების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემაში და რეკომენდაციას უწევს, რომ საქართველომ გააძლიეროს მისი ძალისხმევა ბავშვის მართლმსაჯულების სისტემის კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოს: ა) გააძლიეროს ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელება, განსაკუთრებით, რაც შეეხება მართლმსაჯულების ყველა მიმართულების პროფესიონალების შერჩევას, დანიშვნას და პროფესიულ მომზადებას, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან და მათთვის, მათ შორის, უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებლებს; ბ) შექმნას სპეციალიზებული ბავშვთა სასამართლო ინფრასტრუქტურა და პროცედურები, შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით და სპეციალიზებული მოსამართლეებით ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების განსახილველად; გ) გააძლიეროს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის შესაძლებლობები და გაზარდოს ბავშვებისთვის საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომი რეინტეგრაციის მომსახურებები; დ) გააგრძელოს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამების სისტემატური განხორციელება და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ბავშვებისთვის, რომლებმაც სავარაუდოდ ჩაიდინეს დანაშაული, არიან ბრალდებული ან დადგენილია მათი დანაშაული და სადაც შესაძლებელია, გამოიყენოს არასაპატიმრო სასჯელები, როგორიცაა პირობითი მსჯავრი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოები; ე) უზრუნველყოს სპეციალიზებული მომსახურება 14 წლამდე ბავშვებისთვის, რომლებიც ბრალდებული არიან დანაშაულის ჩადენაში და გამოყონ საკმარისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, რათა უზრუნველყოს მათი სოციალური რეინტეგრაცია; ვ) უზრუნველყოს, რომ პატიმრობა/თავისუფლების აღკვეთა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და რაც შეიძლება მოკლე დროით და რეგულარულად განიხილოს მისგან გათავისუფლება; ზ) იმ მცირე სიტუაციებში, სადაც თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია,

როგორც უკიდურესი ზომა, უზრუნველყოს, რომ ბავშვები არ იყვნენ განთავსებული ზრდასრულებთან ერთად და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის პირობები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, განათლებისა და ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით".[326]

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა 2007 წელს გამოცემულ #10 ზოგად კომენტარებში ყურადღება გაამახვილა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლზე, რომელიც მოიცავს წამყვან ნორმებს თავისუფლების აღკვეთასთან, პროცესუალურ უფლებებთან და თავისუფლების აღკვეთილ არასრულწლოვნებთან მიმართებით, მოპყრობისა და პირობების კუთხით. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში ბავშვები პატიმრობაში თვეების ან ზოგჯერ წლების განმავლობაში იტანჯებიან, რაც წარმოადგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის დარღვევას. ეფექტიანი ალტერნატიული ზომების პაკეტი უნდა იყოს განსაზღვრული სახელმწიფოების მიერ, რათა გამოიყენონ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს ზომად. ამ ალტერნატივების გამოყენება უნდა იყოს ყურადღებით სტრუქტურირებული, რათა შეამციროს პატიმრობის გამოყენება. კანონმდებლობა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს პირობებს, რომლებიც საჭიროა არასრულწლოვნისთვის პატიმრობის განსასაზღვრად. ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ არასრულწლოვნის პატიმრობიდან გათავისუფლება შეძლებისდაგვარად მალე, და თუ საჭიროა, გარკვეული პირობების დაწესებით. გადაწყვეტილება პატიმრობის შესახებ, მისი ხანგრძლივობის ჩათვლით, უნდა მიიღოს კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ ან სასამართლომ და არასრულწლოვანს უნდა მიეცეს სამართლებრივი ან სხვა შესაბამისი დახმარება.[327]

თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი არ უნდა გა-

326 საქართველოს მე-5 და მე-6 ერთობლივ პერიოდულ ანგარიშებზე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის შემაჯამებელი შეფასება, CRC/C/GEO/CO/5-6, 25 ივნისი 2024 წ., იხ.: https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2FC%2FGEO%2FCO%2F5-6&Lang=en.

327 General Comment NO. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD Forty-fourth session Geneva, 15 January-2 February 2007, paragraph 80-81, at https://www.refworld.org/legal/general/crc/2007/en/43085.

ნთავსდეს ზრდასრულ მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან სხვა დაწესებულებაში, რომელიც განკუთვნილია ზრდასრული ადამიანებისთვის. არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომ არასრულწლოვნების ზრდასრულთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსება რისკს უქმნის მათ უსაფრთხოებას, კეთილდღეობას და შესაძლებლობას, არ ჩაიდინონ ახალი დანაშაული და მოხდეს მათი რეაბილიტაცია. არასრულწლოვანთა ზრდასრული პატიმრებისგან გამიჯვნის გამონაკლისი, რომელიც მოცემულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე (გ) მუხლში („გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის"), განხილულ უნდა იქნეს ვიწრო ინტერპრეტაციით; ბავშვის ინტერესები არ ნიშნავს სახელმწიფოსთვის ხელსაყრელ გარემოებას. სახელმწიფომ უნდა შექმნას ცალკე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები არასრულწლოვანთათვის, რომლებიც მოიცავს განსაკუთრებულ, არასრულწლოვნის ინტერესებზე ორიენტირებულ პერსონალს, პოლიტიკასა და პრაქტიკას.[328] ეს წესი არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს არასრულწლოვანი, რომელიც განთავსებულია არასრულწლოვანი პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში, უნდა გადაიყვანონ ზრდასრულთა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მაშინვე, როდესაც მას 18 წელი შეუსრულდება. მისი დატოვება არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოხდეს, თუ ეს არასრულწლოვნის ინტერესებშია და არ ეწინააღმდეგება უფრო მცირე ასაკის არასრულწლოვნების ინტერესებს იმავე დაწესებულებაში.[329]

ყველა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს აქვს უფლება შეინარჩუნოს კონტაქტი მისი ოჯახის წევრებთან, როგორც მიმოწერით, ისე პაემნებით. პაემნების გამარტივების მიზნით, არასრულწლოვანი უნდა განთავსდეს ისეთ დაწესებულებაში, რომელიც, რაც შეიძლება ახლოს არის მისი ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან. განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შესაძლოა ზღუდავდნენ ამ კონტაქტს, უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული კანონით და არ უნდა იყოს ხელისუფლების დისკრეციის საგანი.[330]

328 იქვე, paragraph 85.
329 იქვე, paragraph 86.
330 იქვე, paragraph 87.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა #10 ზოგად კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი პრინციპებისა და წესების დაცვის აუცილებლობა თავისუფლების აღკვეთის ყველა შემთხვევისას:

- ბავშვების ფიზიკური და საცხოვრებელი გარემო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა ემსახურებოდეს რეაბილიტაციის მიზნებს. შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს პირადი ცხოვრების, სენსორული სტიმულაციის, თანატოლებთან ურთიერთობის, სპორტულ და გამაჯანსაღებელ ვარჯიშებში მონაწილეობის, აგრეთვე ხელოვნებას და თავისუფალ დროს სხვადასხვა აქტივობის საჭიროებას. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ის განათლება, რომელიც შეესაბამება მის საჭიროებასა და შესაძლებლობებს, რომლის მიზანია, მოამზადოს იგი საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. გარდა ამისა, ყველა ბავშვმა, უნდა გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი, რომელიც, სავარუდოდ, ხელს შეუწყობს მას სამომავლო დასაქმებაში.
- ყველა ბავშვი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებისას უნდა შეამოწმოს ექიმმა. ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება და მზრუნველობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათემო სამედიცინო დაწესებულების ან სერვისების მიერ, თუ ეს შესაძლებელია.
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის ხშირ კონტაქტს ფართო საზოგადოებასთან. აქ იგულისხმება ურთიერთობა ოჯახთან, მეგობრებსა და მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სახლში მოინახულოს ოჯახი.
- შეზღუდვისა და ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ფიზიკური დაზიანების საფრთხეს უქმნის თავის თავს ან სხვებს და თუ ამგვარ სიტუაციაზე კონტროლის ყველა სხვა მექანიზმის გამოყენება უშედეგოდ დასრულდა.
- ამა თუ იმ დისციპლინური ზომის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ღირსების გრძნობის შენარჩუ-

ნებას და ზრუნვის ძირითად ამოცანებს. მკაცრად უნდა აიკრძალოს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლით განსაზღვრული ისეთი დისციპლინური ზომები, როგორებიცაა: ფიზიკური დასჯა, ბნელ საკანში მოთავსება, დახურულ და შემოსაზღვრულ სივრცეში მარტო მოთავსება. ასევე უნდა აიკრძალოს დასჯის ყველა ის ფორმა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის გონებრივ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

- ბავშვს უფლება აქვს საჩივრით, ცენზურის გარეშე, მიმართოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, სამართლებრივ ან სხვა შესაბამის დამოუკიდებელ ორგანოს და დაუყოვნებლად მიიღოს პასუხი. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ ამ მექანიზმების გამოყენება.
- დამოუკიდებელ და კვალიფიციურ ინსპექტორებს უნდა ჰქონდეთ რეგულარული შემოწმების უფლება, ამასთან, წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკუთარი ინიციატივითაც. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებთან კონფიდენციალურ საუბარს.[331]

3. არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მარეგულირებელი გაეროს დოკუმენტები

გაერომ პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთაში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებით მიიღო არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, საფუძვლად დაედო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მაღალი სტანდარტით ჩამოყალიბებასა და განხორციელებას. ამ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანის წესები) და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განსახორციე-

331 იქვე, paragraph 89.

ლებელი ღონისძიებების შესახებ (ვენის დებულებები).

პეკინის წესები წევრ ქვეყნებს აწვდიან სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შემუშავებაში. იგი ითვალისწინებს რამდენიმე ძირითად პრინციპს: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წამყვანი პრინციპი უნდა იყოს არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის კეთილდღეობის ხელშეწყობა (სამართლიანი და ადამიანური მოპყრობის მნიშვნელობა);[332] უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი არ იქნეს განსაზღვრული ძალიან დაბალ ასაკში;[333] პროპორციულობის პრინციპი;[334] დისკრეციის დაუშვებლობა;[335] პირადი ცხოვრებისა და კონფიდენციალობის დაცვა;[336] გათავისუფლების შესაძლებლობის, რაც შეიძლება მალე განხილვა;[337] არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინება;[338] დაკავების გამოყენება მხოლოდ როგორც უკანასკნელი საშუალება და რაც შეიძლება მოკლე დროით;[339] თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში;[340] სიკვდილით დასჯის ან ფიზიკური სასჯელის გამოყენების დაუშვებლობა;[341] სასჯელის მიზანი უნდა იყოს რეაბილიტაცია.[342]

რიადის სახელმძღვანელო პრინციპები მიმართულია სხვადასხვა სექტორის როლის დაფარვაზე არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში. მთავარი პუნქტები და სექტორები შემდეგია: არასრულწლოვანთა და მისი ოჯახის კეთილდღეობის ხელშეწყობა (სამართლიანი და ადამიანური მოპყრობა);[343] ყოვლისმომცველი პრევენციის გეგმების საჭიროება;[344] ოჯახის მნიშვნელობა და ოჯახის მხარდაჭერა;[345] განათლების მნიშვნე-

332 წესები 1, 5.1, 10.3, 13.5, 14.2, 17.1 და 26.2.
333 წესი 4.
334 წესები 5.1 და 17.1.
335 წესი 6.
336 წესები 8 და 21.
337 წესი 10.2.
338 წესი 11.3.
339 წესი 13.1.
340 წესი 17.1.
341 წესები 17.2 და 17.3.
342 წესები 24 და 26.1.
343 სახელმძღვანელო პრინციპები 4 და 46.
344 სახელმძღვანელო პრინციპი 9.
345 სახელმძღვანელო პრინციპები 11-19.

ლობა;[346] საზოგადოებრივი ზომების მნიშვნელობა;[347] მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი;[348] ახალგაზრდების თავისუფლების აღკვეთა, როგორც უკიდურესი საშუალება და მინიმალური საჭირო პერიოდის განმავლობაში;[349] შესაბამისი კანონმდებლობისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მართვის განვითარების საჭიროება.[350]

ჰავანას წესები განსაზღვრავს არასრულწლოვნად ყველა პირს, რომელიც 18 წლის ასაკს არ აღემატება და განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთას როგორც ნებისმიერი სახის დაკავებას ან პატიმრობას ან პირის განთავსებას საჯარო ან კერძო პატიმრობაში, საიდანაც ამ პირის გაშვება არ არის დაშვებული სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე.[351] ჰავანას წესები მიზნად ისახავს თავისუფლების აღკვეთის მავნე გავლენების წინააღმდეგ ბრძოლას, ბავშვთა უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფით. დოკუმენტი ასახავს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებიც მიახლოებულია გაეროს პატიმრების მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების (ნელსონ მანდელას წესების) პრინციპებთან (მაგალითად, წინასწარი დაკავების, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების, კლასიფიკაციის, ფიზიკური გარემოსა და განთავსების, განათლების, პროფესიული მომზადებისა და მუშაობის, დასვენების, რელიგიის, სამედიცინო დახმარების, ფიზიკური შეზღუდვებისა და ძალის გამოყენების შეზღუდვების, დისციპლინური პროცედურების, ინსპექტირებისა და საჩივრების, პერსონალის კონტექსტში). ჰავანას წესები ეხება არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: თავისუფლების აღკვეთის გამოყენება უკიდურეს საშუალებად და მაქსიმალურად მცირე პერიოდისთვის;[352] დისკრიმინაციის დაუშვებლობა;[353] არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელ-

346 სახელმძღვანელო პრინციპები 20-31.
347 სახელმძღვანელო პრინციპები 32-39.
348 სახელმძღვანელო პრინციპები 40-44.
349 სახელმძღვანელო პრინციპი 46.
350 სახელმძღვანელო პრინციპები 52-59.
351 წესი 11.
352 წესები 1, 2 და 17.
353 წესი 4.

შეწყობა (რეაბილიტაცია);[354] ძირითადი პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფა;[355] კონფიდენციალურობის დაცვა;[356] არასრულწლოვანთა განცალკევება ზრდასრული პირებისგან;[357] არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის მცირე ზომის ღია დაწესებულებების შექმნის წახალისება;[358] თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა გათავისუფლებისთვის მომზადება;[359] ოჯახთან და ფართო საზოგადოებასთან კონტაქტების შენარჩუნება;[360] ფიზიკური დასჯის ან იზოლაციის დაუშვებლობა;[361] არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმი და მომზადება.[362]

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის ძალაში შესვლამ 1990 წელს დააწესა ვალდებულებები სახელმწიფოების მხარეებისთვის, რაც ვენის სახელმძღვანელო პრინციპებში აისახა. ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს, წევრ სახელმწიფოებს დაეხმაროს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებისა და ნორმების გამოყენებასა და მისადაგებაში.[363] ვენის სახელმძღვანელო პრინციპები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ზოგადი ამოქმედების ღონისძიებები;[364] კონკრეტული სამიზნეები;[365] საერთაშორისო დონეზე განსახორციელებელი ღონისძიებები;[366] ტექნიკური კონსულტაციისა და დახმარების პროექტების განხორციელების მექანიზმები;[367] შემდგომი მოსაზრებები ქვეყანაში პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით;[368] დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან დაკავშირებული გეგმები.[369]

354 წესები 12 და 32.
355 წესები 18(ა) და 70.
356 წესი 19.
357 წესი 29.
358 წესი 30.
359 წესები 38, 79 და 80.
360 წესი 59.
361 წესები 67 და 87.
362 წესები 81, 85 და 86.
363 სახელმძღვანელო პრინციპი 5.
364 სახელმძღვანელო პრინციპები 10 და 11.
365 სახელმძღვანელო პრინციპები 12-25.
366 სახელმძღვანელო პრინციპები 26-29.
367 სახელმძღვანელო პრინციპები 30-40.
368 სახელმძღვანელო პრინციპები 41 და 42.
369 სახელმძღვანელო პრინციპები 43-53.

4. ევროპული წესები არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებით სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე

არასრულწლოვან პატიმართა მიმართ სანქციებისა და ზომების გამოყენების თაობაზე ევროპული წესები (შემდგომ ტექსტში წესები) ეხება საზოგადოებაში როგორც სანქციებისა და ზომების შეფარდებას, ისე მათ აღსრულებას, აგრეთვე – თავისუფლების აღკვეთას. თავისი არსით აღნიშნული დოკუმენტი ემსგავსება საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების თაობაზე ევროპულ წესებსა და ევროპული ციხის წესებს, იმ განსხვავებით, რომ იგი არასრულწლოვანთა საკითხებს მოიცავს, ხოლო დანარჩენი ორი დოკუმენტი, ძირითადად, ზრდასრულთა საკითხებს ეხება. თუმცა, ევროპული წესები უფრო ფართო მასშტაბს მოიცავს, ვიდრე ზრდასრულებთან დაკავშირებული დოკუმენტები, რადგან იგი ეხება ყველა არასრულწლოვანს, რომელთაც დანაშაულის ჩადენისთვის აღეკვეთათ თავისუფლება, მიუხედავად იმისა, თუ სად არიან ისინი განთავსებულნი - თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, აღმზრდელობით თუ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს სრულწლოვნების მსგავსი ბევრი საჭიროება და მოთხოვნილება აქვთ, ამასთანავე, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მათ საკითხზე ზრუნავენ დაწესებულებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენელ ნაწილს. ზოგიერთი ეს სანქცია და ზომა დაკისრებული აქვთ იმ არასრულწლოვნებს, რომლებიც არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ (მაგალითად, წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები, რომლებიც სასამართლო განხილვას ელოდებიან). ის ფაქტი, რომ მათზე მოქმედებს ევროპული წესები, არ იწვევს მათ მიმართ მოქმედი უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულებელყოფას ან შეზღუდვას. ამგვარი კატეგორიის არასრულწლოვანთა ევროპული წესების ფარგლებში მოხვედრა იმის მანიშნებელია, რომ ისინიც ექვემდებარებიან ევროპული წესებით გარანტირებული უფლებებით დაცვას.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ წესებში ასახული ზოგიერთი ნორმა ყურადღებას ამახვილებს ეროვნულ კანონმდებლობაზე.

ევროპული წესების ფართო არეალი ასახულია მათ სტრუქტურაში, კერძოდ:

- ნაწილი I ეხება ძირეულ პრინციპებს, მოქმედების ფარგლე-

ბსა და განმარტებებს, დაკავშირებულს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან;

- ნაწილი II ეხება იმ არასრულწლოვნებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება სანქციები და ზომები;

- ნაწილი III ადგენს ზოგად წესებს, რომლებიც უკავშირდება თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ფორმას. ნაწილი III მოიცავს ყველა სპეციფიკურ წესს, რომლებიც, ზოგად წესებთან ერთად, ეხება პოლიციაში დაკავებულ, წინასწარ პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთის სხვა პირობებში მყოფ ყველა არასრულწლოვანს, გარდა მსჯავრდებულებისა, აღმზრდელობით დაწესებულებებს და ფსიქიატრიულ დაწესებულებებს;

- წესები, რომლებიც მოცემულია IV-VIII ნაწილებში, ასევე ეხება ყველა არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირს, რომლებზეც ეს წესები ვრცელდება, უფრო კონკრეტულად: სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება (ნაწილი IV), გასაჩივრების პროცედურები, ინსპექტირება და მონიტორინგი (ნაწილი V), პერსონალი (ნაწილი VI), შეფასება, კვლევა, მუშაობა მედიასა და საზოგადოებასთან (ნაწილი VII) და წესებში ცვლილებების შეტანა (ნაწილი VIII).

წინამდებარე ქვეთავში მიმოხილული იქნება ის წესები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს დოკუმენტს და სტანდარტების განსაზღვრით უზრუნველყოფს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სათანდო გარემოს შექმნას მათი შემდგომი რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის მიზნით.

შესავალი ადგენს რეკომენდაციის ზოგად მიზნებს, მიმართულს იმ დამნაშავეების უფლებების აღიარებისა და უსაფრთხოების დაცვისაკენ, რომლებიც ექვემდებარებიან მოცემული რეკომენდაციით დაფარულ ინტერვენციის ფორმებს. ის აღიარებს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეები მეტ-ნაკლებად დაცული არიან რეკომენდაციაში ჩამოთვლილი საერთაშორისო და ევროპული ინსტრუმენტებით. მასში გათვალისწინებული მექანიზმები მომავალშიც უნდა იქნეს აღიარებული. ამასთან დაკავშირებით ის ასევე მიუთითებს ევროპული ციხის წესებისა და საზოგადოების სანქციებსა და ზომებზე ევროპული წესების რელევანტურობაზე. თუმცა, აღნიშნული წესები აღემატება ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტს და უნდა იყოს პირველი წყარო იმ

არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ურთიერთობისას, რომლებიც მისი მოქმედების არეალში ექცევიან. [370]

წესები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეფარდოს არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დანაშაულებრივი ქმედება დამტკიცდა. მის უპირველეს მიზანს საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაცია წარმოადგენს. წინასწარი პატიმრობის პერიოდში იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მიზეზების გამო, როგორებიცაა: არასრულწლოვნის სასამართლოს წინაშე წარდგენის უზრუნველყოფა, მის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენისა და მოწმეებსა და მტკიცებულებებზე ზემოქმედების პრევენცია. მნიშვნელოვანია, რომ წესები მიუთითებენ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად დამატებითი დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებას არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ. აღნიშნული პრინციპი ახსენებს იმ ქვეყნებს, რომლებშიც, დანაშაულის სიმძიმის ხასიათის მიხედვით, დადგენილია რეჟიმების სხვადასხვა ფორმა, რომ შეხედონ თავიანთ პოლიტიკას ევროპის გადასახედიდან, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთა არ უნდა მოიცავდეს სხვა დამატებით შეზღუდვებს, რაც აუცილებელია თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების, დაწესებულებაში მყოფ სხვა პირთა და პერსონალის უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უსაფრთხოების დონეების მიხედვით დიფერენცირება არ უნდა იქნეს გამოყენებული. თუ ფრთხილი, მეცნიერული რისკის შეფასება გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვნები საშიშროებას წარმოადგენენ, შესაძლებელია მოხდეს მათი განთავსება უფრო დაცულ დაწესებულებაში, განსხვავებით უფრო ნაკლები რისკის მატარებელი არასრულწლოვნებისაგან. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია პროგრესული სისტემისა, რომლის მიზანიცაა საზოგადოებაში ეტაპობრივად დასაბრუნებლად მოამზადოს მაღალი რისკის მატარებელი დამნაშავეები. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ხანმოკლე შვებულებების პერიოდები და სასჯელის მოხდის ბოლო ეტაპზე უფრო ღია ტიპის დაწესებულებებში განთავსება.

წესები აღნიშნავენ, რომ თავისუფლების აღკვეთის ყველა

370 European Committee on Crime Problems (CDPC) – Council for Penological Co-operation (PC-CP) – Draft Commentary to the European Rules for Juvenile Offenders subject to sanctions or measures, 23 September 2008, at [https://wcd.coe.int].

ფორმა უნდა ექვემდებარებოდეს სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების სისტემას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ვადამდე ადრე გათავსუფლების ისეთ წინაპირობებს, როგორებიცაა: მცირე დრო, რომელიც არასრულწლოვანმა ვადამდე ადრე გათავისუფლებამდე სასჯელის სახით უნდა მოიხადოს, პროგნოზირებადი შეფასებები და გათავისუფლების შემდეგ ზედამხედველობის პერიოდი და პირობები. დადასტურდა, რომ ვადამდე ადრე გათავისუფლების მსგავსმა სქემამ წვლილი შეიტანა სოციალური რეინტეგრაციის პროცესში. მისი ზეგავლენა ცხადია მაშინ, როდესაც ის გათავისუფლებისათვის პროგრესული მზადებისა და განგრძობადი მზრუნველობის შემადგენელი ნაწილია.

წესები მოიცავს ზოგად პრინციპებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ფარგლებში ყოველდღიური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც მიზანმიმართული უნდა იყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის გაუმჯობესებისკენ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უნდა შეეთავაზოთ აზრობრივი ღონისძიებები და ჩართულობა, რაც ასახული უნდა იყოს მათთვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების მიზანი ზემოქმედებას ახდენს წესების ადამიანურ მიდგომაზე. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ვალდებულებაა მსგავსი აქტივობებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა, რასაც არასრულწლოვანმა მხარი უნდა დაუჭიროს მათში მონაწილეობის მიღებით. არასრულწლოვნის მიერ აქტიური მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებათა წარმატების აუცილებელი პირობაა, რაც მხარდაჭერილ უნდა იქნეს წახალისებებისა და მიღწევების აღნიშვნის სრულყოფილი სისტემით. მსგავსმა სისტემამ უნდა მოიცვას სასწავლო და პროფტექნიკური ტრენინგები ისევე, როგორც მუშაობა და დასვენება.

წესები აძლიერებენ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა აქტიურ მონაწილეობას, წაახალისებს რა არასრულწლოვნებს წამოჭრან და განიხილონ დაწესებულებაში ცხოვრებისა და რეჟიმის ზოგად პირობებთან დაკავშირებული საკითხები ადმინისტრაციასთან როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტი-

ური ფორმით. მსგავსი მონაწილეობითი ხასიათის აქტივობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან არასრულწლოვნები ამ ფორმით გრძნობენ თავიანთ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ არსებულ მდგომარეობასა და მომავალ განვითარებას ეხება.

წესები ავალდებულებენ სახელმწიფოს, დაიცვას მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ყოველი ადამიანი სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირების ან პერსონალის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, შედარებით ახალგაზრდა არასრულწლოვნები ზრდასრული არასრულწლოვნებისგან განცალკევებით განთავსდნენ, რისი მიზეზიც მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების უკეთ დაცვა იქნება. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სტრატეგიებსა და ზომებს, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციას ახდენენ (ძალადობა, დაშინება ან შანტაჟი, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება ასოცირდებოდეს სუბკულტურასთან) სხვადასხვა არასრულწლოვნის დროებით ერთმანეთისგან იზოლირებით, თუმცა, სპეციფიკურ შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილი იქნება მსხვერპლის დაცვა სხვა უფრო დაცულ დაწესებულებაში ან დაწესებულების განყოფილებაში გადაყვანით. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი კანონმდებლობა ავალდებულებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას ეფექტიანად დაიცვას სავარაუდო მსხვერპლი. დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ძალადობის პრევენციის სისტემატური სტრატეგიები. ამის მიღწევა შესაძლებელია პერსონალის გადამზადებით კრიტიკულ სიტუაციებში მოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომლებიც ხელს უწყობს პერსონალსა და არასრულწლოვნებს შორის და არასრულწლოვანთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

წესები ეხება ემპირიულ სწავლებასაც, რომელიც გვიჩვენებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნების უმრავლესობამ ბავშვობაში განიცადა ფიზიკური, გონებრივი თუ სექსუალური ძალადობა. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამგვარ საქმეებს და შეიმუშაოს ჩარევის ფორმა, რომელიც გამიზნული იქნება ამგვარი ძალადობის შესაძლო ნეგატიური შედეგების განეიტრალებისთვის.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ფუნქციონალური განსხვავება არის ფუნდამენტური პრინციპი იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან დააკმაყოფილონ იქ მოთავსებულ არასრულწლოვანთა სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური მოპყრობის გეგმები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რომლებიც კონცენტრირებულნი არიან არასრულწლოვანთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. დიდი ზომის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომის შესანარჩუნებლად საჭიროა კონკრეტული ფუნქციების მატარებელი სხვადასხვა განყოფილების არსებობა სპეციფიკური მოპყრობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

წამების პრევენციის კომიტეტმა თურქეთში 2004 წელს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში აღნიშნა, რომ არასრულწლოვნის პატიმრობისათვის დამახასიათებელი გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1) ცხოვრება პატარა სათავსოებში; 2) შეფასების სათანადო სისტემა განყოფილებების შესაფერისი განთავსების უზრუნველსაყოფად; 3) მულტიდისციპლინური გუნდი (მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი), რომელთაც გავლილი ექნებათ არასრულწლოვნებთან მუშაობის კურსები; 4) განათლების სრული პროგრამა მათთვის, ვისაც ჯერ არ შესრულებია სკოლის დამთავრების ასაკი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლას; უფროსი ასაკის არასრულწლოვანთათვის სწავლის გაგრძელებისა და პროფტექნიკური სწავლების ორგანიზება; 5) შენობა-ნაგებობები, რომლებმაც საშუალება უნდა მისცენ არასრულწლოვნებს ახლო კონტაქტი იქონიონ ოჯახის წევრებთან. წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ზემოხსენებული კომპონენტების არსებობას არასრულწლოვანთათვის მოქმედ და მომავალში გახსნილ ყველა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, იქნება ეს პატიმრობის თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.[371]

ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ უსაფრთხოების მიმართ ნაკლებად მკაცრი მიდგომის მქონე ინსტიტუტებს უფრო

371 Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried out by the CPT from 16-29 March 2004 (CPT/Inf(2005)18, paragraph 73), [www.cpt.coe.int/].

მცირე პრობლემა ჰქონდათ თვითმკვლელობასთან, თვითდაზიანებასა და აგრესიულ ქმედებებთან დაკავშირებით. ფუნდამენტური უფლებების მინიმალური შეზღუდვის პრინციპი დაკავშირებულია პროპორციულობის პრინციპთან, რაც გარანტირებულია ბევრ ნაციონალურ კონსტიტუციაში. დამატებით, ნორმალიზაციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს, უდიდესი მნიშვნელობისაა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს როგორც მომსახურე პერსონალის, ისე ფართო საზოგადოების დაცვას. მხოლოდ ნორმალიზაციის დადებით ასპექტებზე მითითება ნათელს ხდის, რომ საზოგადოების უარყოფითი მხარეები არ უნდა აისახოს ინსტიტუტების შიგნით.

არასრულწლოვნების ინსტიტუტები უნდა იყოს მართვისთვის შესაბამისი ზომის. შეუძლებელია ევროპის მასშტაბით განისაზღვროს სპეციალური მაქსიმალური ზომა. არასრულწლოვნების თავისუფლების აღკვეთის ზოგიერთი ინსტიტუტი რამდენიმე ასეული ადგილით უფრო დიდია (როგორც აღმოსავლეთ ევროპაში ან გერმანიაში), მაშინ როცა სხვა ქვეყნებს ხშირად მხოლოდ 15-30 ადგილი აქვთ, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში ან შვეიცარიაში. უკანასკნელი ფრანგული მიდგომა, შექმნილიყო ახალგაზრდული პენიტენციური ინსტიტუტი არაუმეტეს 60 ადგილით, მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც კარგი პრაქტიკა, პერსონალის დონისა და იმ აქტივობების დიაპაზონის გათვალისწინებით, რომელსაც ადგილი აქვს აღნიშნულ ინსტიტუტში. იმავდროულად, ფრანგული მიდგომა - შეექმნათ დახურული საგანმანათლებლო ინსტიტუტი - ასევე იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას. ასეთ დახურულ ინსტიტუტებს აქვთ არაუმეტეს 10 ადგილისა (საგანმანათლებლო პერსონალის დაახლოებით 20 ადგილით). ინსტიტუტის მთლიანი ზომის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ინსტიტუტები დაიყოს საცხოვრებელ ნაწილებად, რომლებსაც ექნებათ დაახლოებით 10, მაგრამ არაუმეტეს 15 ადგილისა. ინსტიტუტების უფრო პატარა საცხოვრებელ ნაწილებად დაყოფა არის ინტერვენციის ეფექტიანი სისტემის ორგანიზების საუკეთესო გზა. აღნიშნული ასევე ეხება წინასწარი დაკავების დაწესებულებებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას პრაქტიკული სიძნელეები, ვინაიდან, როგორც წესი, არასრულწლოვნები,

რომლებიც ბრალდებულნი არიან ერთსა და იმავე დანაშაულში მონაწილეობისათვის, ცალ-ცალკე იმყოფებიან. ამასთან, სოციალური უნარები უფრო ადვილად ისწავლება პატარა ჯგუფებში. პატარა ჯგუფების ცხოვრების დინამიკა მეტად უბიძგებს არასრულწლოვნებს საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებაზე. ეს გულისხმობს თავის მოვლას და უფრო ფართოდ სხვებთან პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას დემოკრატიული გზით.

არასრულწლოვანთა დაწესებულებები ტერიტორიულად უნდა განთავსდეს ადვილად მისადგომ ადგილებში, იმისათვის რომ ხელი შეეწყოს არასრულწლოვნებისა და მათი მშობლების ურთიერთობას. მათ ინტეგრირება უნდა მოახდინონ საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში. ეს ეხმარება გარეთ არსებულ სააგენტოებთან/დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარებაში და ზრდის გათავისუფლების შემდეგ წარმატებული რეინტეგრაციის შესაძლებლობას. არასრულწლოვანთა დაწესებულების მდებარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნა უნდა ითვალისწინებდეს, რომ არასრულწლოვნებს თვითონ შეუძლიათ განთავსდნენ იმ დაწესებულებებში, რომლებიც ადვილად მისადგომია მათი საცხოვრებელი სახლებიდან ან იმ ადგილებიდან, სადაც ისინი გათავისუფლების შემდეგ უნდა რეინტეგრირდნენ. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა დაწესებულებები არ იყოს განთავსებული მოშორებით. ის უნდა მდებარეობდეს ისეთ ადგილას, სადაც მოძრაობს კარგად დარეგულირებული საჯარო ტრანსპორტი, იმისათვის რომ იყოს ადვილად მისადგომი.

ასევე განსაზღვრული უნდა იყოს კრიტერიუმები, თუ არასრულწლოვნის რომელ კონკრეტულ საჭიროებას, როგორი ყურადღება სჭირდება. ეს თავისუფლად უნდა იყოს შესრულებული სახელმწიფოებში, სადაც თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა რაოდენობა ძალიან მცირეა. აღნიშნული მიუთითებს ინდივიდუალიზაციის პრინციპზე. უპირატესი მიზანი არის უზრუნველყოს არასრულწლოვანი პირების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ინტეგრირება და კეთილდღეობა და შესაბამისად, მათი განთავსება უნდა მოხდეს ისეთ დაწესებულებებში, რომლებშიც მათი ადამიანური ღირსება ყველაზე მეტად იქნება პატივცემული. ასევე უნდა შეიქმნას ერთიანი გეგმა, რომლის

მიზანიც იქნება მათი პიროვნული განვითარება, სოციალური უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, რათა გათავისუფლების შემდეგ გააგრძელონ დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრება და იპოვონ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პრინციპია არასრულწლოვნების განთავსება მათ სახლებთან ან საზოგადოებაში ინტეგრაციის ადგილებთან, შეძლებისდაგვარად, ახლოს მდებარე დაწესებულებებში. აღნიშნული ეხმარება მშობლების ჩართულობას, ასევე შემდგომი მზრუნველობისა და კეთილდღეობის სამსახურებს სოციალური რეინტეგრაციის პროცესში. სხვა მხრივ, ასევე არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება უკეთესი იყოს მისი მოთავსება საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, რადგან შეიძლება სწორედ ამ დაწესებულებაში ხორციელდებოდეს მისი მდგომარეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი ინტერვენცია.

შესაბამისი რისკის შეფასების შემდეგ არასრულწლოვანი პირების განთავსება უნდა მოხდეს დაწესებულებებში, რომლებსაც აკრძალვისა და უსაფრთხოების ყველაზე დაბალი დონე აქვთ, რაც შეიძლება გამართლებული იყოს თითოეული პირის შემთხვევაში. ასევე უნდა არსებობდეს პროცედურები, რომელთა მეშვეობით, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე იქნება შესაძლებელი არასრულწლოვანი პირების გადაყვანა მეტი სიმკაცრის მქონე დაწესებულებიდან ნაკლებად შეზღუდულ დაწესებულებაში ისეთ შემთხვევებში, თუ მიიჩნევა, რომ ისინი უფრო ნაკლები რისკის მატარებლები არიან, ვიდრე მათი თავისუფლების აღკვეთის მომენტში.

დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი პატიმრების მნიშვნელოვანი ნაწილი იტანჯება სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობით, რომელიც მათ თავისუფლების აღკვეთამდეც აღენიშნებოდათ, ან არის ამ უკანასკნელის შედეგი. დამატებით, ფსიქიკური პრობლემები შეიძლება გამომდინარეობდეს მნიშვნელოვნად პრობლემური საფუძვლებიდან. ზოგჯერ რთულია გადაწყვიტო, ასეთი პირები ფსიქიკურად არიან ავად, თუ ფსიქიკური აშლილობა აქვთ ტანჯვისა და სიტუაციასთან შეუგუებლობის გამო. აქედან გამომდინარე, ფსიქიატრი ექსპერტები ჩართულნი უნდა იყვნენ ასეთ შემთხვევებში დიაგნოზის დადგენის პროცესში. თუ დიაგნოზი გამოავლენს სერიოზულ ფსიქიკურ და-

ავადებას, პირის სპეციალიზებულ ფსიქიკურ დაწესებულებაში გადაყვანა გარდაუვალია.

მშობლები და კანონიერი დამცველი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ როგორც საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ისე სხვა დაწესებულებაში ნებისმიერი გადაყვანის თაობაზე. განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია კონსულტაცია თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთან და თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მის მშობლებთან ან დამცველთან. აღნიშნული მოიცავს მათი აზრის გათვალისწინებას პროფესიულ თუ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით, რომელიც მათმა შვილებმა უნდა მიიღონ დაწესებულებაში. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მშობლები და დამცველები შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებულნი დაწესებულების მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამებით, ან უბრალოდ არ იყოს შესაძლებელი მათთან დაკავშირება.

აუცილებელია არასრულწლოვანთათვის ცალკე დაწესებულებების არსებობა და მათი მკაცრი იზოლირება მოზრდილებისგან. არასრულწლოვნების ზრდასრულებისგან განცალკევება არის საერთაშორისო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული პრინციპი.

განცალკევების პრინციპი სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, როცა, გამონაკლისის სახით, არასრულწლოვნები მოთავსებულნი არიან მოზრდილებისათვის განკუთვნილ დაწესებულებაში. ამისი დაშვება არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული არასრულწლოვნის კეთილდღეობის ინტერესს ემსახურება. ეს განხილული უნდა იყოს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში. აღნიშნულის დაშვება შეიძლება, მაგალითად, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში მოხდება არასრულწლოვნის სრული იზოლირება და ის ვერ მიიღებს მონაწილეობას დაწესებულების მიერ შეთავაზებულ პროგრამებსა და აქტივობებში. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ პრინციპისგან გადახვევა არ შეიძლება უსაფრთხოების ან დისციპლინის ზომების გამო. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის სოციალური ინტეგრაცია უკეთ განხორციელდება მოზრდილებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში. პრაქტიკულად გამოყენებადია გამონაკლისი შემთხვევა უფროსებთან მოთავსებასთან დაკავშირებით თავისუფლებააღკვეთილი ქალების შემთხვევაში,

ვინაიდან ისინი, მცირერიცხოვნობის გამო სხვაგვარად იზოლაციაში აღმოჩნდებიან. ზრდასრულ პირებთან ერთად აქტივობებსა და პროგრამებში მონაწილეობა არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მათი ერთად განთავსება ღამით, ძილის დროს.

შესაძლებელია ახალგაზრდა ზრდასრული პირების დატოვება არასრულწლოვანთა დაწესებულებებში მას შემდეგ, რაც ისინი მიაღწევენ სრულწლოვანებას. მთავარი იდეა არის ის, რომ ახალგაზრდა ზრდასრულ დამნაშავეს უნდა შეეძლოს სასჯელის მოხდა იმავე დაწესებულებაში, იმისათვის რომ გარანტირებულ იქნეს განათლების პოზიტიური შედეგი, რომელიც არ უნდა შეფერხდეს მისი ზრდასრულთა ციხეში გადაყვანით.

სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ არასრულწლოვნების დატოვება არასრულწლოვანთა დაწესებულებებში არის ევროპული ქვეყნების საერთო პრაქტიკა. ქვეყნების უმეტესობა დარჩენილი სასჯელის ასეთ დაწესებულებაში მოხდის შესაძლებლობას აძლევს 21 წლის ასაკამდე პირებს. ბევრი ქვეყანა კი ასეთ შესაძლებლობას პირს აძლევს 23, 24 ან 27 წლის ასაკამდე. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში ახალგაზრდა დამნაშავეები, რომელთაც სასჯელი მიესაჯათ როგორც არასრულწლოვნებს, უნდა განთავსდნენ არასრულწლოვანთა დაწესებულებებში. თუმცა როგორც CPT აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ფრთხილი მენეჯმენტი იმისათვის, რომ მოხდეს უფროსი დამნაშავეების შესაძლო უარყოფითი გავლენის პრევენცია მათზე უმცროს დამნაშავეებზე: ,,არასრულწლოვანი პირებისა და ახალგაზრდა სრულწლოვანი პირების ერთად განთავსების პრაქტიკა [...] შეიძლება სასიკეთო იყოს ახალგაზრდა პირებისათვის, მაგრამ მოითხოვს ფრთხილ მენეჯმენტს იმისათვის, რომ მოახდინოს ნეგატიური ქმედების წარმოშობის პრევენცია, როგორიცაა დომინირება და ექსპლუატაცია, მათ შორის, ძალადობა”. [372]

აუცილებელია მამრობითი და მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი თავისუფლებაააღკვეთილი პირების განცალკევება. თუმცა განცალკევება შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული, ერთი მხრივ, პენიტენციურ დაწესებულებებში და, მეორე მხრივ, მზრუნველობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში. პირველ შემთხვევაში ასეთი განცალკევება, ძირითადად, სასურველია, ვინაიდან გოგონები ასეთ დაწესე-

372 იხ. ანგარიში გერმანიის მთავრობას CPT-ის მიერ გერმანიაში ვიზიტის თაობაზე 2005 წლის 20 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე [CPT/Inf (2007)18], პარაგრაფი 106 [www.cpt.coe.int/].

ბულებებში, როგორც წესი, ზოგადად, არასრულწლოვანი მოსახლეობის მცირე ჯგუფს შეადგენენ. არსებობს გოგონების მეორედ მსხვერპლად ქცევის უდავო რისკი. აღნიშნული რეალობა არ გამორიცხავს ერთობლივი აქტივობების შესაძლებლობას, როგორიცაა ერთობლივი სკოლები ან პროფესიული ტრენინგები და ა. შ. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქალი და მამაკაცი არასრულწლოვნები ხშირად ერთად იმყოფებიან მზრუნველობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტებში. აღნიშნული არ გამორიცხავს არც შემდეგ პრაქტიკას, რაც ხორციელდება დანიის პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ქალი და მამაკაცი დამნაშავეები ერთად არიან განთავსებული ზოგიერთ (ღია ტიპის) დაწესებულებაში, რასაც შეიძლება პოზიტიური შედეგი ჰქონდეს სპეციფიკურ კულტურულ კონტექსტში. იმ დაწესებულებებში, სადაც ქალი და მამაკაცი არასრულწლოვნები ერთად არიან განთავსებულნი, ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებულია, რომ ისინი არ გაიყოფენ საცხოვრებელს ღამის განმავლობაში.

ადამიანის უფლებების დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმის გარანტიასთან, რომ საცხოვრებელი პირობები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანური ღირსების სტანდარტებს. ადამიანის უფლებების დარღვევა ძალიან ხშირად ხდება ღამით და შაბათ-კვირას, როცა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი ამცირებს ზედამხედველობას, ვინაიდან თვითონაც რაოდენობრივად მცირდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი სიტუაციების აღმოფხვრა, როდესაც არასრულწლოვანი შეიძლება თანამესაკნის მსხვერპლად იქცეს. ღამით მარტო განთავსება არის საუკეთესო არჩევანი პირთა შორის ძალადობის პრევენციისათვის.

საცხოვრებელი პირობები, ზოგადად, უნდა ქმნიდეს გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას და არასრულწლოვანთა პიროვნულ განვითარებას და რომელიც პატივს სცემს მის ღირსებას და, შეძლებისდაგვარად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. არ უნდა გამოიყენებოდეს დიდი საერთო საცხოვრებლები, ვინაიდან ისინი საერთოდ არ არის პირადი ცხოვრების პატივისცემის შესაფერისი. წამების პრევენციის კომიტეტმა თავის მეთერთმეტე ზოგად ანგარიშში[373] აღნიშნა, რომ დიდი მოცულობის საერთო საცხოვრებლები, რომლებიც

373 CPT/Inf (2001)16; 11th General Report [www.cpt.coe.int/].

კვლავ გამოიყენება ზოგიერთ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არსებითად არასასურველია. რამდენადაც არასრულწლოვნების კონკრეტული დაწესებულებები არ შეიძლება გადაკეთდეს პატარა საცხოვრებელ დაწესებულებებად ერთადგილიანი საცხოვრებლებით, იქ უნდა არსებობდეს, სულ მცირე, იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვნებმა მიიღონ შესვენებების დრო და გამოიყენონ დაწესებულებების შესაძლებლობები, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ღირსებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემას. საცხოვრებელი პირობები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდეს ემოციურ სტიმულირებას, სხვა არასრულწლოვან პირებთან ასოცირების შესაძლებლობას და სპორტში, ფიზიკურ ვარჯიშებსა და დასვენების დროს აქტივობებში მონაწილეობას.

წამების პრევენციის კომიტეტის მიხედვით,[374] უნდა იკრძალებოდეს ერთი ადამიანისთვის ერთადგილიან საკანში 6 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართი, ხოლო საზიარო საკანში ერთი ადამიანისთვის 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ჯერ არ თანხვდება აღნიშნულ სტანდარტებს, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობაში, არ არის შესრულებული პრაქტიკაში.

სველი წერტილები იზოლირებული უნდა იყოს ოთახის იმ ნაწილისგან, რომელშიც თავისუფლებააღკვეთილი პირები ცხოვრობენ და იკვებებიან. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კანონმდებლობას აქვს წერილობითი სტანდარტები იატაკის მინიმალური ფართობის, ჰაერის კუბური შემადგენლობის, განათების, გათბობისა და ვენტილაციის თაობაზე. როდესაც არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან საზიარო საცხოვრებელში, უნდა შეფასდეს მსხვერპლად ქცევის რისკი და უნდა გადაიდგას ნაბიჯები მის შესამცირებლად. გარდა ამისა, საჭიროა მიღებულ იქნეს არასრულწლოვანი პირის თანხმობა საზიარო საცხოვრებელში მის გადაყვანამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მანამ, სანამ მოხდება გადაწყვეტილების მიღება არასრულწლოვანი პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის გაზიარების თაობაზე, დაწესებულების ინტერესებზე მეტად მხედველობაში

374 ევროპული ციხის წესების კომენტარები [www.coe.int].

უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირის ინტერესი.

იმ მიზნით, რომ მოხდეს არასრულწლოვანი პირის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი საცხოვრებელ ადგილს ახლოდან უნდა აკვირდებოდეს, განსაკუთრებით ღამის განმავლობაში, არასრულწლოვნების შეწუხების ან შეშინების გარეშე. ამასთან, უნდა არსებობდეს ეფექტიანი სიგნალიზაციის სისტემა ძალადობრივ მსხვერპლად ქცევის, ჯანმრთელობის გაუარესების, უბედური შემთხვევის, ხანძრის და სხვა საგანგებო შემთხვევებისათვის.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავენ არასრულწლოვანთა პიროვნულ განვითარებასა და მათი სოციალური უნარ-ჩვევებით აღჭურვას, რათა აცილებულ იქნეს მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა. არასრულწლოვნები უნდა წახალისდნენ ამ პროგრამებში მონაწილოებისათვის.

არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მათი ასაკის, სქესის, სოციალური და კულტურული წარსულის, განვითარების ეტაპისა და ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი სპეციფიკური საგანმანათლებლო პროგრამებით. ეს არ გულისხმობს იმას, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების ჯგუფები აუცილებლად უნდა იყვნენ განთავსებულნი ერთსა და იმავე საცხოვრებელ ჯგუფებსა თუ ქვედანაყოფებში. თუმცა, მიზანშეწონილი იქნება პატიმრობის საწყის და გათავისუფლებისათვის მზადების ეტაპებზე ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი პროგრამებით. გათავისუფლების მზადების ეტაპი უმჯობესი იქნება განხორციელდეს ღია ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც ნაკლები შეზღუდვები იქნება არასრულწლოვანთა დაწესებულების შიგნით გადაადგილებაზე და უზრუნველყოფილი იქნება კავშირი გარე სამყაროსთან.

წესი 77 ეხება რეჟიმის ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: განათლება, პირადი და სოციალური განვითარება, პროფესიული ხასიათის ტრენინგი, რეაბილიტაცია და გათავისუფლებისათვის მომზადება. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ უზ-

რუნველყოს ყველა ამ აქტივობის განხორციელება.

როგორც წესი, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, სულ მცირე, სასკოლო და პროფესიული ხასიათის განათლება, ტრენინგი სოციალური უნარ-ჩვევების შესაძენად, ფიზიკური განათლება და სპორტი, შემოქმედებითი აქტივობები თავისუფალ დროს, ღონისძიებები თემში, გათავისუფლებისთვის მზადება და გათავისუფლების შემდგომი მზრუნველობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში, ზემოხსენებული აქტივობების შესრულება შეზღუდულია დაწესებულების შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით. იმის გამო, რომ, როგორც წესი, სარეჟიმო აქტივობების ორგანიზება პატიმრობის დაწესებულებაში პრობლემურია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა მიზანმიმართული ღონისძიების ორგანიზებას, მაგალითად, როგორებიცაა: სასკოლო სწავლება, შემოქმედებითი აქტივობები თავისუფალ დროს, ჰობი და ვარჯიში.

წესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო განათლებასა და პროფესიულ დახელოვნებას და მათ დასაქმებაზე წინ აყენებენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლება ჩვეულებრივ სამუშაო საათებში უნდა განხორციელდეს და მათში ჩართულობა ისევე უნდა წახალისდეს, როგორც ჩვეულებრივ სამუშაოში მონაწილეობა დაწესებულების ფარგლებში.

წესები პრიორიტეტს ანიჭებენ ადგილობრივ თემში მოქმედი სკოლებისა და სასწავლო ცენტრების მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესებზე არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების დასწრებას. სასწავლო პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ ღია ტიპის დაწესებულების პირობებში.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება გარე საგანმანათლებლო და პროფესიული დახელოვნების სააგენტოების კომპეტენციას წარმოადგენდეს (მაგალითად, განათლების სამინისტრო ან სხვა სახელმწიფო ორგანოები ან პროფესიული ხასიათის დაწესებულებები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ და განახორციელონ საგანმანათლებლო სტანდარტები). თუმცა, საჭიროა რეგულარული შეფასების განხორციელება (მაგალითად, 6 თვეში ერთხელ მაინც) იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს, თუ

რამდენად დასაშვებია გარე სასკოლო და პროფესიული დახელოვნების სასწავლო პროგრამა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის.

როგორც წესი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა უმრავლესობას დამთავრებული არა აქვს სასკოლო განათლების მიღება. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამ, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა მიერ სასკოლო ან პროფესიული განათლების გაგრძელება. ეს შეიძლება პრობლემური და შეუძლებელი გახდეს, თუ სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად საჭიროა ლაბორატორიები ან თავისუფლების აღკვეთის ვადა იმდენად მცირეა, რომ სასწავლო პროცესში ჩართვა არაპრაქტიკულია. ის არასრულწლოვნები, რომელთაც არ დაუსრულებიათ სასკოლო განათლების მიღება, შესაძლოა აიძულონ სწავლის დასრულება. იძულება შეიძლება გავრცელდეს იმ არასრულწლოვნებზე, რომელთა ასაკი სავალდებულო სასკოლო ასაკის შესაბამისია, ან რომლებიც წერა-კითხვის უცოდინრები არიან.

სკოლის დასრულების ატესტატებში არ უნდა იქნეს აღნიშნული რაიმე სახის კავშირი არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან. აღნიშნული პოზიტიური პრაქტიკა უნდა შენარჩუნდეს იმ მიზნით, რომ არ მოხდეს არასრულწლოვან დამნაშავეთა სტიგმატიზაცია და უზრუნველყოფილ იქნეს მათი მომავალი განათლება და შრომის ბაზარზე ინტეგრაცია.

რეჟიმისა და მისი შემადგენელი ელემენტების განსაზღვრასთან ერთად ევროპული წესები ადგენენ არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ძალის გამოყენების სტანდარტებს. კერძოდ:

- არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ შესაძლოა მხოლოდ ხელბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება, თუმცა, რაც შეიძლება, მოკლე პერიოდით და იშვითად. მათი გამოყენება უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც აგრეთვე უნდა შეიცავდეს აღნიშნული საშუალებების ბოროტად გამოყენებისგან დამცავ მექანიზმებს.
- დროებითი იზოლირება წარმოადგენს დამაწყნარებელ საკანს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია განსაკუთ-

რებული გამონაკლისების დროს და არ შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათზე მეტ ხანს. საკანი ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივი საკანი, თუმცა საჭიროა ყველა შესაბამისი ზომის მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი გათავისუფლდეს იმ საგნებისგან, რომლებიც არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირს შესაძლოა თვითდაზიანებისთვის გამოადგეს. დამაწყნარებელ საკანში არასრულწლოვნის მოთავსება არ შეიძლება გაგრძელდეს 24 საათზე მეტ ხანს, რომლის განმავლობაშიც ალტერნატიული, დისციპლინის დასამყარებლად საჭირო გზა უნდა გამოინახოს. არასრულწლოვნებმა იზოლირება შეიძლება მტკივნეულად აღიქვან და ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი შეფარდებისას. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის, რომ სამედიცინო პერსონალი არ მონაწილეობს იზოლირების შეფარდებაში და მხოლოდ მაშინ ჩაერთვება საქმეში, თუ თავისუფლებააღკვეთილი პირი პაციენტი გახდება.

- პერსონალის მიერ იარაღის ტარება იმ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რომლებშიც განთავსებულნი არიან არასრულწლოვნები. იარაღში იგულისხმება ცეცხლსასროლი იარაღი, დანები, ხელკეტები და მსგავსი ინსტრუმენტები, რომლებითაც შესაძლებელია ფიზიკური ზიანის მიყენება. იარაღის კატეგორიას არ განეკუთვნება თავდაცვის მიზნით საჭირო ინსტრუმენტები, რომელთაც არ შეუძლიათ სერიოზული ზიანის მიყენება ან ინსტრუმენტები, რომლებიც განგაშის ხმას გამოსცემენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ოპერაცია ითხოვს ამას, იარაღები შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგნით. ამგვარ სიტუაციებს განეკუთვნება პერსონალის, არასრულწლოვანთა ან მესამე პირების სიცოცხლისათვის დიდი საფრთხის შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პერსონალის მიერ სიკვდილის გამომწვევი იარაღის გამოყენება არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ აკრძალულია.
- განცალკევება არის განსაკუთრებული ზომა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უსაფრთხოების, ასევე

უშიშროების მიზნით, იმისთვის, რომ დაცულ იქნენ დაცულობის დაბალი ხარისხის მქონე არასრულწლოვნები და ზემოქმედება მოხდეს საფრთხის წარმომქმნელ არასრულწლოვნებზე. თვითმკვლელობის რისკი დაკავშირებულია სამედიცინო საკითხებთან. განცალკევების გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ განსაკუთრებული პირობების არსებობისას და პრაქტიკოს ექიმს უნდა ჰქონდეს არასრულწლოვნის დაუბრკოლებლად მონახულების შესაძლებლობა.

წესები, ციხის ევროპული წესების მსგავსად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ უცხოელ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სპეციფიკური პრობლემები და, როგორც წესი, თავისუფლებააღკვეთილთა საერთო რაოდენობაში უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ. წესები გამოყოფენ სამი კატეგორიის უცხოელ თავისუფლებააღკვეთილ პირებს: ა) ისინი, ვინც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ქვეყანაში; ბ) ისინი, ვისი შემდგომი დარჩენა მოცემულ ქვეყანაში გადაწყვეტილი არ არის; და გ) ისინი, ვისაც უპირებენ მოცემული ქვეყნიდან გაძევებას.

არასრულწლოვნებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქვეყანაში, ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც სხვა არასრულწლოვნებს. თუმცა მათთვის უნდა მოხდეს სპეციალური პროგრამების ორგანიზება, რომ ხელი შეეწყოს ქვეყნის რეალობაში მათ ინტეგრირებას. სპეციალური ჩართულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სპეციფიკური სირთულეები და ნაკლოვანებები ახასიათებთ ამ არასრულწლოვნებს. ამგვარი ჩართულობა შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას, სპეციალური სოციალური უნარების განვითარებას, რაც მიზნად ისახავს მათი შანსების გაზრდას სამუშაოს, საცხოვრებლის მოძიებისა და, შესაბამისად, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული არასრულწლოვნის იმ ქვეყნისთვის გადაცემის თაობაზე, რომლის მოქალაქეცაა პირი, იგი უნდა დაექვემდებაროს იმავე რეჟიმს და მას ისევე უნდა მოეპყრონ, როგორც მოცემული ქვეყნის არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებს ეპყრობიან. აღნიშნული წესი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მრავალი უცხოელი თავისუფლებააღკვეთილი პირი არ არის ჩა-

რთული საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში იმ მიზეზით, რომ გარკვეული არ არის საკითხი მათი საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების ან ადგილზე დარჩენის თაობაზე.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია იზრუნოს არა მხოლოდ ქვეყანაში დარჩენილი არასრულწლოვნების რეინტეგრაციაზე, არამედ უნდა გადადგას შესაფერისი ნაბიჯები მათთვის, რომლებსაც ქვეყნიდან გაძევება და თავისი წარმომავლობის ქვეყანაში გადაგზავნა ემუქრებათ.

წესები ადგენენ სტანდარტს უცხოელი არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის, ისარგებლონ უფრო ხანგრძლივი შეხვედრებით ან გარე სამყაროსთან კონტაქტის სხვა ფორმით, მაგალითად, ხანგრძლივი სატელეფონო საუბრებით თავიანთ ქვეყანასთან და გრძელვადიანი პაემნებით. ეს საჭიროა მათთვის, რათა მოხდეს კომპენსირება ამგვარი კონტაქტის რეგულარულად ხელმისაწვდომობის შეუძლებლობისა.

ძალიან მნიშვნელოვანია უცხოელი არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების კონტაქტის უზრუნველყოფა მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურების წარმომადგენლებთან.

მრავალ ქვეყანაში ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები აწყდებიან სოციალური რეინტეგრაციის პრობლემებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მოთავსებულნი არიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. მართალია, ამ კატეგორიის არასრულწლოვნებს არ ემუქრებათ ქვეყნიდან გაძევების საშიშროება, ისინი ხშირად განიცდიან ისეთივე არახელსაყრელ პირობებს, როგორსაც უცხოელი მოქალაქეები. მიზეზი ნაწილობრივ ენობრივი ან კულტურული პრობლემებია, თუმცა, იმავდროულად, სხვა მიზეზს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არსებული ორგანიზაციული პრობლემები წარმოადგენენ. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული სხვადასხვა ჯგუფის კულტურულ თავისებურებებში, რაც ააცილებს მათ უცნაურ სიტუაციებს. ენობრივი პრობლემები და საჭიროებები უნდა აღმოიფხვრას კომპეტენტური თარჯიმნებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სხვადასხვა ენაზე დაწერილი მასალების არსებობით. დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ენის კურსების ორგანიზება იმ არასრულწლოვან

თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის, რომლებიც კარგად ვერ ფლობენ ადგილობრივ ენას.

შემდეგი სახის სპეციფიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან არასრულწლოვნები, რომელთაც ფიზიკური ნაკლი აქვთ. წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება ამგვარი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების სეგრეგაცია. შესაბამისად, ისინიც ჩვეულებრივ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყვნენ განთავსებულნი. დაწესებულებაში უნდა ფუნქციონირებდეს სპეციალური სასკოლო მეთოდები, პროფესიული დახელოვნების კურსები და სხვა პროგრამები, რომლებიც უნარშეზღუდულ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჭიროებებს შეესაბამება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნება მოძიებული ჩვეულებრივი თავისუფლების დაწესებულება, სადაც შეზღუდული უნარების მქონე არასრულწლოვნების სპეციალური მოთხოვნილებები იქნება დაკმაყოფილებული, ისინი გადაყვანილ უნდა იქნენ ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებაში, სადაც აღნიშნული პირობები იქნება დაცული.

5. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის სტანდარტები

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (შემდგომ ტექსტში წამების პრევენციის კომიტეტი) განსაზღვრა კრიტერიუმები, რომლებიც სახელმძღვანელო გახდა მისი საქმიანობისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნულ კრიტერიუმებს უთავსებს არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შესაბამისია. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით მოხდა არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა, ისინი სრულწლოვნებთან შედარებით უფრო დაუცველნი არიან. შესაბამისად, ყურადღების გამახვილებაა საჭირო, რათა დავრწმუნდეთ, რომ არასრულწლოვანთა ფიზიკური და გონებრივი კეთილდღეობა სათანადოდაა დაცული. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან ცუდად მოპყრობის პრევენციის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, წამების პრევენციის კომიტეტმა

სპეციალური თავი დაუთმო იმ სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვან ბრალდებულ და მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის სტანდარტებთან.

წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სტანდარტი, რომელიც თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით არის შემუშავებული, განხილულ უნდა იქნეს ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად, როგორებიცაა: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები) და გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები).

წამების პრევენციის კომიტეტი მხარს უჭერს ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტებში ასახულ ერთ-ერთ კარდინალურ პრინციპს, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკანასკნელი ზომა, ისიც მაქსიმალურად მცირე ვადით.

წამების პრევენციის კომიტეტი მიუთითებს საშიშროებაზე, რომლის მიხედვითაც, ადამიანმა შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლოს ადაპტირება სოციალურ გარემოში. ამიტომ კომიტეტი რეკომენდაციას უწევს არასრულწლოვნის რეაბილიტაციის მიმართ მრავალდარგობრივ მიდგომას, რაც გულისხმობს ისეთი პროფესიონალების ჩართვას საქმეში, როგორებიც არიან მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ფსიქოლოგები. ამ მხრივ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვნები განათლების, სპორტის, პროფესიული განათლების, დასვენებისა და სხვა მიზნობრივი სრული პროგრამებით. პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს ფიზიკური კულტურა უნდა შეადგენდეს.

კარგად დაგეგმარებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ცენტრი უზრუნველყოფს პოზიტიურ და პერსონალიზებულ პირობებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის. წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულე-

ბაში თავისუფლებააღკვეთილებისთვის ინდივიდუალური და კარგად ორგანიზებული საცხოვრებელი პირობების მოწყობას. საკანი უნდა იყოს სათანადო სიდიდის. იგი კარგად უნდა იყოს განათებული და კარგად ნიავდებოდეს. კარგად უნდა იყოს მოწყობილი საძინებელი და საცხოვრებელი პირობები. საკანი ლამაზად უნდა იყოს მორთული, რაც ხელს შეუწყობს ვიზუალური სტიმულის შექმნას. უსაფრთხოების წესების ფარგლებში არასრულწლოვნებს უნდა მიენიჭოთ უფლება, ფლობდნენ პირადი ნივთების გონივრულ რაოდენობას.

საერთაშორისო მოთხოვნები ასევე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოპყრობის ფორმა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული არასრულწლოვნის ინდივიდუალურ უფლებებს. მოპყრობასთან დაკავშირებული გეგმები და პროგრამები არ უნდა არღვევდნენ არასრულწლოვნების მიმართ სამართლიანად მოპყრობის პრინციპს.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნისთვის კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანის დაღის დასმა, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მაგალითად, განათლების მოწმობიდან არ უნდა ჩანდეს, რომ იგი გაცემულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია უნდა განადგურდეს.

წამების პრევენციის კომიტეტი საკუთარი მანდატიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონახულებისას ცდილობს გამოარკვიოს ხდება თუ არა არასრულწლოვანთა მიმართ განზრახ ცუდად მოპყრობა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა უმრავლესობაში, რომელთაც კომიტეტი მოინახულებს, აღნიშნული დარღვევა შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

თუმცა, სრულწლოვნებისგან განსხვავებით, სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოში არასრულწლოვნების მიმართ განზრახ ცუდად მოპყრობის უფრო მაღალი რისკი პოლიციის განყოფილებებშია, ვიდრე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ამას ადასტურებს ის ფაქტები, რომლებიც კომიტეტმა მოიპოვა პოლიციის ოფიცრების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ წამებისა და ცუდად მოპყრობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით,

წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთისას ადამიანის (მათ შორის, არასრულწლოვნის) მიმართ წამებისა და ცუდად მოპყრობის რისკი იზრდება. შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილ ნებისმიერ პირს (არასრულწლოვნების ჩათვლით) თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე უნდა ჰქონდეს სამი ძირითადი უფლება: 1) ახლო ნათესავს ან მესამე პირს აცნობოს თავისუფლების აღკვეთის შესახებ; 2) ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამცველით სარგებლობა; და 3) უფლება უნდა ჰქონდეს შეამოწმოს ექიმმა.

წამების პრევენციის კომიტეტის გამოცდილება მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ ცუდად მოპყრობა უფრო ხშირად ძალადობისგან არასრულწლოვნის სათანადო დაცვის შეუძლებლობაა, ვიდრე ტანჯვის გამოწვევის წინასწარი განზრახვა. მსგავსი ძალადობის პრევენციის მიზნით, ნებისმიერ სტრატეგიაში უმნიშვნელოვანესი ელემენტია იმ პრინციპის უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებულნი. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არ ჩამოყალიბდეს დომინანტობისა და ექსპლუატაციის პირობები.

წამების პრევენციის კომიტეტის მოსაზრებით, ორივე სქესის წარმომადგენელი პერსონალი არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში წარმოადგენს ცუდი მოპყრობისგან დაცვის ერთ-ერთ ფორმას. მამრობითი და მდედრობითი სქესის პერსონალის არსებობას შეუძლია ხელი შეუწყოს ნორმალური გარემოს შექმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

შერეული სქესის პერსონალის არსებობა საჭიროა თანამშრომლების განაწილების პროცესში ისეთი გენდერულად მგრძნობიარე ფუნქციის განხორციელებისას, როგორიცაა ჩხრეკა. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ, ასაკის მიუხედავად, ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება გაჩხრიკოს მხოლოდ იმავე სქესის თანამშრომელმა. თუ ჩხრეკის დროს საჭიროა თავისუფლებააღკვეთილი პირის გაშიშვლება, აუცილებელია ეს მოხდეს საპირისპირო სქესის პერსონალისგან ფარულად. ეს პრინციპი განსაკუთრებით უნდა იქნეს დაცული არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან.

სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგად, წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციამ გამოავლინა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან, ღიად ატარებს ხელკეტებს. მსგავსი პრაქტიკა ხელს არ უწყობს პერსონალსა და თავისუფლებააღკვეთილ პირებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მიზანშეწონილია, რომ დაწესებულების პერსონალმა საერთოდ არ ატაროს ხელკეტები. თუ, მაინცდამაინც, ეს შეუძლებელია, წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, რომ ხელკეტები დაფარულ იქნეს თავისუფლებააღკვეთილთა მხედველობისგან.

წამების პრევენციის კომიტეტის მოსაზრებით, ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი განთავსებულ უნდა იქნეს მათი ასაკისთვის დამახასიათებელ, სპეციფიკურად დაგეგმარებულ თავისუფლების აღკვეთის ცენტრებში, სადაც მათთვის უზრუნველყოფილი იქნება მათი საჭიროებების შესაბამისი რეჟიმი და დასაქმებული იქნება ახალგაზრდებთან მუშაობისთვის მომზადებული პერსონალი. უფრო მეტიც, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე მზრუნველობა მოითხოვს სპეციალურ მცდელობას გრძელვადიანი სოციალური შეუთავსებლობის რისკების შესამცირებლად. აღნიშნული უკავშირდება მულტიდისციპლინურ მიდგომას, რაც მოიცავს სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა (მასწავლებლები, ტრენერები და ფსიქოლოგები) უნარ-ჩვევების ერთობლიობას, არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ, უსაფრთხო საგანმანათლებლო და სოციოთერაპიული გარემოს ფარგლებში.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა სხვადასხვა ევროპულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყურადღება გაამახვილა თავისუფლებააღკვეთილი ქალების, მათ შორის, არასრულწლოვანი გოგონების, პირად ჰიგიენურ საჭიროებებზე. ამ კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილ პირთა სანიტარიული და დასაბანი სათავსოებით, ასევე სანიტარიული პირსახოცებით უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება თავისუფლებააღკვეთილი ქალებისა და არასრულწლოვანი გოგონების აღნიშნული საშუალებებით უზრუნველყოფა, ეს ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ტოლფასი იქნება.

მართალია, წინასწარ განზრახული აქტივობის არარსებობა ზიანის მომტანია ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის, მაგრამ აღნიშნული განსაკუთრებულ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვნებზე, რომელთაც ფიზიკური აქტივობისა და ინტელექტუალური სტიმულირების განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვთ. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები უნდა სარგებლობდნენ განათლების, სპორტის, პროფესიული დახელოვნების, რეკრეაციისა და სხვა მიზანმიმართული აქტივობების სრული პროგრამით. ფიზიკურ განათლებას ამ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებააღკვეთილ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს ჰქონდეთ წვდომა აღნიშნულ აქტივობებზე ისეთივე პირობებში, როგორიც აქვთ არასრულწლოვან ვაჟებსა და ახალგაზრდა მამაკაცებს. წამების პრევენციის კომიტეტი თავისი საქმიანობისას ხშირად აწყდებოდა სიტუაციებს, როდესაც თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან ქალებს სთავაზობდნენ მათთვის სტერეოტიპულ აქტივობებს (მაგალითად, კერვა ან ქარგვა), მაშინ როდესაც არასრულწლოვან მამაკაცებს შედარებით პროფესიული ხასიათის ტრენინგებში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტმა გამოხატა თავისი მხარდაჭერა პეკინის წესების 26.4 წესის მიმართ, იმ მხრივ, რომ საჭიროა მცდელობა, რათა თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვანმა ქალებმა, გამონაკლისის გარეშე, მიიღონ არანაკლები ზრუნვა, დაცვა, ხელშეწყობა, დამოკიდებულება და ტრენინგი, ვიდრე თავისუფლებააღკვეთილმა არასრულწლოვანმა მამაკაცებმა.

კომიტეტის მიერ მონახულებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების რეჟიმების გარკვეული ნაწილი მოიცავდა ზოგად მასტიმულირებელ სქემებს, რომელთა მიხედვითაც, არასრულწლოვნებს კარგი ყოფაქცევისათვის შეეძლოთ ესარგებლათ დამატებითი პრივილეგიებით. წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბაზისო დონის რეჟიმის შინაარსს, რომელიც არასრულწლოვნებს ზემოხსენებულ სქემას სთავაზობს. მოცემული სქემა, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად შეუძლიათ მათ პროგრესირება ან რეგრესირება, მოიცავს ადეკვატურ გარანტიებს პერსონალის

თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების თავიდან ასაცილებლად.

თავისუფლების აღკვეთის უზრუნველყოფა და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე ზრუნვა განსაკუთრებულად რთული საკითხია. პერსონალი, რომელსაც დაევალება ამგვარი უფლებამოსილებების განხორციელება, სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული მათი პიროვნული თვისებებისა და აღნიშნული ასაკის ჯგუფთან მუშაობის და მათი კეთილდღეობის დაცვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ისინი მოწოდებული უნდა იყვნენ იმუშაონ ახალგაზრდებთან და შესწევდეთ არასრულწლოვანთა ხელმძღვანელობისა და მოტივირების უნარი. ყველა კატეგორიის პერსონალს, მასაც კი, ვინც მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის უშუალო აღსრულებაზეა პასუხისმგებელი, უნდა ჩაუტარდეს პროფესიული ტრენინგი როგორც მუშაობის საწყის, ისე საქმიანობის განხორციელების ეტაპებზე. მათ უნდა მიიღონ შესაბამისი გარე დახმარება და საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებაზე ზედამხედველობა.

დამატებით ყურადსაღებია, რომ არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ცენტრების მართვა უნდა დაევალოთ განსაკუთრებული ლიდერობის დამახასიათებელი უნარებით აღჭურვილ პირებს, რომელთაც ძალისხმევა შესწევთ ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება მათ წინაშე თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა და დაწესებულების პერსონალის მიერ დაყენებულ კომპლექსურ და კონკურენტულ მოთხოვნებზე.

არასრულწლოვნის ურთიერთობა ოჯახის წევრებთან მიჩნეულია რეაბილიტაციის ხელშემწყობ უმნიშვნელოვანეს ელემენტად. გარე სამყაროსთან აქტიური კონტაქტის განხორციელება განსაკუთრებით შედეგიანია თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის, რომელთაგან უმეტესობას შეიძლება ჰქონდეს ემოციურ დეპრივაციასთან ან სოციალური უნარების არქონასთან დაკავშირებული ქცევის პრობლემები. წამების პრევენციის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება არასრულწლოვანს აეკრძალოს კონტაქტი გარე სამყაროსთან ან უარი ეთქვას მასზე, დისციპლინური სასჯელის მოტივით.

არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ დისციპლინური სანქციების გამოყენებასთან დაკავში-

რებით, წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს არასრულწლოვანთა სამარტოო საკნის მსგავს პირობებში მოთავსებასთან დაკავშირებით, რადგან ამან შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მათ ფიზიკურ ან/და გონებრივ მდგომარეობაზე. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამგვარი სასჯელის გამოყენება შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც მხოლოდ უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევა. თუ არასრულწლოვნები სხვა არასრულწლოვნებისგან განცალკევებით არიან მოთავსებულნი, ეს ძალიან მოკლე დროით უნდა გაგრძელდეს და ყველა შემთხვევაში არასრულწლოვანს გარანტირებული უნდა ჰქონდეს კონტაქტი ადამიანებთან, საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა და ყოველდღიურად უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, ერთსაათიანი საკნის გარეთ ვარჯიშის უფლებით.

ყველა დისციპლინური პროცედურა, რომელიც არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ვრცელდება, უნდა ხასიათდებოდეს ფორმალური დაცვის უზრუნველყოფით და სათანადო აქტით ფორმდებოდეს. კერძოდ, არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება ეცნობოს იმ დისციპლინური დარღვევის შესახებ, რომელიც მას ედება ბრალად და უნდა შეეძლოს ზემდგომი თანამდებობის პირის წინაშე მისთვის დაკისრებული ნებისმიერი სანქციის გასაჩივრება. სრული ინფორმაცია ამგვარი სანქციების შეფარდებაზე უნდა აისახოს დოკუმენტურად სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ინახება არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ეფექტიანი გასაჩივრებისა და ინსპექტირების პროცედურები ცუდად მოპყრობისგან არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის მთავარი საშუალებაა. არასრულწლოვნებს უფლება უნდა ჰქონდეთ საჩივრით მიმართონ როგორც შიდა, ისე გარეთ მდებარე ადმინისტრაციულ ორგანოებს და შეეძლოთ კონფიდენციალური კონტაქტი ჰქონდეთ შესაბამის თანამდებობის პირთან.

წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დამოუკიდებელი ორგანოს (მაგალითად, ვიზიტის განმახორციელებელი კომიტეტი ან მოსამართლე) მიერ რეგულარული მონახულების მნიშვნელობას. აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს კომპეტენციაში უნდა შედიოდეს მიიღოს არასრულწლოვ-

ნის საჩივარი და, თუ საჭიროა, რეაგირება მოახდინოს მასზე და შეამოწმოს საცხოვრებელი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სხვა შენობა-ნაგებობები.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შეფასებისას წამების პრევენციის კომიტეტმა დაადგინა რამდენიმე ზოგადი კრიტერიუმი თავისი საქმიანობის სახელმძღვანელოდ: ა) ექიმის ხელმისაწვდომობა; ბ) თანასწორობის პრინციპი ჯანმრთელობაზე ზრუნვისას; გ) პრევენციული ჯანმრთელობის დაცვა; დ) პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა; ე) პროფესიული დამოუკიდებლობა და პროფესიონალური კომპეტენცია. აღნიშნული კრიტერიუმები თანაბრად შეესაბამებიან არასრულწლოვანთა თავისუფლების დაწესებულებებს. თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სპეციფიკურ სამედიცინო საჭიროებებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის გაწეული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება წარმოადგენს მზრუნველობის მულტიდისციპლინური (სამედიცინო-ფსიქოსოციალური) პროგრამის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ახლო კოორდინაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ჯანმრთელობის დაცვაზე მზრუნველ გუნდსა (ექიმები, ექთნები, ფსიქოლოგები და სხვ.) და ამავე დაწესებულების სხვა თანამშრომლებს (სოციალური მუშაკები და მასწავლებლები) შორის, რომელთაც მუდმივი კონტაქტი აქვთ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან. აღნიშნულის მიზანი უნდა იყოს დარწმუნება იმაში, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთათვის გაწეული სამედიცინო დახმარება უნდა წარმოადგენდეს მათი მხარდაჭერისა და თერაპიის განუყოფელ ნაწილს.

ასევე მიზანშეწონილია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მზრუნველობის პროგრამის შინაარსი იყოს დაწერილი და ხელმისაწვდომი ყველა იმ თანამშრომლისათვის, რომელთაც შეიძლება მოეთხოვოთ აღნიშნულის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

ყველა თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი, რაც შე-

იძლება, სწრაფად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყვანისთანავე, უნდა გამოიკითხოს და ფიზიკურად შემოწმდეს ექიმის მიერ. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოკითხვა და ფიზიკური დათვალიერება უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყვანის დღეს. თუმცა ახლად მიყვანილი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის პირველი შეხვედრა სამედიცინო პერსონალთან განხორციელდება მაღალკვალიფიციური მედდის მეშვეობით, რომელიც გამოკითხვისა და ფიზიკური დათვალიერების შედეგებს აცნობებს ექიმს.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული გამოკითხვა და ფიზიკური დათვალიერება სათანადოდ ჩატარდება, მიღებისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმება საშუალებას მისცემს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სამედიცინო პერსონალს გამოავლინოს ახალგაზრდები ჯანმრთელობის პოტენციური პრობლემებით (მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარების მიდრეკილების ან თვითმკვლელობის ტენდენციის მქონე პირები). მსგავსი პრობლემების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა ხელს შეუწყობს ეფექტიანი პრევენციული ზომების გატარებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოქმედ მზრუნველობის სამედიცინო-ფსიქოსოციალური პროგრამის ფარგლებში.

უმნიშვნელოვანესია არასრულწლოვანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიერ კონფიდენციალურ ვითარებაში ექიმის მონახულება ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა რეჟიმი აქვთ მათ შეფარდებული (დისციპლინური დარღვევის ჩათვლით). სხვადასხვა სამედიცინო პროფესიის ექიმების, მათ შორის, კბილის ექიმის, ხელმისაწვდომობა ასევე გარანტირებული უნდა იყოს.

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის ამოცანა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ნებისმიერ ადგილას არ უნდა იყოს შეზღუდული ავადმყოფ თავისუფლებააღკვეთილ პირებზე ზრუნვით; იგი ასევე აღჭურვილი უნდა იყოს სოციალური და პრევენციული მედიცინის ფუნქციით. აღნიშნულთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტი ხაზს უსვამს არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებულ ორ ასპექტს: ა) კვებას; და ბ) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ განათლების მიცემას.

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის მომზადებული საკვების ხარისხის შემოწმებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჯერ ვერ მიაღწიეს ზრდის სრულ პოტენციალს. ამგვარ შემთხვევაში, არაადეკვატური კვების შედეგები შეიძლება ცხადი გახდეს უფრო სწრაფად და ჰქონდეს უფრო სერიოზული შედეგები, ვიდრე მათთვის, ვინც მიაღწია ფიზიკურ ზრდასრულობას.

ფართოდაა აღიარებული, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს ახასიათებთ რისკის მატარებელ ქცევაში ჩართულობის ტენდენცია, განსაკუთრებით ეს ეხება ნარკოტიკულ და ალკოჰოლურ საშუალებებსა და სექსს. შესაბამისად, ახალგაზრდებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის განათლების უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. მსგავსი პროგრამა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგებისა და გადამდები დაავადებების რისკების თაობაზე.[375]

375 The CPT Standards – Substantive sections of the CPT's Reports, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2009, p. 72-78. http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf. [20.04.2025].

თავი მეექვსე

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

1. შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2015 წლის 1 ივნისს, რომლის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობაში ახლებურად ჩამოყალიბდა მთელი რიგი ნორმები. ასე მაგალითად, შემოვიდა სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა, რომელიც მანამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობდა; შეიცვალა ჯარიმის დანიშვნის წესი; ახლებურად ჩამოყალიბდა არასრულწლოვნის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის წესი და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

2016 წლის შემდეგ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მიერ არაერთი განაჩენი იქნა გამოტანილი. ყოველი სისხლის სამართლის საქმის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ითქმის მაშინ, როდესაც საკითხი არასრულწლოვნის მიმართ საქმის განხილვას ეხება. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ზოგჯერ მოსამართლეები შეცდომას უშვებენ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაკეთება, რათა ანალოგიური ხასიათის შეცდომები მომავალში თავიდან იქნეს აცილებული.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი და განზოგადებული იქნა არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენები.

2. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა

- მცხეთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 05 ივლისის განაჩენით, დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ი. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა იმპერატიულად მიუთითებს არასრულწლოვნისათვის ჯარიმის გამოყენების წინაპირობაზე, რაც არის მისი დამოუკიდებელი შემოსავალი. ი. კ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენით არ ირკვევა, ჰქონდა თუ არა არასრულწლოვან ი. კ.-ს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებული იყო ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე, რაც სასამართლოს არ განუხორციელებია.

- გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 აგვისტოს განაჩენით, არასრულწლოვანი ს. რ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 1000 (ათასი) ლარი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ არასრულწლოვანმა ს. რ.-მ ჩაიდინა ყაჩაღობა (სადგომში უკანონოდ შეღწევით, ჯგუფურად), რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

მართალია, სასამართლო ვალდებულია არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, მაგრამ

აღსანიშნავია ისიც, რომ ამასთან დანიშნული სასჯელი უნდა იყოს პროპორციული, როგორც არასრულწლოვნის პიროვნების, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის. განსახილველ შემთხვევაში, არასრულწლოვანმა ს.რ.-მ სხვა არასრულწლოვნებთან ერთად ჩაიდინა ძალადობრივი დანაშაული, რომელიც მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ვფიქრობთ, დანაშაულის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისთვის დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, არ იყო ადეკვატური და პროპორციული. ამასთან, ჯარიმის დანიშვნისას ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი არის დანაშაულის სიმძიმე. რა თქმა უნდა აღსანიშნავია ისიც, რომ არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული სასჯელი არ უნდა იყოს სადამსჯელო ხასიათის და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ გამოიყენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას, სასამართლოს შეეძლო დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა მინიმალური ვადით ან ემსჯელა სხვა ალტერნატიულ სასჯელზე (მაგ. შინაპატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა). ამასთან, შესაძლებელი იყო, დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად. იმ შემთხვევაში, თუკი არასრულწლოვანი დაარღვევდა პირობითი მსჯავრის პირობებს, შემდეგ მოხდებოდა დანიშნული სასჯელის აღსრულება.

3. არასრულწლოვნის მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა

- რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის განაჩენით, გ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ცრუ დასმენა) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათის ვადით. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შემცირდა 1/3-ით და განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათის ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა არასრულწლოვნისათვის დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემცირებას არ ითვალისწინებს. ამკ-ს 73-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც გამოყენებული აქვს მოსამართლეს, ეხება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემცირებას. მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემცირებას ითვალისწინებს კანონმდებლობა. შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი არასრულწლოვნისათვის დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეემცირებინა ამკ-ს 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

- ანალოგიური ხასიათის შეცდომა გვხვდება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 18 მარტის განაჩენში. კერძოდ, აღნიშნული განაჩენით, ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ძალადობა) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 80 საათის ვადით. დანიშნული სასჯელი, როგორც 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, შეუმცირდა ¼ -ით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 60 საათის ვადით.

აღნიშნულ შემთხვევაშიც, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი არასრულწლოვნისათვის დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეემცირებინა, ვინაიდან არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. ნორმა (ამკ-ს 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რომელიც გამოიყენა მოსამართლემ, ეხება მხოლოდ ვადიან თავისუფლების აღკვეთას.

- სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი საქმეებიც, სადაც არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის საკითხი სწორად არის გადაწყვეტილი. ასე მაგალითად: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 8 აგვისტოს განაჩენით, გ. მ., ნ. ქ. და გ. დ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-

ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 195 საათის ვადით. პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მთლიანად გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 180-დან 200 საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი არ იყო არასრულწლოვნებისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ენიშნება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, ხოლო მათ ჩადენილი ჰქონდათ ნაკლებად მძიმე დანაშაული. სასამართლო ვერც გამასწორებელ სამუშაოს დაუნიშნავდა მათ, რადგან აღნიშნული სასჯელის არასრულწლოვნის მიმართ, არ გამოიყენება. შესაბამისად, სასამართლომ სასჯელის სახედ განსაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მკაცრი სადამსჯელო მიდგომა არ შეესაბამება არასრულწლოვნის ინტერესებს, ამასთან, გაითვალისწინა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, მათი პიროვნული მახასიათებლები, კერძოდ, არასრულწლოვნები აღიარებდნენ და ინანიებდნენ ჩადენილ დანაშაულს, არ იყვნენ ნასამართლევნი, მათ სასჯელის სახედ განუსაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ვფიქრობთ, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არის სამართლიანი და შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

4. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა

- თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 18 ნოემბრის განაჩენით, ს. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლითა და 4 (ოთხი) თვით, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე, შეუმცირდა ¼-ით და საბოლოოდ ს. კ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე განესაზღვრა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 (ერთი) წელი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან/და მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ს. კ.-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ განესაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული დანაშაული ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. ამდენად, ის მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობიდან გამომდინარე კი, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, დაუშვებელია არასრულწლოვნის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ენიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. არასრულწლოვნის მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ, თუ

ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან/და მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. მოცემულ შემთხვევაში, ს. კ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენით არ ირკვევა, რომ მის მიმართ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, ან თავს არიდებდა არასაპატიმრო სასჯელს. შესაბამისად, ს. კ.-ს მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

ამასთან, მართალია სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული სასჯელი განსაზღვრა პირობით მსჯავრად, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს დანიშნული სასჯელის აღსრულება. შესაბამისად, ს. კ.-ს მიმართ სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა დაუშვებელი იყო.

- რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განაჩენით, ნასამართლობის არმქონე ქ. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა - 13 წლით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, შეუმცირდა 1/3-ით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა - 8 წლით, 6 თვითა და 7 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 აპრილის განჩინებით, მსჯავრდებულ ქ. ო.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჯ.-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელი.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვან ქ. ო.-ს მიმართ სასჯელი დანიშნულია არასწორად, კერძოდ, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შემცირებულია 1/3-ით და საბოლოო სასჯელად დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, 6 თვით და 7 დღით.

13 წლის 1/3 არის 8 წელი და 8 თვე. აღნიშნულზე არცერთი ინ-სტანციის სასამართლოს არ უმსჯელია.

5. არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნა

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 20 ოქტომ-ბრის განაჩენით, ს. მ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც შეეცვალა პირო-ბითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 3 წელი. მოსამართლე აღნიშნული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს, რომ ს. მ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაე-წყოს 2019 წლის 28 მაისიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ს. მ.-ს რეა-ლური სასჯელი არ დანიშვნია, მას დაენიშნა პირობითი მსჯავრი და შესაბამისად, გამოსაცდელი ვადა. პირობითი მსჯავრი არ არის სასჯელის სახე, ის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებაა, რომელიც გამოსაცდელ ვადას უსათუოდ მოითხოვს. შესაბამი-სად, პირობითი მსჯავრის განსაზღვრის დროს იწყება გამოსაც-დელი ვადის ათვლა და სასჯელის მოხდა არ ხდება (მსჯავრდე-ბული სასჯელს არ იხდის). ამდენად, არასწორია მოსამართლის მითითება სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით. სასამართლოს განაჩენში უნდა მიეთითებინა მხოლოდ გამოსაცდელი ვადის ათვლასთან დაკავშირებით.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 ნოემბრის განაჩენით, ბრა-ლდებული ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სის-ხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის პირველის ნაწი-ლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექ-სის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეუმცირდა ¼-ით და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის, სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუ-ხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან

განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან/და მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ არასრულწლოვან ა. გ.-ს ჩადენილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის პირველის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, შინაპატიმრობას ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე ვადით. როგორც ვხედავთ, აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კი, კრძალავს ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანი თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს, ან მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არის გამოტანილი. განსახილველ შემთხვევაში, არასრულწლოვან ა. გ.-ს ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაული. შესაბამისად, დაუშვებელი იყო მის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ არასრულწლოვანს თავი არ აურიდებია არასაპატიმრო სასჯელისათვის და არც წარსულში ყოფილა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, სასამართლოს არასრულწლოვნისათვის სასჯელის სახედ და ზომად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არ უნდა გამოეყენებინა. მართალია საბოლოოდ, ა. გ.-ს დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრის დანიშვნის წინაპირობა არის სასჯელის დანიშვნა, რაც მოცემულ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა იყო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდესის 19, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ითვალისწინებს ჯარიმას და შინაპატიმრობას. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყო სასჯელის სახედ დაენიშნა ჯარიმა ან შინაპატიმრობა და აღნიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ არასრულწლოვან ა. გ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის განხილვა შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის ჭრილში.

კერძოდ, მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: არასრულწლოვანი ა. გ. ბათუმში მდებარე მაღაზიაში ცდილობდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა 37 ლარის ღირებულების მაისურს, თუმცა დაცვის თანამშრომლის მიერ იქნა შეჩერებული. კარგი იქნებოდა, სასამართლოს ემსჯელა მცირემნიშვნელოვან ქმედებაზე. კერძოდ, ხომ არ იყო სახეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კრიტერიუმები: მცირემნიშვნელოვანი ქმედება და უმნიშვნელო ზიანი. რამდენად მიზანშეწონილი იყო აღნიშნული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება? ვფიქრობთ, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

6. არასრულწლოვნისათვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა

- ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 მარტის განაჩენით, გ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

სასამართლო გ. მ.-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში მიუთითებს, რომ გ. მ.-ს მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა, შესაბამისად, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მუხლის სანქციით გათვალისწინებულზე დაბალი სასჯელის დანიშვნას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის შესაბამისად, იმისათვის, რომ არასრულწლოვანს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი დაენიშნოს, აუცილებელია ორი წინაპირობის ერთდროულად არსებობა: 1) არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ უნდა იყოს; 2) სახეზე უნდა გვქონდეს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. სასამართლო კი, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ არასრულწოვნის მიმართ არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და შემამსუბუქებელ გარემოებებზე არ მსჯელობს. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი გამოეყენებინა ამკ-ს 76-ე მუხლი (კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი), თუ სახეზე იქნებოდა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობაც, რაც გ. მ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენით არ იკვეთება. შესაბამისად, არ არსებობდა ამკ-ს 76-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 22 მარტის განაჩენით, ი. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ და მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტებით (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და სახეზე გვაქვს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო განაჩენში აღნიშნავს, რომ ი. მ. ნაწილობრივ გამოხატავს სინანულს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო. ამასთან, სასამართლო სასჯელის დანიშვნისას მიუთითებს, რომ ი. მ. წარსულში არ ყოფილა ნასამართლევი. დამატებით, სასამართლოს უნდა ემსჯელა იყო თუ არა სახეზე შემამსუბუქებელ გარემოე-

ბათა ერთობლიობა (აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება) და არსებობდა თუ არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით, არასრულწლოვანი დ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად დაენიშნა კანონით გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 50 საათის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მული სასჯელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს, შინაპატიმრობას და თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული მუხლი სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი, სასჯელის სახედ განესაზღვრა აღნიშნული სასჯელი, თუ სახეზე იქნებოდა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა და არასრულწლოვანი წარსულში ნასამართლევი არ იქნებოდა. მართალია, არასრულწლოვანი წარსულში არ ყოფილა ნასამართლევი, თუმცა საქმის მასალებით სახეზე არ გვქონდა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში სასამართლო მიუთითებს დ. ა.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, დანის გამოყენების გამო, მის გულწრფელ სინანულს. სხვა რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება არ იკვეთება. ვინაიდან, სახეზე არ იყო შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გამოეყენებინა ამკ-ს 76-ე მუხლი (დაენიშნა კანონით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელი). აღნიშნული განაჩენი სადავოა კვალიფიკაციის ნაწილშიც.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, დაზარალებული და მისი თანმხლები ორი პირი ცემდა ბრალდებულს. ეს უკანასკნელი იყო მიწაზე გულაღმა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა თავის დაცვას. სასამართლოს

შეფასებით, სამი პირის მხრიდან ერთი პირის ცემა საფრთხის შემცველია და დაზარალებულის ეს ქმედება ბრალდებულის ჯანმრთელობისთვის გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდა. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ბრალდებულს ჰქონდა დაზარალებულის და სხვა დაუდგენელი ორი პირის მხრიდან მომდინარე აგრესიისგან დაცვის საჭიროება და მოგერიების ვითარება, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მასზე თავდასხმა არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს ბრალდებულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, რომ მოსაგერიებლად დაზარალებულის მიმართულებით განეხორციელებინა დანის დარტყმები სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილზე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის ქმედება წარმოადგენდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას.

საინტერესოა რატომ ჩათვალა სასამართლომ, რომ სახეზე იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება მაშინ, როდესაც ბრალდებულს სცემდა სამი ადამიანი, რის საპასუხოდაც, თავის დაცვის მიზნით, გამოიყენა დანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოდ მსჯელობს პროფ. ო. გამყრელიძე. იგი წერს: ,,მაგალითად, თავდამსხმელი ფიზიკურად აშკარად ძლიერია და შეუძლია მოახრჩოს მომგერიებელი, ან ერთ კაცს რამდენიმე კაცი ესხმის თავს. ასეთ დროს მომგერიებელს უფლება აქვს თავდაცვისა და თავდასხმის საშიშროების აშკარა შეუსაბამობა იარაღის მეშვეობით გაათანაბროს. აქ მოგერიების ფარგლების გადამეტება არ გვექნება“.[376]

ვფიქრობთ, ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება სავსებით შესაძლებელი იყო შეფასებულიყო აუცილებელ მოგერიებად.

- თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 აპრილის განაჩენით, გ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე, ძირითადი სასჯელის სახით, დაენიშნა კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 40 საათი.

376 იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013, გვ. 304.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას 160-დან 220 საათამდე. სასამართლომ აღნიშნული დანაშაულისათვის არასრულწლოვანს დაუნიშნა კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი. არასრულწლოვნისათვის კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის უფლება მოსამართლეს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარსულში არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ არის და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა (ამკ-ს 76-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, წარსულში არასრულწლოვნის მიმართ არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, სასამართლომ ზემოაღნიშნულ განაჩენში მიუთითა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული არ იყო ნასამართლევი, აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს (სხვა რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება განაჩენიდან არ იკვეთება), რის გამოც, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მისთვის კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სახელდებით არ არის მითითებული სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებები. მოსამართლემ თვითონ უნდა განსაზღვროს თუ რა შემთხვევა ჩათვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად. წარსულში ნასამართლობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა, ვინაიდან იგი ხაზს უსვამს პირის მომეტებულ საშიშროებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წარსულში ნასამართლევი არ არის, აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოება ვერ იქნება, ვინაიდან ნასამართლობის არქონა არაფერს ამსუბუქებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოსამართლემ განაჩენში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად არ მიუთითოს ის, რომ მსაჯვრდებული წარსულში ნასამართლევი არ არის.

რაც შეეხება აღიარებას და მონანიებას, ხომ არ არის დანაშაულის აღიარება და მონანიება ერთი შემამსუბუქებელი გარემოება? თუ ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ ისინი? ჩვენი აზრით, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა დანაშაულის აღიარება და

მონანიება იყო თუ არა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, დაენიშნა კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი. კარგი იქნებოდა, თუ მოსამართლე აღნიშნულ გარემოებებზე გაამახვილებდა ყურადღებას და იმსჯელებდა განაჩენში.

7. არასრულწლოვნისათვის დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 7 ივნისის განაჩენით ს. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 1 (ერთი) წლის ვადით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 1 (ერთი) წლის ვადით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ს. მ.-ს ქურდობის სამი ეპიზოდისთვის სასჯელის სახედ ცალ-ცალკე განესაზღვრა შინაპატიმრობა. ქურდობის ორი ეპიზოდისთვის დაენიშნა 1-1 წლით შინაპატიმრობა, ხოლო ქურდობის ერთი ეპიზოდისთვის - 6 თვით შინაპატიმრობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს საბოლოოდ არ უმსჯელია დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნაზე. ს. მ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენიდან არ ირკვევა, საბოლოოდ რა ფორმით უნდა მოიხადოს მან სასჯელი

(თითოეული დანაშაულისათვის დანიშნული შინაპატიმრობა ცალ-ცალკე უნდა მოიხადოს?). სასამართლოს უნდა ემსჯელა სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებაზე და საბოლოოდ, ს. მ.-ს-თვის უნდა დაენიშნა შინაპატიმრობა 1 წლის ვადით.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განაჩენით, დ. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით - შინაპატიმრობა 6 თვით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის - თავისუფლების აღკვეთა 9 თვით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ხ.-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ დ. ხ. გასამართლებულ იქნა დანაშაულთა ერთობლიობით. კერძოდ, დ. ხ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის მიესაჯა შინაპატიმრობა, ხოლო ყაჩაღობისთვის და ქურდობისთვის - თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად. საბოლოოდ, ყაჩაღობისთვის განსაზღვრულმა სასჯელმა (თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით) შთანთქა ქურდობისთვის განსაზღვრული სასჯელი (თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით) და დ. ხ.-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. რაც შეეხება ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის დანიშნულ სასჯელს - შინაპატიმრობას 6 თვის ვადით, აღნიშნული სასჯელი განესაზღვრა დამოუკიდებლად. სასამართლოს უფლება არ ჰქონდა საბოლოოდ ცალ-ცალკე დაეტოვებინა თავისუფლების აღკვეთა,

რომელიც ჩაეთვალა პირობითად და შინაპატიმრობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მიერ უნდა მომხდარიყო შინაპატიმრობის შთანთქმა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულზე არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია (საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო).

8. არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 2 ნოემბრის განაჩენით, ბ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 9 თვისა და 6 დღის ვადით. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დაკავებაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2022 წლის 26 მარტიდან 2022 წლის 28 მარტის ჩათვლით), სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 9 თვის ვადით.

ბ. ს.-ს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2022 წლის 26 მარტს, დაახლოებით, 14:45 საათზე, სანადიროდ მყოფმა არასრულწლოვანმა სახლიდან დაუკითხავად წაღებული მამის კუთვნილი, არარეგისტრირებული ორლულიანი სანადირო თოფიდან შემთხვევით გავარდნისას გულმკერდის არეში, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენა თანასოფლელ არასრულწლოვანს, რომელიც მიყენებული დაზიანების შედეგად საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობის ერთი დღე - შინაპატიმრობის ორი დღე. განსახილველ შემთხვევაში, არასრულწლოვანი ბ. ს. პატიმრობაში იმყოფებოდა 2 დღის განმავლობაში. შესაბამისად, პატიმრობის 2 დღე შეესაბამება შინაპატიმრობის 4 დღეს. სასამართლომ კი, მოცემულ შემთხვევაში, პატიმრობის 2 დღე შეუსაბამა შინაპატიმრობის 6 დღეს, ვინაიდან 9 თვისა და 6 დღის ნაცვლად განსაზღვრა 9 თვით შინაპატიმრობა. მართალია აღ-

ნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არასრულწლოვნის სასარგებლოდ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები.

9. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დაუსაბუთებლობა

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები ზოგჯერ არ ასაბუთებენ არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 20 ოქტომბრის განაჩენში მითითებულია: ,,სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, დამდგარ შედეგს, მის პირად და ეკონომიკურ პირობებს, მის ქცევას, დანაშაულის მოტივს, მიზანს, წარსულ ცხოვრებას და ა. შ“. როგორც ვხედავთ, სასამართლო განაჩენში შემოიფარგლა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის ციტირებით და არ განმარტა სათითაოდ რაში გამოიხატებოდა თითოეული მათგანი. მაგალითად, რა იყო დანაშაულის მოტივი და მიზანი? რას გულისხმობდა მოსამართლე ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაში? როგორი იყო ქმედების განხორციელების ხერხი? როგორი წარსული ცხოვრება ჰქონდა დამნაშავეს და ა. შ. სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მითითებით. მოსამართლემ განაჩენში უნდა დაასაბუთოს რაში გამოიხატება თითოეული შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოება.

10. დასკვნა

კვლევის ფარგლებში შესწავლილი და განზოგადებული იქნა არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენები, რის შედეგადაც გამოიკვეთა არაერთი პრობლემური საკითხი, რასაც ადგილი აქვს სასამართლო პრაქტიკაში. ასე მაგალითად:

არასრულწლოვნისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას სასამართლოს არ უმსჯელია, ჰქონდა თუ არა არასრულწლოვანს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან, რაზეც მსჯელობა კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა. სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისთვის არასრულწლოვანს დაუნიშნა ჯარიმა, რაც არ არის გამართლებული დანაშაულის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი საქმეებიც, სადაც არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახედ დანიშნულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რომელიც შემცირებულია 1/3-ით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემცირების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამასთან, გვხვდება ისეთი საქმეც, სადაც არასრულწლოვანს დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და შემცირების შედეგად საბოლოო სასჯელი არასწორად აქვს განსაზღვრული.

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე არასრულწლოვანს დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მაშინ, როდესაც არასაპატიმრო სასჯელისათვის თავის არიდებას ან წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მართალია, საბოლოოდ აღნიშნული სასჯელი ჩათვლილია პირობითად, თუმცა აღსანიშნავია, რომ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დაენიშნა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

რამდენიმე საქმეზე არასრულწლოვანს დანიშნული აქვს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებიდან არ იკვეთება შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რა დროსაც შესაძლებელია აღნიშნული შეღავათის გამოყენება.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს არასწორად აქვს გამოანგა-

რიშებული სასჯელის ვადა. სასამართლოს არასრულწლოვნისათვის საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად დანიშნული აქვს შინაპატიმრობაც მაშინ, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სავალდებულოა სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენება. ამასთან, სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ აქვს დასაბუთებული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები.

ვფიქრობთ, აღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის დახვეწა-გაუმჯობესებას.

ბიბლიოგრაფია

- ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი, 2007.

- ი. აქუბარდია, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – www.dgstz.de. 2/2015.

- ი. აქუბარდია, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, გ. ნაჭყებიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016.

- გ. არსოშვილი/გ. მიქანაძე/მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015.

- ე. გაბრიჩიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მოქმედების სფერო, მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2017.

- თ. გაგოშიძე, გარდატეხის ასაკი (11–18 წლის მოზარდის ასაკობრივი განვითარება) - მშობლის მეგზური, https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/mar/readers/gagoshidze-gardatexis.pdf [01.05.2025].

- ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008.

- ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013.

- გ. გეთიაშვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, თსუ-ის სამართლის ჟურნალი, #2, 2016.

- გ. გიორგაძე (მთავ. რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, თბილისი, 2015.

- ნ. გობეჯიშვილი, რეფერირების ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, თსუ-ის სამართლის ჟურნალი #2, 2024.

- ი. ერცენი/ჯ. ჯავახიშვილი/ლ. ჯავახიშვილი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, თბილისი, 2020.

- ევროპული ციხის წესების კომენტარები [www.coe.int].

- ი. ვარძელაშვილი, პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება, გ. ნაჭყებიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016.

- ჰ. ზეჰრი, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, თბილისი, 2002.

- მ. ივანიძე/ნ.თოდუა/ი.ვარძელაშვილი/თ.მახარობლიძე, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017.

- კ. კორკელია, სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლო, თბილისი, 2025.

- თ. მახარობლიძე, შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გ. ნაჭყებიას 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016.

- ბ. მეურმიშვილი, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნისფუნქციისსისტემურიგააზრება,თსუ-ისსამართლისჟურნალი, №2, 2023.

- გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან დაკავშირებული თავისებურებანი, სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2009.

- გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008.

- ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო“, #2, 2015.

- გ. ნაჭყებია/ნ. თოდუა (მთავ. რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 2024.

- მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013.

- მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მ. ლეკვეიშვილის - 85 საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014.

- მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, ფრაიბურგი/სტრასბურგი/თბილისი, 2016.

- მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017.

- მ. შალიკაშვილი, სსკ-ის 33-ე მუხლის კომეტარი წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ტომი 2, თბილისი, 2021.

- მ. შალიკაშვილი/ხ. თანდილაშვილი/უ. ბახტაძე, ვიქტიმო-

ლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2023.

- მ. შალიკაშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, გ. ხუბუას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2024.

- მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე/ზ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2024.

- ხ. შეყილაძე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, თბილისი, 2021.

- ნ. ჩიტაშვილი/მ. ბიჭია/გ. ბარნაბიშვილი/აკ. გაწერელია/დ. ეგნატაშვილი, მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ყანდაშვილი ი. (რედ.), თბილისი, 2024.

- ბ. ტორე, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019.

- ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005.

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

- Ad-Hoc-Kommision „Diversion“, Empfehlungen der Ad-hoc-Kommission „Diversion“ der Jugendund Justizministerkonferenz vom 5. Februar 1988, In: Bundesministerium der Justiz (Hrsg.): „Diversion“ im deutschen Jugendstrafrecht, Bonn, 1989.

- Böhnisch, L./Schröer, W., Das Sozialpolitische Prinzip, Die eigene Kraft des Sozialen an den Grenzen des Wohlfahrtsstaats, Bielefeld, 2016.

- Coyle, A., Human Rights Approach to Prison Management (2nd edn), International Centre for Prison Studies, Bell & Bain, Glasgow, 2009.

- Dùnkel, F., Kommentierung #57 StGB, In: U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds.), Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch, Vol. 1 (3rd edn.), Baden-Baden, 2010.

- Eisenberg, U./Kölbel, R., Kriminologie. 7. Auflage, Tübingen, 2017.

- Eisenberg, U./Kölbel, R., Jugendgerichtsgestz, Kommentar, 24. Auflage, München, 2023.

- European Committee on Crime Problems (CDPC) – Council for Penological Co-operation (PC-CP) – Draft Commentary to the European Rules for Juvenile Offenders subject to sanctions or measures, 23 September 2008, at [https://wcd.coe.int].

- Harrer-Amersdorffer, J., Stationäre Erziehungshilfe, https://www.socialnet.de/lexikon/Stationaere-Erziehungshilfe [02.05.2025].

- Heinz, W., Jugendkriminalität in Deutschland. Kriminalstatistische und kriminologische Befunde, Konstanz, 2003.

- General Comment N. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD Forty-fourth session Geneva, 15 January-2 February 2007, paragraph 80-81, at https://www.refworld.org/legal/general/crc/2007/en/43085.

- Grüne, B./Schmoll, A./Hopps, S/Willems, D., Kinderdelinquenz in Deutschland. Factsheet der Arbeitsstelle Kinder- und Jugendkriminalitätsprävention am Deutschen Jugendinstitut e.V. (DJI), In: Forum Kriminalprävention 2/2024, S. 23, https://www.forum-kriminalpraevention.de/files/1Forum-kriminalpraevention-webseite/pdf/2024-02/022411gruene.pdf [28.03.2025].

- Kaiser, G., Kriminologie: ein Lehrbuch, 3. völlig neubearb. u. erw. Auflage, Heidelberg, 1996.

- Kerner, H-J./Reich, K./Bott, K., Delinquenzvorstellungen bei Kindern und Jugendlichen sowie Folgen bei tatsächlicher Delinquenz, In: Familie Partnerschaft Recht (FPR) 2013.

- Kunz, K.-L., Kriminologie: Eine Grundlegung, 2. Vollst, überarbeitete Auflage, Wien, 1998.

- Lösel, F./Bliesener, Th., Aggression und Delinquenz unter Jugendlichen, Untersuchungen von kognitiven und sozialen Bedingungen, München, 2003.

- Matzke, M./Fritsch, K., Kindeswohlgefährdung bei Kinder - und Jugenddelinquenz, In: Familie Partnerschaft Recht (FPR) 2012.

- Ostendorf, H./Drenkhahn, K., Jugendstrafrecht, 9. Auflage, Baden-Baden, 2017.

- Padfield, N./ Van Zyl Smit, D./Dùnkel, F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.

- Neubacher, F., Kriminologie, 5. Auflage, Baden-Baden, 2023.
- Schaffstein, F. / Beukle, W., Jugendstrafrecht, 13. Auflage, Stuttgart, 1998.
- Schaffstein, F./Beulke, W./Swaboda, S., Jugendstrafrecht, Eine systematische Darstellung, 15. Auflage, Stuttgart, 2014.
- Streng, F., Jugendstrafrecht, 3. Auflage, Hamburg, 2012.
- Van Zyl Smit, D./Snacken, S., Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011.
- Van Zyl Smit D./ Snacken S./ Principles of European prison law and policy, Oxford University Press Inc., New York, 2009.
- Wiesner, R. (Hrsg.), SGB VIII. Kinder-und Jegendhilfe, Kommentar, München, 2011.

ანგარიშები

- ანგარიში გერმანიის მთავრობას CPT-ის მიერ გერმანიაში ვიზიტის თაობაზე 2005 წლის 20 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე [CPT/Inf (2007)18], პარაგრაფი 106 [www.cpt.coe.int/].

- განრიდების პროგრამების (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2019 წლის ანგარიში, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტი, თბილისი, 2020.

- საქართველოს მე-5 და მე-6 ერთობლივ პერიოდულ ანგარიშებზე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის შემაჯამებელი შეფასება, CRC/C/GEO/CO/5-6, 25 ივნისი 2024 წ., https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2FC%2FGEO%2FCO%2F5-6&Lang=en.

- საქართველოს გენერალური პროკურატურა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, თბილისი, 2024, https://pog.gov.ge [21/04/2025].

- საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2020, https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpxMZfEG.pdf [30.03.2025].

- საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების 2023 წლის კვლევა, თბილისი, 2024, https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpdFrO3a.pdf [01.05.2025].

- საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2021 წლის ანალიზი, თბილისი, 2022, https://pog.gov.ge [28/04/2025].

- საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2022 წლის ანალიზი, თბილისი, 2023, https://pog.gov.ge [28/04/2025].

- საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2023 წლის ანალიზი, თბილისი, 2024, https://pog.gov.ge [28/04/2025].

- საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2024, https://pog.gov.ge [29/04/2025].

- დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიში, https://is.gd/KxALVw [05.05.2025].

- Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried out by the CPT from 16-29 March 2004 (CPT/Inf(2005)18, paragraph 73) [www.cpt.coe.int/].

- CPT/Inf (2001)16; 11th General Report [www.cpt.coe.int/].

- The CPT Standards – Substantive sections of the CPT's Reports, European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT), CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2009, p. 72-78. http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf. [20.04.2025]

ინტერნეტწყაროები

• https://justice.gov.ge/?m=articles&id=VdFYMYqJXa [20.03.2025]

• https://cpp.gov.ge/ka/arasrultslovanta-referirebis-tsentri [30.03.2025]

• https://is.gd/KxALVw [30.03.2025]

• https://tinyurl.com/26fornp7 [28/04/2025]